საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 მარტი ხუთშაბათი 2013
№054 (13 970) ფასი 80 თეთრი



მადლობა, ახე!

13

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ლოგიკურად გაირკვა

## კიდევ ორი 1/4-ფინალისტი: პსჟ და იუვენტუსი

9



| იუვენტუსი – სელტიკი | პარი სენ-ჟერმენი – ვალენსია |
|---|---|
| 2:0 | 1:1 |
| 1:0 მატრი (24) | 0:1 ჟონასი (55) |
| 2:0 კვალიარელა (65) | 1:1 ლავეცი (66) |

## ლავეცის მუხლი და ვალენსია მუხლებზე



## იუვე სელტიკისთვის მატრიცაა



# მეოთხედფინალის მთავარი ინტრიგა

13 მარტი. ლანჩხუთი
**გურია-დინამო (თბ)**
საპასუხო მატჩი 10 აპრილს

13 მარტი. ივანწმინდა
**ჩიხურა-დილა**
საპასუხო მატჩი 10 აპრილს

13 მარტი. რუსთავი
**მეტალურგი-სპარტაკი**
საპასუხო მატჩი 10 აპრილს

13 მარტი. ქუთაისი
**ტორპედო-სიონი**
საპასუხო მატჩი 10 აპრილს

საქართველოს თასის წილისყრა

2

# ჩეხები გვემუქრებიან

EXCLUSIVE



12

# 1:4 გერმანიასთან



გუშინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ქალაქ რედა ვიდენბრუკში გერმანიის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა გამართა და 1:4 დამარცხდა. ქართველთაგან ერთადერთი გოლი **ლუკა ზარანდიამ** გაიტანა, რომელმაც მატჩის 48-ე წუთზე ანგარიში 1:2 გახადა.

გუშინდელ სპარინგში საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **გოშაძე, შულაია, მარგველაშვილი, ტაბიძე, თევზაძე, პატარკაციშვილი, გოროზია, ხარაიშვილი, კერძევაძე, ზარანდია, რ. ჭანტურია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

# წყვილი ზეექვსეულიდან და გურია–დინამო



ლანჩხუთის სტადიონი „დინამოსთან“ მატჩისთვის მზად იქნება

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში საქართველოს თასის მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. უპირველესად, მეოთხედფინალურ წყვილებს გაგაცნობთ:

**გურია (ლანჩხუთი) - დინამო (თბილისი)**

**ჩიხურა (საჩხერე) - დილა (გორი)**

**მეტალურგი (რუსთავი) - სპარტაკი (ცხინვალი)**

**ტორპედო (ქუთაისი) - სიონი (ბოლნისი)**

წილისყრა ბრმა იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, გამოკვეთილი სუპერწყვილი მაინც ვერ მივიღეთ. ცენტრალურ დაპირისპირებად „ჩიხურა“-„დილა“ უნდა მივიჩნიოთ. ერთმანეთს ზეექვსეულის ორი ამბიციური ბინადარი შეხვდება და ორივეს აქვს ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი.

რა თქმა უნდა, არც „გურიასა“ და „დინამოს“ მოახლოებულ ორთაბრძოლას ახლავს ნაკლები ინტრიგა. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ მათ ურთიერთშეხვედრებს დიდი ხნის ისტორია აქვს და ლანჩხუთელთა და დედაქალაქელთა შორის არაერთი ლაზათიანი მატჩი გამართულა როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში.

მეორე პირველლიგელი, რომელმაც მეოთხედფინალს უწია - ცხინვალის „სპარტაკია“, რომელიც საქმეს რუსთავის „მეტალურგთან“ დაიჭერს. ქვემოქართლელთათვის, რომლებმაც ჩემპიონატის ზედა ექვსეულში მოხვედრა ვერ შეძლეს, სათასო წარმატება ევროსარბიელზე მოხვედრის ერთადერთი გზაა. ასე რომ, „მეტალურგის“ უმთავრესი ძალისხმევა სწორედ ამ ტურნირისკენ იქნება მიმართული.

„ტორპედო“ „სიონთან“ ბრძოლაში ფავორიტად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მაგრამ ეს ცნება აქაც პირობითია. ბოლნისელებმა ზამთარში შემადგენლობა საგრძნობლად გააძლიერეს და „ზუგდიდთან“ გამართული შთამბეჭდავი მერვედფინალური მატჩებით თვალნათლივ დაამტკიცეს, რომ მაღალი მიზნებისთვის აპირებენ ბრძოლას.

პირველი მატჩები წყვილში პირველად დასახელებული კლუბების მოედანზე 13 მარტს გაიმართება, საპასუხო შეხვედრები კი 10 აპრილს ჩატარდება. მარტში თამაშები 15 საათზე დაიწყება.

წილისყრის პროცედურას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** გაუძღვა. წილისყრის დაწყებამდე სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელმა **ნოდარ კაკულიამ** კლუბების წარმომადგენლებს პროცედურის დეტალები გააცნო.

წილისყრამდე სიჭინავამ ლანჩხუთის სტადიონზე არსებული ვითარება განმარტა - იქ ბუნებრივსაფარიანი მოედანი მზად არის, თუმცა მოედნიდან გასახდელამდე მანძილი დაახლოებით 50 მეტრია. სიჭინავამ პირობა დადო, რომ ლანჩხუთში თასის მეოთხედფინალზე ჩავა და პირადად გააკონტროლებს ფეხბურთელთა უსაფრთხოებას. კლუბებმა ლანჩხუთში თამაშზე თანხმობა განაცხადეს და წილისყრა ამის შემდეგ დაიწყო. პროცედურის დასრულების შემდეგ კი კლუბების წარმომადგენელებს კომენტარი ვთხოვეთ.

**ლადო ბურდული** („სიონის“ სპორტული დირექტორი): *„რასაკვირველია, „ტორპედოს“ სახით ერთ-ერთი ყველაზე რთული მეტოქე შეგვხვდა, მაგრამ თასზე შორს წასვლა თუ გინდა, სულერთია, ვის დაუპირისპირდები. ჩვენთვის ხელსაყრელი ის არის, რომ პირველ მატჩს სტუმრად ვატარებთ“.*

**ბუბა ტყავაძე** („დინამოს“ მმართველი დირექტორი): *„გურიამ“ მერვედფინალში დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არის და მასთან საბრძოლველად თითოეულ დინამოელს მაქსიმალური კონცენტრაცია და თავდადება მართებს. თასის გათამაშებაში ფავორიტის სტატუსი არავის აქვს“.*

**ზურაბ ხორგუაშვილი** („დილას“ სპორტული დირექტორი): *„ორი აზრი არ არსებობს - „ჩიხურასთან“ ძალიან მძიმე ბრძოლები გველოდება, მაგრამ თასის მოქმედი მფლობელები ვართ და ტიტულის შენარჩუნებას ვაპირებთ“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ფავორიტი ტორპედოა, მაგრამ...

## არმაზ ჯელაძე მოულოდნელობას არ გამორიცხავს

ბოლნისის „სიონი“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, მაგრამ ახალმა ხელმძღვანელობამ მიზნად ევროთასებზე მოხვედრა დაისახა. რადგან გუნდი საუკეთესო ექვსეულს მიღმა დარჩა, ევროპაში გასასვლელი ერთადერთი გზა საქართველოს თასის მოპოვება ან მინიმუმ ფინალში მოხვედრაა.

ამ კუთხით ბოლნისელებს არ გაუმართლათ: გუშინ გამართულმა წილისყრამ „სიონს“ მეოთხედფინალში ქუთაისის „ტორპედო“ შეახვედრა. პირველი მატჩი 13 მარტს ქუთაისში შედგება, განმეორებითი შეხვედრა კი 10 აპრილს ბოლნისში.

რა შანსები აქვს „სიონს“? ამ კითხვით გუნდის მთავარ მწვრთნელს **არმაზ ჯელაძეს** მივმართეთ.

*„ფაქტია, რომ ჩვენ შეგვხვდა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, რომელსაც ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ავარჯიშებს. მოკლედ, მძიმე მეტოქეა. და ცხადია, რომ ჩვენს წყვილში ფავორიტი ქუთაისის „ტორპედოა“. მაგრამ პროგნოზისგან თავს შევიკავებ, რადგან სათასო დაპირისპირებაში ხშირია სიურპრიზები და ჩვენც ამის იმედი გვაქვს. მე ვნახე მერვედფინალში „ტორპედოს“ შეხვედრა „გაგრასთან“ და დასკვნებიც გამოვიტანე. თასის ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლა წარმოუდგენლად არ მიმაჩნია. მთავარია, პირველი მატჩი მისაღები შედეგით დავასრულოთ. ასეთ შემთხვევაში, განმეორებით მატჩში გამორიცხული არაფერი იქნება. რაც მთავარია, „ზუგდიდთან“ სათასო დაპირისპირება ოპტიმალური შემადგენლობის დადგენასა და გუნდის შეთამაშებაში დაგვეხმარა. ქუთაისელებთან პირველ შეხვედრამდე, ჩემპიონატის მატჩიც უნდა ჩავატაროთ და ესეც დაგვეხმარება პროგრესში. იმედია, „ტორპედოს“ ღირსეულ წინააღმდეგობას გავუწევთ“* - ამბობს ჯელაძე.

**მერაბ მამულაშვილი**



არმაზ ჯელაძე

გურია. ინტერვიუ ალექსანდრე შენგელიასთან

# გვსურს, კიდევ ერთი სენსაცია მოვახდინოთ

**გასულ შაბათს, „გურიამ“ პატარა სენსაცია გამოაცხო და ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და სუპერთასის მფლობელი „ზესტაფონი“ მისსავე სტადიონზე ორი მატჩის ჯამში თასის გათამაშებიდან გამოთიშა. განმეორებითი მატჩი, რომელშიც მასპინძლად იმერლები ითვლებოდნენ, პირველლიგელებმა საუცხოოდ ჩაატარეს და 3:2 მოიგეს. შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო ალეკო შენგელია იყო, რომელსაც რამდენიმე კითხვა დავუსვით:**

**— ალეკო, გულშემატკივრებს თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშიდან უნდა ახსოვდე, მაგრამ მოდი, მკითხველს მაინც გააცანი შენი თავი.**

— ფეხბურთის თამაში 7 წლის ასაკში დავიწყე „ნორჩ დინამოელში“, პირველი მწვრთნელები იყვნენ ავთო ქანთარია და გურამ კანდალია. ბავშვობა იქ გავატარე, შემდეგ გადავედი „დინამოს“ აკადემიაში, საიდანაც „ლოკომოტივში“ ჯერ დუბლშემადგენლობაში, შემდეგ კი ძირითად გუნდში აღმოვჩნდი. ერთი წელი ვითამაშე უმაღლეს ლიგაში, „გურიაში“ გადმოსვლამდე პირველლიგელ „ნორჩ დინამოელში“ დავყავი ასევე ერთი წელიწადი.

**— შაბათს „გურიამ“ მოულოდნელი შედეგით დაამთავრა მატჩი ზესტაფონში, რამდენად ელოდით?**

— მოგეხსენებათ, ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა, გასული ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდი, რომელმაც ჩვენთან თამაშამდე სუპერთასიც აიღო. ამასთან, ორივე მატჩის ზესტაფონში გამართვაც მეტოქის წისქვილზე ასხამდა წყალს. პლუს — „ზესტაფონს“ ევროტურნირებზე მოხვედრის შანსი ჩემპიონატიდან შედარებით მინიმალური აქვს და თასი იყო მათი პრიორიტეტი. თუმცა ბიჭებმა ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაქსიმუმი გავიღეთ, რაც შედეგი დაგვიფასდა კიდეც. პირველი წაგებული მატჩის შემდეგაც არ ვყოფილვართ გულგატეხილები, რადგან იმ შეხვედრამ დაგვანახვა, რომ წასაგები არ იყო. ფარ-ხმალი არ დავყარეთ მაშინაც, როცა ასეთ ძლიერ მეტოქესთან ორი შეცდომის გამო ანგარიშში უპირატესობა გავანიავეთ და მეტოქე დაწინაურდა. ვითარება პირველ ტაიმშივე შემოვაბრუნეთ და მეორე ტაიმში უკვე დაცვაზე გადავიტანეთ აქცენტი. რა თქმა უნდა, იოლი არაა „ზესტაფონთან“ 45 წუთი ანგარიშის შენარჩუნება ეცადო, მაგრამ ეს მოვახერხეთ. თანაც, ვერ ვიტყვით, რომ მეტოქეს ბევრი შანსი მივეცით. პირიქით, რეალური შესაძლებლობა გვქონდა უპირატესობა გაგვეზარდა.



ალექსანდრე შენგელია

**— ალეკო, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყავი შეხვედრაში და ბევრის აზრით, „გურიაში“ საუკეთესო მატჩი ზესტაფონში ჩაატარე, მეთანხმები?**

— არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ზესტაფონში ჩემი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა ვფიქრობ, მეტიც შემიძლია.

**— შენც და მთელი გუნდიც ფიზიკურად კარგად გამოიყურებოდით, არადა, გასულ თამაშებში ბოლო წუთებში ლამის მთელი გუნდი დაღლილი ჩანდა. რა შეიცვალა?**

— ამის მიზეზი კარგი მოსამზადებელი შეკრება და გუნდში თითქმის ყველა ადგილზე გაზრდილი კონკურენციაა, რაც ხარისხს მაღლა სწევს.

**— ვის ისურვებდით სათასო მეტოქედ და შანსებს როგორ აფასებ?**

- გვსურს მინიმუმ კიდევ ერთი ბარიერი გადავლახოთ. იყოს თუ გინდათ მორიგი სენსაცია! ყველაზე მეტად „დინამოსთან“ შეხვედრა არ გვინდა (არადა, გურიას სწორედ „დინამო“ დაუწყვილდა. *ინტერვიუ წილისყრამდეა ჩაწერილი - ავტ.*), თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ მასთან რამეს დავთმობთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ რა გამოგვივა, ვნახოთ. ჩვენ „ზესტაფონთან“ იმის დამტკიცება თუ განსაზღვრა გვინდოდა, რამდენად შეგვიძლია უმაღლესლიგელებთან პაექრობა. გვჯეროდა და ორმა სათასო მატჩმაც დაგვარწმუნა, რომ უმაღლეს ლიგაში ამ გუნდით თამაში შეიძლება. თან შევთამაშდებით, ალბათ, კიდევ გავძლიერდებით — მოკლედ, კარგი გუნდი გვეყოლება საუმაღლესოდ.

**— მართალია, თასზე წარმატებას მიაღწიეთ, მაგრამ „გურიის“ წლევანდელი მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლაა...**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. რა თქმა უნდა, რთული ბრძოლა გველის. როცა პირველ ადგილზე ხარ, არ არის იოლი მისი შენარჩუნება – ყველა შენთან ცდილობს თავის გამოჩენას, აუტსაიდერიც კი. ამიტომაც მოდუნების უფლება არ გვაქვს, თან კონკურენტებიც სერიოზული გვყავს, თუმცა წლეულს აუცილებლად უნდა გადავიდეთ, სხვა გზა არ გვაქვს — გურული გულშემატკივარი ნამდვილად ღირსია უმაღლესი ლიგის. ასი პროცენტით უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, შარშან რაღაც სასწაულებრივად ვერ გადავიდა „გურია“ და იმვეს დაშვება არ შეიძლება!

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

## პირველი ლიგა. XVIII ტური

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| რაჭა – სასკო | 1:3 |
| დინამო-2 – სქური | 4:1 |
| იმერეთი – ბეთლემი | 1:1 |
| სულორი – სტუ | 1:0 |
| ჭიათურა – გურია | დღეს |
| გაგრა – მეშახტე | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 17 | 14 | 2 | 1 | 49-12 | 44 |
| 2. სასკო | 18 | 14 | 1 | 3 | 58-18 | 43 |
| 3. გაგრა | 17 | 12 | 1 | 4 | 35-15 | 37 |
| 4. დინამო-2 | 18 | 11 | 3 | 4 | 60-30 | 36 |
| 5. ძედა | 18 | 8 | 2 | 8 | 25-34 | 26 |
| 6. სტუ | 18 | 7 | 1 | 10 | 38-49 | 22 |
| 7. იმერეთი | 18 | 6 | 4 | 8 | 18-24 | 22 |
| 8. სქური | 18 | 5 | 6 | 7 | 18-28 | 21 |
| 9. მეშახტე | 17 | 5 | 3 | 9 | 20-43 | 18 |
| 10. ჭიათურა | 17 | 4 | 3 | 10 | 17-31 | 15 |
| 11. სულორი | 18 | 3 | 2 | 13 | 15-46 | 11 |
| 12. რაჭა | 18 | 2 | 2 | 14 | 17-40 | 8 |

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| მერცხალი – ლოკომოტივი | 1:4 |
| ადელი – ლიახვი | დღეს |
| სამტრედია – ზოოვეტი | დღეს |
| ჩხერიმელა – სპარტაკი | დღეს |
| კოლხეთი (ხ) – შუქურა | დღეს |

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

### XV ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-2 (ცხ.) – ნ/დინამო (თბ.) | 3:0 |
| ლაგოდეხი – ივერია (ხაშური) | 2:4 |
| იუსი ბესტი (თბ.) – საქ. უნივერ. (თბ.) | 5:0 |
| დუშეთი – ლიახვი-2 (აჩაბეთი) | 3:0 |
| ქართლი-2011 (გორი) – იბერია (თბ.) | 6:0 |
| აზული (ახ.) – გაგრა-2 | გადაიდო |
| ფარავანი (ნინოწმ.) – ალგეთი-XXI (თბ.) | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი-2011 | 15 | 14 | 1 | 0 | 57-7 | 43 |
| 2. იუსი ბესტი | 14 | 10 | 2 | 2 | 54-15 | 32 |
| 3. ივერია | 14 | 10 | 1 | 3 | 47-29 | 31 |
| 4. დუშეთი | 14 | 9 | 2 | 3 | 38-18 | 29 |
| 5. საქ. უნივერსიტ. | 15 | 9 | 2 | 4 | 34-23 | 29 |
| 6. სპარტაკი-2 | 15 | 9 | 1 | 5 | 41-13 | 28 |
| 7. გაგრა-2 | 14 | 6 | 1 | 7 | 38-37 | 19 |
| 8. ლიახვი-2 | 15 | 5 | 3 | 7 | 21-25 | 18 |
| 9. ლაგოდეხი | 15 | 4 | 1 | 10 | 25-45 | 13 |
| 10. ნ. დინამო | 15 | 4 | 0 | 11 | 21-68 | 12 |
| 11. აზული | 13 | 2 | 6 | 5 | 17-27 | 12 |
| 12. ალგეთი-XXI | 13 | 3 | 0 | 10 | 15-32 | 9 |
| 13. ფარავანი | 13 | 2 | 1 | 10 | 15-40 | 7 |
| 14. იბერია | 15 | 2 | 1 | 12 | 27-61 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

# როგორ მივუახლოვდეთ ევროპას

თასის გათამაშება თითქმის ყველგან რომ სპეციფიკური ტურნირია, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება; ისე როგორც იმ ფაქტს, რომ „შემთხვევით" მეოთხედფინალურ სტადიამდე ვერავინ მიაღწევს! ბოლოს და ბოლოს, სწორედ მეოთხედფინალიდან იწყება „ევროპასთან მიახლოება"; ანუ, რაღა რჩება — ორი ეტაპის დაძლევაც და ფინალში ხარ, სადაც მოვლენების სასურველი სცენარით განვითარებით, შესაძლოა, დამარცხების შემთხვევაშიც მოიპოვო ევროპის ლიგის საგზური. მოკლედ, ერთობ საინტერესო წყვილები „გვაჩუქა" გუშინ ჩატარებულმა კენჭისყრამ და ამ ოთხივე დაპირისპირებაში ფავორიტისა და აუტსაიდერის სტატუსი არც ერთ გუნდს რომ არ უნდა მივანიჭოთ, მერვედფინალებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა...

## ტრადიციული სენსაციები

უკვე ტრადიციასავით იქცა, რომ ბოლო წლებში სწორედ მერვედფინალში უნდა მოხდეს, სულ მცირე, ერთი ხმაურიანი სენსაცია. შორი „ექსკურსით" თავს არ მოგაწყენთ და ჯერ ორ ფაქტს გავიხსენებთ: 2010 წელს პირველლიგელმა „ჩიხურამ" მერვედფინალში რუსთავის „ოლიმპი" გამოთიშა, არანაკლებ სენსაციური იყო თასის ამ ეტაპზე თბილისის „დინამოს" ფეხის დაცდენაც; შეგახსენებთ, რომ 2011-12 წლების საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალის ორრაუნდიან დაპირისპირებაში ესპანელი მწვრთნელ-ფეხბურთელებით „გადაძეძგილმა" „დინამომ" ვერაფერი მოუხერხა გორის „დილას": პირველი მატჩი თბილისში, ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" 2:2 დამთავრდა, საპასუხოში კი გორში, ფეხბურთისთვის მართლაც შეუფერებელ „ქართლის" სტადიონზე ასევე ფრე, ოღონდ 0:0 დაფიქსირდა და იმ გათამაშების, ალბათ, რეალური ფავორიტიც ასე ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა ასპარეზობას. გეხსომებათ, ალბათ, რომ ის მწარე ფიასკო დინამოელთა მწვრთნელ-ფეხბურთელებმა „ქართლის" უხარისხო მინდვრის საფარს დააბრალეს, თანაც, „დინამოს" მძლეველ „დილასა" და იმ გუნდს შორის, საბოლოოდ რომ გაიმარჯვა თასის გათამაშებაში, საერთო მხოლოდ... სახელწოდება იყო!

ანუ, 2011 წლის შემოდგომაზე „დილაში" არც უცხოეთმოვლილი ცნობილი ფეხბურთელები თამაშობდნენ და არც ყოვლისშემძლე პატრონი ჰყავდა გორელთა გუნდს...

დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო თასის წლევანდელ გათამაშებაშიც: მოგეხსენებათ, რომ „ზესტაფონი" სულ ბოლო მომენტში მოხვდა ზედა ექვსეულში და ლიდერთა სამეულსაც გვარიანად ჩამორჩება; ანუ, ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ თასის ამ გათამაშების ერთ-ერთ გამოკვეთილ ფავორიტად „ზესტაფონი" მიგვეჩნია. თუმცა, ყველას კარგად მოეხსენება რაც მოხდა „ზესტაფონისა" და „გურიას" იმ მართლაც უცნაურ ორრაუნდიან დაპირისპირებაში — ლანჩხუთელებმა ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენეს და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მეოთხედფინალში იასპარეზებენ! „უცნაური" კი ის დაპირისპირება იმიტომაც იყო, რომ საკუთარი მოედნის მოუწესრიგებლობის გამო „გურია" ორივე მატჩის (საშინაოსიც და საგარეოსიც) ზესტაფონში ჩატარებას დასთანხმდა!

## დავივიწყოთ სამარცხვინო ფინალი

პირველი მეოთხედფინალური მატჩები 13 მარტს ჩატარდება, საპასუხო კი — 10 აპრილს, ვერაფერს ვიტყვით: ამ თარიღებთან არც ერთ მეოთხედფინალისტს საპრეტენზიო არ უნდა ჰქონდეს და საერთოდაც, საქართველოს თასის გათამაშების ისტორიაში, იშვიათზე-იშვიათი გამონაკლისის გარდა, მეოთხედფინალები ყოველთვის სწორედ ამ პერიოდში ტარდებოდა. გამონაკლისი წინა სეზონი იყო: ჩემპიონატის რეგლამენტი ხომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა, მეოთხედფინალებიც, ცოტა არ იყოს, უჩვეულო დროს ჩატარდა (ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში); ანუ, ვიდრე მეორე ეტაპი დაიწყებოდა, უკვე ცნობილი იყო ნახევარფინალისტთა ვინაობა, რაც „ვილაც-ვილაცებს" პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა: ჩემპიონატის მატჩებს ზერელედ მოეკიდებოდა, სამაგიეროდ თასზე „ზემოდან" გზა ხსნილი იყო და საბოლოოდ ყველაფერი მართლაც სამარცხვინო ფინალით დამთავრდა! თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ შარშანდელი თასის იმ სამარცხვინო ფინალს არანაკლებ სამარცხვინო ამბები უძღოდა წინ: მეოთხედფინალში ერთ-ერთ გუნდს, ფაქტობრივად, მიანიშნეს, გვერდზე უნდა გაიწიოო, მერე კი ნახევარფინალის კენჭისყრისას საშაყირო სიტუაციაც მოხდა, ისეთი, ალბათ, მხოლოდ საქართველოში შეიძლება რომ მოხდეს. ოღონდ, აღარ არის საჭირო იმის გახსენება, ვის კაბინეტში ჩატარდა ეს კენჭისყრა და უფრო მეტიც: რუსთავის „მეტალურგის" წარმომადგენელს დოლურადან ამოღებული ბურთულა ვინ მიაწოდა! თუმცა, მაშინაც გვჯეროდა და დღესაც ასე გვგონია: ნახევარფინალში ყველაზე სასურველი მეტოქე „დილას" რომ უნდა რგებოდა, ბევრად უფრო ზემოთ იყო გადაწყვეტილი, ვიდრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. არადა, თასის წინა გათამაშების მერვედფინალისაგან განსხვავებით, ნახევარფინალისათვის „დილას" ისეთი შემადგენლობა ჰყავდა, „ზემოდან" დაუხმარებლადაც შეძლებდა ნებისმიერი ქართული გუნდის დამარცხებას...


საქართველოს თასის შარშანდელი გამარჯვებული გორის დილა

## დინამო აქაც დომინანტია

2012-13 წლების საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები 13 მარტს ჩატარდება და ოთხივე წყვილზე დაწვრილებით იმ დროს ვისაუბრებთ. საქართველოს თასზე მეტოქეთა ურთიერთდაპირისპირებებსაც გავიხსენებთ და წინდაწინ ვიტყვით, რომ ყველაზე დიდ ადგილს არა უმაღლესლიგელთა („დილა" — „ჩიხურა") დაპირისპირებას, არამედ ძველი მოწინააღმდეგეების, თბილისის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიას" ადრინდელ პაექრობებს დავუთმობთ. მანამდე კი მეოთხედფინალისტთა სტატისტიკური მონაცემები გვინდა შემოგთავაზოთ და, უპირველეს ყოვლისა, თბილისის „დინამოთი" უნდა დავიწყოთ. სხვა გუნდებისათვის მეოთხედფინალში გასვლა თუ მიღწევაა, „დინამოსთვის" წარმატებად, მხოლოდ და მხოლოდ, თასის აღება ჩაითვლება. საქართველოს თასის 9-გზის მფლობელი გუნდი 24-ვე გათამაშებაში მონაწილეობდა და მხოლოდ სამჯერ მოხდა, რომ მეოთხედფინალში ვერ გავიდა: 1999, 2005 და 2012 წლებში; „დინამოს" მეტოქე „გურია" მეოთხედფინალში 11-წლიანი პაუზის მერე მოხვდა, თუმცა ლანჩხუთელებს სხვა მიღწევით შეუძლიათ იამაყონ: საქართველოს თასის პირველი გათამაშების გამარჯვებულები არიან!

გორის „დილამ" შარშანდელი თასის აღებით პირველი ტიტული მოიპოვა, ისე კი მეოთხედფინალში გუნდი მეცხრედ გავიდა. მესამედ არის ამ ეტაპზე გორელთა მეტოქე „ჩიხურა", ცხინვალის „სპარტაკი" - მეოთხედ, „მეტალურგი" - მეხუთედ, „სიონი" - მეშვიდედ, ხოლო „ტორპედო" - საქართველოს თასის გათამაშებაში მხოლოდ თბილისის „დინამოს" ჩამორჩება: ქუთაისელთა საყვარელი გუნდი მეთოთხმეტედ იასპარეზებს მეოთხედფინალში და აქედან მხოლოდ ოთხჯერ მოხდა, რომ ეს ეტაპი ვერ დაძლია. აქვე, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ „ტორპედომ" საქართველოს თასი ორჯერ მოიპოვა, ოთხჯერ კი ფინალი წააგო. დანარჩენზე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 13 მარტს, თასის პირველი მეოთხედფინალების დღეს ვისაუბროთ...

**გია ტუხაშვილი**

დინამო. ინტერვიუ

# რთული ტაქტიკით ვთამაშობთ

## გიორგი მერებაშვილი თბილისის დინამოში მომხდარ ცვლილებებზე

ფაქტია, რომ „დინამოს" მთავარ მწვრთნელად დუშან უჰრინის დანიშვნის შემდეგ, თბილისელთა თამაში და ტაქტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა: დინამოელები უფრო სწრაფ და აგრესიულ ფეხბურთს აჩვენებენ.

საინტერესოა ამასთან დაკავშირებით „დინამოს" ერთ-ერთი ლიდერის გიორგი მერებაშვილის აზრი. ფეხბურთელი გვიყვება იმის შესახებ, თუ რას რას ითხოვს გუნდისგან მთავარი მწვრთნელი, თავად როგორ გადაეწყო ახალ სტილზე, რომელსაც თავიდან ვერ ეგუებოდა.

ნოვი სადის „ვოივოდინადან" „დინამოში" დაბრუნებულ მერებაშვილს უჰრინმა უჩვეულო პოზიცია - ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგი ჩააბარა. ფეხბურთელი არც მალავდა, რომ შეტევებში ჩართვის ნაკლები საშუალება ჰქონდა და ამით არ იყო კმაყოფილი.

**- სეზონის სტარტისგან განსხვავებით, ახლა „დინამოში" საკუთარი ადგილი იპოვე და ფსიქოლოგიურად უკეთ გამოიყურები...**

- ყველაფერს თავისი ახსნა გააჩნია. ადრე „დინამოში" და შემდეგ „ვოივოდინაში" 4-4-2 სათამაშო სქემას არავინ იყენებდა. ეს არის პირველი ფაქტორი, რის გამოც, თავდაპირველად, „დინამოში' დაბრუნება გამიჭირდა. მეორე ფაქტორი კი ისაა, რომ არასოდეს ვყოფილვარ მარცხენა ნახევარმცველი, რომელსაც დაცვითი ფუნქციებიც უნდა შეესრულებინა - მე ხომ მთლიანად შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთელი ვიყავი.

მაგრამ დუშან უჰრინის დანიშვნიდან რვა თვე გავიდა. ამ დროის განმავლობაში მან კარგად ამიხსნა, რა მოთხოვნებს მიყენებდა, რა ევალება ჩემი პოზიციის მოთამაშეს და ნელ-ნელა ახალ როლსაც მივეჩვიე. შეძლებისდაგვარად ვცდილობ დავალებების შესრულებას, გუნდის წარმატებაში წვლილი შევიტანო.

**- ახლა გოლებიც უფრო ხშირად გაქვს.**

- რა პოზიციაზეც არ უნდა ვიყო, ფეხბურთი გოლისა და შეტევაში ჩართვის გარეშე ვერ წარმომიდგენია. ბავშვობიდან თავდასხმაში ვთამაშობ. შეტევა სისხლში ისე მაქვს გამჯდარი, მეკარედაც რომ დამაყენონ, კარში იქედანაც დავარტყამ. თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარია, რომ სათამაშო დისციპლინა არ დავარღვიო და გუნდური სქემიდან არ ამოვვარდე.

**- „დინამოს" მრავალი სქემით უთამაშია, მაგრამ კლასიკური 4-4-2 მხოლოდ დუშან უჰრინმა დაამკვიდრა. ცხადია, გადაწყობა არა მხოლოდ შენ, გუნდსაც სჭირდება, რაც იოლი არ არის.**

- უკვე ვთქვი კიდეც, რომ ამ სქემით არასოდეს მითამაშია და უნდა გითხრათ, რომ ძალიან რთული ტაქტიკა ყოფილა.

**- სირთულე რაში მდგომარეობს?**

- საქართველოში თითქმის ყველა გუნდი 4-3-3 ან 4-2-3-1 სქემით თამაშობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრში ყველას სამი ნახევარმცველი ჰყავს. ამ სქემას ევროპული გრანდებიც, მაგალითად, „რეალი" და „ბარსელონაც" იყენებენ. აქედან გამომდინარე, მეტოქეებს მოედნის შუაში ჩვენზე უპირატესობა გააჩნიათ. ორ ცენტრალურ ნახევარმცველს მცველებისა და ფლანგების სერიოზული დახმარება სჭირდებათ, თავად ცენტრის ფეხბურთელებს კი ჩვეულებრივზე ბევრი მოძრაობა სამი მეტოქის გასამკლავებლად.

თუმცა, 4-4-2-ს თავისი დადებითი მხარეებიც გააჩნია და თუ ეს პლუსები სრულად გამოვიყენეთ, ჩვენთან ბრძოლა ყველა მეტოქეს გაუჭირდება.

**- დიდი ხანია, რაც ეროვნულ ნაკრებში აღარ გითამაშია. მართალია თუ არა, რომ თემურ ქეცბაია შენს დაბრუნებას აპირებს?**

- მე პირადად ამაზე არაფერი მსმენია, მაგრამ თუ დამაბრუნებს, ძალიან გამიხარდება. ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა ჩემი უპირველესი სურვილი იყო და დღემდე ასეა. თუ ქეცბაია დამიძახებს, ვეცდები, გუნდს გამოვადგე და მისი იმედები გავამართლო.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი მერებაშვილი „კოლხეთთან" მატჩში

ფოტო: www.fcdinamo.ge

სიონი

## გოგოლაძე ბოლნისში დაინიშნა

ბოლნისის „სიონში" მორიგი საკადრო ცვლილება მოხდა. საორგანიზაციო საკითხების უფროსად ყოფილი ფეხბურთელი **დავით გოგოლაძე** დაინიშნა.

გოგოლაძე 32 წლისაა და თავის დროზე, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია. იყო ბილეფელდის „არმინიას" დუბლშემადგენლობის, კიშინიოვის „ზიმბრუს", ლატვიური „ვენტსპილსის", ბათუმის 'დინამოს", თბილისის „ლოკომოტივის", რუსთავის „მეტალურგისა" და ფოთის „კოლხეთის" თავდამსხმელი. გააჩნია სამწვრთნელო ლიცენზია და საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში" **გიორგი დევდარიანის** ასისტენტი გახლდათ. ბოლო პერიოდში, გოგოლაძე სამენეჯერო საქმიანობას ეწეოდა.

„სიონში" გოგოლაძის უშუალო მოვალეობაში შედის ვარჯიშებისა და შეკრებების, გუნდის ტრანსპორტირებისა და დაბინავების ორგანიზება.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

### ინტერვიუ გიორგი კახელიშვილთან

# რასაც ახლა ვთამაშობ, იმაზე მეტი შემიძლია...

გიორგი კახელიშვილი სადაც არ მივიდა, ყველგან სტაბილურად ითამაშა. ის ახლა გორის „დილას" გარემარბია, ორივე ფლანგიდან შეუძლია ხიფათის შექმნა, თამაშის გამწვავება, კარის გასწვრივ ჩაწოდება და გოლის გატანაც.

ის 25 წლის გახლავთ, ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია, არადა, საქართველოს ჩემპიონატში მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა.

კახელიშვილს აქეთურ-იქეთურზე ვესაუბრეთ, ინტერვიუ კი გორის „დილას" ამბებით დავიწყეთ...

**- მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპისთვის „დილა" ვალდას ივანაუისკასმა ჩაიბარა - რა სიახლეები შეიტანა გუნდში ლიტველმა სპეციალისტმა?**

- ივანაუსკასი ავტორიტეტია, დიდი ფეხბურთელი იყო, მისი თამაში ჩვენს თაობას არ უნახავს, თუნცა ვიდეოჩანაწერებით და უფროსების მონაყოლიდან ვიცით, თუ რა დონის მოთამაშე იყო. „დილაში" ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგაც ყველაფერი კარგად მიდის, ივანაუსკასი ყველა მიმართულებით მუშაობს, იქნება ეს გუნდის ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მომზადება.

**- „ლელოსთან" ინტერვიუში ივანაუსკასმა განაცხადა, რომ „დილა" ევროსარბიელზე გასასვლელად იბრძოლებს, „დინამო" - ჩემპიონობისთვის. რა თქმა უნდა, ეს იმას არ გამორიცხავს, რომ „დილაც" არ იბრძოლებს ტიტულისთვის, თუმცა მაინც საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ ყველაფერზე „დილას" ფეხბურთელები...**

- მაქსიმუმს გავაკეთებთ, ყველა თამაშში მოსაგებად ვიბრძოლებთ, სასიხარულოა, ჩემპიონატი ექვსეულებად რომ დაიყო და კარგ გუნდებს ორჯერ რომ შევხვდებით. უმაღლეს ლიგაში პირველად 2005 წელს ვითამაშე თბილისის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში და მაშინაც ასეთნაირად იყო დაყოფილი ჩემპიონატი, საინტერესო მატჩები ტარდებოდა, ვფიქრობ, ახლაც საკმაოდ დაძაბული თამაშები იქნება.

**- „დინამოს" სამი ქულით ჩამორჩებით, თუმცა სხვა ფაქტორებიცაა გასათვალისწინებელი. „დინამო" რამდენიმე ლეგიონერით გაძლიერდა, უკეთესი სავარჯიშო პირობები აქვს, „დილა" კი ხან საგურამოში ვარჯიშობს, ხან თბილისში „ბენდელაზე". თუმცა ყოფილა შემთხვევა, კონკურენტზე უარეს პირობებში მყოფი გუნდი რომ გამხდარა ჩემპიონი, მაგალითად, თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" ეს 2009 წელს მოახერხა...**

- ჩისკო, ალვარო, ლორია, დვალი, მერებაშვილი - „დინამოდან" ამ მოთამაშეებს გამოვარჩევდი, ისინი წარმოადგენენ გუნდის ხერხემალს, მიხარია, როცა საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელები კმაყოფილები არიან და აქვთ იმის საშუალება, მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრონ. რაც შეეხება საჩემპიონო შანსებს, ალბათ არც „დინამოს" ფეხბურთელებს ჰგონიათ, რომ ჩემპიონობა განაღდებული აქვთ. 2007 წელს, რუსთავის „ოლიმპის" შემადგენლობაში რომ გავხდი საქართველოს ჩემპიონი, თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე ვვარჯიშობდით და რუსთავში ვთამაშობდით, არც მაშინ გვქონდა საკუთარი ბაზა. „დილაში" ძალიან კარგი სიტუაციაა, ფეხბურთელები ჯგუფებად არ ვართ დაყოფილნი, ერთიანი გუნდი ვართ, სადაც ძალიან კარგი სიტუაციაა. სხვა კარგი გუნდებიც არიან - „ჩიხურა", „ტორპედო", „ზესტაფონი"... ძალიან სასიამოვნოა, რომ გორში ხალხი სტადიონზე დადის და დარწმუნებული ვარ, გორელი გულშემატკივრები ისევ ჩვენს გვერდით დადგებიან.

**- „დილამდე" თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი იყავი. რატომ მოგიწია ყველაზე ტიტულოვანი გუნდის დატოვებამ?**

- მიუხედავად იმისა, კონტრაქტით კიდევ ერთი წელი მქონდა დარჩენილი, „დინამოში" დარჩენას აზრი არ ჰქონდა, რადგან იმ მომენტში კლუბში გაურკვევლობა იყო. „დილაში" გადასვლა კი ნამდვილად არ მინანია.



**- ფეხბურთელ კახელიშვილს ყველა აფასებს, თუმცა ისე ჩანს, რომ კიდევ რაღაცა სჭირდება უფრო მეტის მისაღწევად...**

- რომელ გუნდშიც არ მივედი, მწვრთნელი ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა ჩემით, რადგან, უმეტეს შემთხვევაში. მის დავალებას ვასრულებდი. უფრო მარჯვენა ფლანგიდან მირჩევნია თამაში, ჩემი ამოცანა - მინიმუმ საგოლე პასის შესრულებაა. რამდენი გოლიც გამიტანია, დაახლოებით ოთხჯერ უფრო მეტი საგოლე გადაცემა მაქვს შესრულებული. „დინამოში" დიდად ვერ გამოვიჩინე თავი. როგორც ეროვნულ ნაკრებშია ყველასთვის საოცნებო თამაში, ასევეა „დინამოც" და ბედნიერი ვიყავი, ორი წელი ამ გუნდის მაისურა რომ მეცვა და არანაკლებ ბედნიერი ვარ იმით, რომ ახლა „დილაში" ვთამაშობ.

**- ტიტული „ვიტ ჯორჯიაშიც" გაქვს მოპოვებილი. 2009 წელს, სუპერთასზე „დინამოს" წინააღმდეგ შეცვლაზე შეხვედი და შენს ფლანგურ გარღვევას მოჰყვა გადამწყვეტი გოლი...**

- კარგი თამაში გამოვიდა, მე და დინამოელი ნიკა ფირცხალავა ერთად შევედით შეცვლაზე, ჩემი ჩაწოდების შემდეგ ბურთი მას მოხვდა და ასე აღმოჩნდა კარში. რუსთავის „ოლიმპში" და თბილისის „ლოკომოტივში" ყოფნის დროსაც ბევრი მნიშვნელოვანი გოლი გამიტანია.

**- გარემარბებს სხვადასხვა სტილი აქვთ: ზოგი ჩაწოდებებშია ძლიერი, ზოგი დრიბლინგში, ზოგიც სისწრაფეში. მაინც რა არის ყველაზე მთავარი ფლანგზე მოთამაშე ფეხბურთელისთვის?**

- ყველა თავის საუკეთესო თვისებას იყენებს, აღარაა ისე, რომ გარემარბის მთავარი დანიშნულება ფლანგური თამაში იყოს. დააკვირდით, როგორ თამაშობს არიენ რობენი, იშვიათად აწვდის ფლანგიდან, უფრო იმას ცდილობს, მარჯვნიდან ცენტრისკენ შეიჭრას და კარში დაარტყას.

**- თასის წილისყრით რამდენად კმაყოფილი ხართ? ნახევარფინალში გასასვლელად საჩხერის „ჩიხურასთან" მოგიწევთ ბრძოლა...**

- ვფიქრობ, არავინ არ არის ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში და შესაბამისად, არავის არ გამართლებია წილისყრით. აგერ პირველლიგელმა ლანჩხუთის „გურიამ" მერვედფინალში „ზესტაფონი" დაამარცხა და დაამტკიცა, რომ ყველასათვის ანგარიშგასაწევი გუნდია.

**- საქართველოში ასეთი ტენდენცია შეიქმნა - 25 წელს მიტანებულ ფეხბურთელს ბევრი უპერსპექტივოდ მიიჩნევს. რას იტყოდი ამის შესახებ?**

- ეს არასწორი შეხედულებაა. 25 წლის ვარ და ვგრძნობ, რომ ახლა უფრო შემიძლია პროგრესი, ვიდრე მანამდე. ხოლო ვინც ასეთი ტენდენცია ჩამოაყალიბა, ის ქართული ფეხბურთის მტერია.

**- ალბათ ხინჯად გრჩება, რომ ეროვნულ ნაკრებში ჯერ ერთხელაც არ გამოუძახებიხართ. ძალიან შორს არის ნაკრები გიორგი კახელიშვილისგან?**

- შორს ნამდვილად არ არის, ის დროც მოვა, როცა სანაკრებო შანსი მომეცემა. რასაც ახლა ვთამაშობ, იმაზე მეტი შემიძლია. საქართველოს ჩემპიონატში კი მეტის მიღწევა შეუძლებელია, აქ ისეთი სიტუაციაა, ერთ ადგილას ხარ გაჩერებული...

**დავით თავართქილაძე**

### რეგიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ქართლი 2011 გორიდან მიდის?

საფეხბურთო აკადემია "ქართლი" გორში 2011 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა. კლუბის მეპატრონე გორელი ფეხბურთელი **პაატა ფილიევი** გახლავთ, რომელიც ამჟამად რუსეთში საქმიანობს.

მას დიდი გეგმები ჰქონდა, გორში და მის მიმდებარე სოფლებში იქირავა სტადიონები, ბავშვებისთვის კარგი სავარჯიშო პირობები რომ შეექმნა. ყველაზე ნიჭიერ ბავშვებს უცხოეთში გადასვლის პერსპექტივას სთავაზობდა, რაც მათთვის დიდი სტიმული იყო. ვარჯიშები სოფელ ტინისხიდის საფეხბურთო მოედანზე ტარდებოდა. მოზარდებს "ც" კატეგორიის მწვრთნელები ავარჯიშებდნენ, მათ კი დეტალურად არჩევდნენ, არა მხოლოდ კვალიფიკაციის, არამედ, ნესიერების მიხედვით. მოთამაშეებს ურიგდებოდათ სპორტული ეკიპირება.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი. ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობა მოთამაშეებს არ აზღვევს. მეტიც, ტრავმირებული მოთამაშეები, ხშირად, საკუთარი სახსრებით მკურნალობენ. "ქართლი 2011"-ის თითოეული ბავშვი კი აკადემიის პარტნიორ კომპანიაში, "იმედი L"-ში 5 000 ლარად იყო დაზღვეული – მოთამაშეს მკურნალობის თანხა აუნაზღაურდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას რაიმე ტრავმა შეემთხვეოდა ვარჯიშის, თამაშის ან ტრანსპორტირების დროს, როდესაც იგი ვარჯიშზე ან თამაშზე მიდიოდა. დამეთანხმებით, ასეთი რამ საფეხბურთო სკოლისთვის ძალიან დიდი ფუფუნებაა. რვა წლის წინათ, მსგავსი რამ საფეხბურთო ჩემპიონატებში მონაწილე სკოლებისთვის პროფესიული ფეხბურთის ლიგის ყოფილმა პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** განახორციელა, მაგრამ ქვეყანაში ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, ეს მშვენიერი პროექტი მალე დავიწყებას მიეცა.

სკოლა ცდილობს ფეხბურთის ფედერაციის დაწესებული ლიცენზირების პირობების შესრულებას: სათამაშო მინდვრების (იჯარით ჰქონდათ აღებული მოედნები გორსა და გორის რაიონის სოფლებში), მწვრთნელთა კვალიფიკაციისა და კეთილმოწყობის კუთხით და გარკვეულ კრიტერიუმებს უკვე აკმაყოფილებდა.

ბოლო მანცემებით, "ქართლი 2011"-ში 6-დან 18 წლამდე 300-მდე ბავშვი ვარჯიშობდა. თანაც, ფილიევი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ასაკის გადაკეთების მანკიერ ტრადიციას. ის აპირებდა ესპანელი სპეციალისტების მოწვევას და მათთვის სოლიდური გასამრჯელოს გადახდას, მომავალი თაობების აღზრდა სწორი კალაპოტით რომ წარმართულიყო.

აკადემიას თავისი წარმომადგენლობა ბარსელონაში აქვს, რომელსაც გორელი **გია მიდელაშვილი** ხელმძღვანელობს. იგივე იგეგმებოდა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტშიც.

გარდა ამისა, აკადემიაში ზაფხულიდან ჩამოყალიბდა გუნდი, რომელიც ამჟამად მეორე ლიგაში გამოდის, მიზნად კი 3-4 წელიწადში უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუსახეს.

პაატა ფილიევს აკადემიის საქმიანობის განვრცობა და გაძლიერება სურდა, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო ცენტრი რომ შეექმნა. ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება ფეხბურთში სახელმწიფოს კლუბების საქმიანობას, რადგან თვლის, რომ ეს ჩვენი ფეხბურთის პროგრესს ხელს ვერ უწყობს.

საქართველო ძლიერი საფეხბურთო ცენტრებით განებივრებული არ არის, მით უფრო, რეგიონებში. მოკლედ, კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ ძალიან არასასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ: "ქართლი" გორის სტადიონზე არც ივარჯიშებს და აღარც ითამაშებს, შიდა ქართლის რეგიონული ფედერაციიდან გასვლას და თბილისის ფედერაციაში გადასვლას აპირებს, აკადემია, სავარაუდოდ, სოფელ ხელთუბანში გადავა, გუნდი კი - "მცხეთა პარკზე".

ფაქტია, რომ ქართულ ფეხბურთს ბიზნესი არ ეტანება. საბედნიეროდ, ღვთისნიერი ადამიანი გამოჩნდა და მასაც, როგორც ამტკიცებენ, სერიოზული პრობლემები შეექმნა.

მაგრამ ასეთი რა შეემთხვა პაატა ფილიევს, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი და რა გახდა ამ ყველაფრის მიზეზი, მშობლიური ქალაქიდან რომ გარბის?

**მერაბ მამულაშვილი**

### პირველი ლიგა

# გაგრა ბასაზე ითამაშებს

უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების სტადიონების ლიცენზირების შემდეგ გადაწყდა, რომ თბილისის „მერანის" სტადიონი თამაშებს ვერ უმასპინძლებს - იქ არსებული მინდვრის საფარი ჯერ არ არის იმ მდგომარეობაში, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი უფლება გასცეს.

აქედან გამომდინარე, „გაგრას" კიდევ ერთხელ მოუხდა საკუთარი არენის ძებნა. კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის **მიხეილ აფხაზავას** თქმით, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ „გაგრა" მომავალ ორ საშინაო შეხვედრას (7 მარტს ტყიბულის „მეშახტესთან" და 12 მარტს „ჭიათურასთან") ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" გამართავს.

ცნობილია, რომ 2 მარტს, საქართველოს თასის 1/8-ფინალის საპასუხო შეხვედრაში „გაგრამ" ქუთაისის „ტორპედოს" „მიხეილ მესხზე" უმასპინძლა. პირველი შეხვედრა 1:1 დასრულდა, განმეორებითში ქუთაისელებმა 2:0 გაიმარჯვეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

67-ე წუთზე, ტრიბუნებზე გუნდების ქომაგთა შორის დაწყებული დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. არეულობამ ათიოდე წუთს გასტანა და ჩხუბის აღსაკვეთად პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო.

აფხაზავას თქმით, აღნიშნული ინციდენტის გამო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „გაგრა" 1500 ლარით დააჯარიმა.

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელი

# ერთი წელიწადი ვილაშ ბოაშის ცხოვრებიდან



ანდრე ვილაშ ბოაში „ტოტენჰემში" სხვა პიროვნებად იქცა

**ალნიშნული სტატია „ტოტენჰემის" ერთ-ერთი ფანკლუბის ვებგვერდზე ალმოვაჩინეთ. მიგვაჩნია, რომ ის საინტერესოდ ალწერს იმ ცვლილებებს, რაც ჩრდილოლონდონური კლუბის მთავარი მწვრთნელის ანდრე ვილაშ ბოაშის ცხოვრებაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოხდა. მასში ვერ შეხვდებით გულშემატკივრის სუბიექტურ დამოკიდებულებას ადამიანის მიმართ. ავტორი უფრო მეტად ფსიქოლოგიურ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას.**

**ანდრე ვილაშ ბოაშის** ინგლისური ცხოვრება თამამად შეიძლება მხატვრული ფილმის სცენარისთვის გამოვიყენოთ და გადავილოთ გარკვეული სენტიმენტალური მელოდრამა წინააღმდეგობების გადალახვაზე. ერთი წლის წინ ანდრე „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს. ერთი წლის წინ მას თავს ესხმოდნენ გაზეთები, „ჩელსის" გულშემატკივრები, კლუბში არეულობა ჰქონდა და ფეხბურთელები მის გათავისუფლებას ელოდნენ. თუმცა ცხოვრება ერთ ადგილზე არ დგას. ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება. ახლა ვილაშ ბოაშის „ტოტენჰემი" „ჩელსის" ცხრილის მესამე საფეხურიდან თავზე დაჰყურებს.

*„თავს სხვა ადამიანად და სხვა მენეჯერად ვგრძნობ,"* – განაცხადა პორტუგალიელმა წინა კვირაში. ცვლილებები ნელ-ნელა, მაგრამ შეუქცევადად ადამიანშიც ხდება. ველარ ვხედავთ ძველ სურათს: ახალგაზრდა, ამბიციური მწვრთნელი „სტემფორდ ბრიჯის" მინდვრის კიდესთან „დოლჩესა და გაბანას" პალტოთი. ახლა ის საქველმოქმედო სალამოებზე დადის ხოლმე. ამას გარდა ირკვევა, რომ სტატისტიკურ მონაცემებს ძველებურად დიდ მნიშვნელობას ალარ ანიჭებს და ამბობს, რომ ურჩევნია, მეტი ყურადღება მიაქციოს იმას, თუ როგორ გრძნობს ფეხბურთელი თავს კონკრეტულ მომენტში. სამაგიეროდ „ტოტენჰემის" ყოველ გოლს ისე ზეიმობს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გატანილს. გულშემატკივრებმა ეს დიდი ხანია დააფიქსირეს და მწვრთნელის გულწრფელ ემოციებს ძალიან აფასებენ. პრესაც იძულებულია, ვილაშ ბოაშზე დაწერილ სტატიებში უფრო ხშირად გამოიყენოს სიტყვები „ემოცია", „ვნება" და „სულისკვეთება", ვიდრე „მალალი დაცვითი ზლუდე" ან სქემა 4-3-3.

ვილაშ ბოაშმა „ტოტენჰემის" რეკორდი დაამყარა: წინა უქმეებზე ჩრდილოლონდონურ დერბიში გამარჯვების შემდეგ მის გუნდს 12-თამაშიანი წაუგებელი სერია აქვს. ეს ფანებს, რასაკვირველია, უფრო იმედიანად განაწყობს. ვილაცებმა მისი სახელის სკანდირებაც დაიწყეს სტადიონზე, სულ რამდენიმე წუთით, მაგრამ მაინც.

სეზონის დასაწყისი ცოტა უცნაური იყო. დაფიქსირდა საშინაო ფრეები „ვესტ ბრომვიჩისა" და „ნორვიჩის" წინააღმდეგ. შემდეგ პირველი გამარჯვება „ოლდ ტრეფორდზე" უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში, მაგრამ „უიგანთან" მარცხის შემდეგ პორტუგალიელისადმი უნდობლობამ ისევ იფეთქა. გუნდი ბოლო 10 წუთის განმავლობაში გოლებს რეგულარულად უშვებდა, რაც პორტუგალიელს სახელს ნამდვილად ვერ მატებდა. ახალგაზრდა სპეციალისტი მაინც არ დანებდა და საქმეს უფრო ჩაულრმავდა.

ფაქტია, „ტოტენჰემში" ვილაშ ბოაში სიტუაციას უფრო იოლად ულებს ალღოს. პრესკონფერენციებზე ხან ინგლისურად პასუხობს შეკითხვებს და როცა სჭირდება, ფრანგულად. რაც მთავარია საკუთარ თავზეც სიამოვნებით საუბრობს. ის ფეხბურთელებს იოლად ალაფრთოვანებს. მასზე **კაილ უოლკერმა** თქვა: *„ანდრე ძალიან კარგი პიროვნება და კარგი მენეჯერია. ის ჯერ 35 წლის არის, მაგრამ როცა ვარჯიშებზე რალაცას გვიხსნის, ისეთი გამოცდილი ფეხბურთელებიც ყურადღებით უსმენენ, როგორიც ფრედ ფრიდელია".*

ვილაშ ბოაში გამოტყდა, რომ დლემდე ცდილობს „გახსნას" **ემანუელ ადებაიორის** ტალანტი. ის 29 წლის ნიჭიერ თავდამსხმელს განსაკუთრებით მას მერე იცავს, რაც მან გასული წლის ნოემბერში „არსენალთან" შეხვედრაში სულელური წითელი ბარათი მიიღო. **ბრედ ფრიდელი** მენეჯერზე 6 წლით უფროსია, მაგრამ ამის მიუხედავადაც კი, ანდრემ **უგო ლორისი** უმტკივნეულოდ აქცია გუნდის ნომერ პირველ მეკარედ. ვილაშ ბოაშმა „ტოტენჰემში" საკუთარი შეცდომების ალიარებაც ისწავლა. ამის დასტური იყო, როცა განაცხადა, კარიერაში ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვი, როცა სეზონის დაწყებამდე **მაიკლ დოუსონს** „ქუინზ პარკთან" მოლაპარაკებების ნება მივეციო.

*„ფეხბურთი მაგარი რამეა,* - განაცხადა დოუსონმა. - *სეზონის დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში პრაქტიკულად არ მითამაშია, მას მერე კი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი ვარ. ჩვენს მენეჯერს „ჩელსიში" ძალიან გაუჭირდა, „ტოტენჰემში" კი საქმე ისევ გამოსდის".*

ბოლო ერთ წელიწადში ანდრე ვილაშ ბოაში მახინჯი იხვის ჭუკიდან ულამაზეს გედად იქცა. იმედია, რომ მან იცის, როგორ უნდა შეასხას ხორცი საკუთარ პროექტს და რათა „ტოტენჰემი" ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ აქციოს.

ვარსკვლავი

# ჯო კოულის შეცდომა

**ESPN-თან ინტერვიუში „ვესტ ჰემის" ყოფილმა ნახევარმცველმა ჯო კოულმა 2010 წელს „ლივერპულთან" კონტრაქტის გაფორმებას კარიერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა უწოდა. მისი თქმით, იმ ეტაპზე მას ერთადერთი ალტერნატივა ჰქონდა – ხელშეკრულება „ტოტენჰემთან" გაეფორმებინა. მასალას მონოლოგის სტილში შემოგთავაზებთ.**

- მხოლოდ იმ გუნდებში შემიძლია თამაში, რომელთა მიმართ რალაც გრძნობა მაქვს. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი წინაპირობა იყო იმისა, რომ „ლივერპულში" არაფერი გამომივიდა. ამ კლუბის მიმართ ისეთ ემოციას ვერ ვგრძნობდი, რაც „ჩელსისთან" და „ვესტ ჰემთან" მაკავშირებდა.

„ჩელსიში" შვიდი დაუვიწყარი წელიწადი გავატარე. შემდეგ კლუბში გადაწყვიტეს, რომ განვითარების სხვა გზა აერჩიათ და ამიტომაც ჩემზე უარი თქვეს. კარიერის გასაგრძელებლად ორი რეალური ვარიანტი მქონდა – „ლივერპული" და „ტოტენჰემი". უკანასკნელი ალბათ უკეთესი იქნებოდა ჩემი კარიერისთვის, რადგან „დეზები" პირდაპირ ხუთწლიან კონტრაქტს მთავაზობდნენ, თანაც საცხოვრებლად სხვაგან გადასვლაც არ მომიწევდა. თუმცა „ჩელსის", „ვესტ ჰემსა" და „ტოტენჰემს" შორის არსებული პრინციპული მეტოქეობის გამო საკუთარი თავი „ტოტენჰემის" რიგებში ვერ წარმოვიდგინე. ვიფიქრე, ეს რომ გავაკეთო, ფანები მოლალატედ ჩამთვლიან-თქო.

როცა „ლივერპულში" მივედი, ბიჭმა, ვინც ჩემგან ინტერვიუს იღებდა, მითხრა, თქვენ ხომ ყველაზე დიდ და ტიტულოვან ინგლისურ გუნდში მოხვდითო. გონებაში გადავითვალე ტიტულები და ვუპასუხე, რომ თუკი მხოლოდ გამარჯვებებს გავითვალისწინებდით, ის მართალი იყო. ისინი კი ადგნენ და ჩემს ინტერვიუს არასწორად ინტერპრეტირებული სათაური დაარქვეს. არავის წყენა არ მინდოდა და გავჩუმდი, მაგრამ ცხადია, რომ „ლივერპული" ყველაზე დიდი კლუბი ნამდვილად არ არის. მე ცოტა სხვანაირად ვსჯი. „ნოტინგემ ფორესტმა" ჩემპიონთა თასი ორჯერ მოიგო, მაგრამ ის „ჩელსიზე" დიდი კლუბი ნამდვილად არ არის.



ჯო კოული ლონდონში დაბრუნდა და სხვაგან წასვლაზე აღარ ფიქრობს

მახსოვს, „ჩელსიში" რომ მივედი პირველად ის გავიფიქრე, რომ ამ კლუბის ისტორიის ნაწილი მინდოდა გავმხდარიყავი. იმავე დღეს ვნახე ხუან ვერონი, რომელშიც კლუბმა ჩემზე 3-4-ჯერ მეტი გადაიხადა. კონტრაქტს ხელი როგორც კი მოვაწერე, კენ ბეიტსმა („ჩელსის" ყოფილი მესაკუთრე. რედ) მითხრა, გილოცავ, შვილო, შენ ჩვენი სათადარიგოთა სკამი გააძლიერეო. ერთი წლის შემდეგ, ვერონისგან განსხვავებით, ძირითადში რეგულარულად ვთამაშობდი. „ვესტ ჰემში" იმიტომ დავბრუნდი, რომ ლონდონი და ჩემი ოჯახი ძალიან მენატრებოდა. დეკემბერში ცოლის ძმა დამელუპა. ამ დროსაც კი ვერ მოვახერხე ახლობლებთან ერთად ყოფნა და მივხვდი, რომ ლონდონში დაბრუნება მინდოდა. ახლა კი „ვესტ ჰემიდან" ფეხის მოცვლასაც აღარ ვაპირებ.

ამბები

## კასანო, უილიამსი და კონტრაქტები

ბრიტანული metro.co.uk-ის ცნობით, შესაძლოა, „ინტერისა" და იტალიის ნაკრების 30 წლის თავდამსხმელმა **ანტონიო კასანომ** მომდევნო სეზონიდან კარიერა „ლივერპულში" განაგრძოს. ტრანსფერი იმ შემთხვევაში დადგება დღის წესრიგში, თუკი მერსისაიდელებს **ლუის სუარესთან** გამოთხოვება მოუწევთ. კასანოს „ნერაძურიში" ალარ დაედგომება. მოგეხსენებათ, აპენინელი ვარსკვლავი ვარჯიშზე **ანდრეა სტრამაჩონისთან** ჩხუბის გამო კლუბმა 40 ათასი ევროთი დააჯარიმა. კასანოს გარდა „წითლები" სერიოზულად ფიქრობენ „სუონსის" 28 წლის ცენტრალური მცველის **ეშლი უილიამსის** შეძენაზეც. **ჯეიმი კარაგერის** პენსიაზე გასვლის შემდეგ კლუბს კვალიფიციური სტოპერი ნამდვილად დასჭირდება. უილიამსის მოხიბვლას ცდილობს „არსენალიც". „გედების" კაპიტანს უელსურ კლუბთან ხელშეკრულება 2015 წლამდე აკავშირებს. „გარდიანის" ცნობით, მსურველებს უილიამსის გადაბირება 8 მილიონი ფუნტი დაუჯდებათ.

## იორდი კლასის ინგლისური პერსპექტივა

პრემიერლიგის კლუბები „ფეიენოორდისა" და ჰოლანდიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, 21 წლის **იორდი კლასის** შეძენით არიან დაინტერესებულნი. მათ შორის ყველაზე მეტად „ტოტენჰემი" აქტიურობს, ვისაც ზაფხულზე **ტომას ჰადლსტოუნსა** და **ჯეიკ ლივერმორთან** განშორება აქვს გადაწყვეტილი. ფეხბურთელს როტერდამელებთან ხელშეკრულება 2015 წლის ივნისის ბოლოს უმთავრდება. შესაბამისად, კლასით დაინტერესებულებს (მაგალითად „ფიორენტინასა" და „სპარტაკს") მსუყე თანხის მოძიება დასჭირდებათ. ჰოლანდიური გამოცემები „ტოტენჰემს" „ფეიენოორდის" კიდევ ერთი ფეხბურთელით დაინტერესებას მიაწერენ. ლაპარაკია **ბრუნო მარტინს ინდიზე**. 21 წლის პორტუგალიელი მცველი 5,5 მილიონი ფუნტი ღირს. „დეზები" შემადგენლობის გასაძლიერებლად განიხილავენ „სოშოს" 22 წლის მარჯვენა მცველის **სებასტიენ კორშიას** ვარიანტსაც.

## ბენიტესი სეზონის ბოლომდე

„ჩელსის" ალმასრულებელი დირექტორი **რონ გურლეი** ამჟამად მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში იმყოფება, სადაც ლონდონური კლუბის საზაფხულო ტურნეს დეტალები შეათანხმა. პრესკონფერენციაზე მას ადგილობრივი ჟურნალისტები მიმდინარე საკითხებზეც დაეკითხნენ. ჩვენს აზიელ კოლეგებს აინტერესებდათ, რამდენად რეალურია სეზონის დასრულებამდე **რაფა ბენიტესის** გათავისუფლება. გურლეის თქმით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაირკვევა, რომ „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის მიღმა რჩება. სხვა შემთხვევაში მოვლენათა ამგვარი განვითარება გამორიცხულია.

## ბეილი ერთი წლით დარჩება, თუკი...

GOAL.COM-ის ცნობით, „ტოტენჰემის" 23 წლის უელსელი ვარსკვლავი **გარეთ ბეილი** მზადაა, „უაით ჰართ ლეინზე" კიდევ ერთი სეზონი გაატაროს. ამისთვის საკმარისია, დედაქალაქურმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. თუკი ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, გამოდის, რომ „დეზების" გულშემატკივრებს სანერვიულო ნაკლებად ჰქონიათ, რადგან პრემიერლიგის დასრულებამდე 10 ტურით ადრე „ტოტენჰემი" მესამე ადგილზეა და კონკურენტებს „ჩელსისა" და „არსენალს", შესაბამისად, 2 და 7 ქულით უსწრებს. მესამე ადგილი კი **ანდრე ვილაშ ბოაშის** გუნდს ჯგუფური ეტაპის საგზურს მოუტანს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

მილანი

# რით სჯობს დე შილიო მალდინის?

## ბალოტელის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა


მატია დე შილიოზე მილანში დიდ იმედებს ამყარებენ

მილანურ დერბიში **მარიო ბალოტელიმ** ტრავმა მიიღო, რის გამოც „ლაციოსთან“ მატჩის გამოტოვება მოუხდა. ექიმთა ვერდიქტით, 22 წლის ფორვარდს მხოლოდ ერთი მატჩი უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ უკანასკნელი ინფორმაციით, დიდია შანსი „ჯენოასაც“ ვერ შეერკინოს. გუშინდელ ვარჯიშზე, **მასიმილიანო ალეგრიმ** გუნდი ორ ნაწილად გაყო და ერთმანეთში ათამაშა, მარიო კი სპეციალური პროგრამით ტრენაჟორების დარბაზში ავარჯიშა. წვრთნის შემდეგ, ალეგრიმ ბალოტელის შესახებ კომენტარი გააკეთა:

*„მარიო ჯერ კიდევ არაა სრულად გამოჯანმრთელებული და ამიტომ, ვარჯიშებზე ბოლომდე არ ვტვირთავ. შესაძლოა, „ჯენოასთან“ მატჩის გამოტოვება მოუხდეს, რადგან მისი ჯანმრთელობის გარისკვას ნამდვილად არ ვაპირებთ. ყველაფერი უახლოეს ორ დღეში გაირკვევა, იქამდე კი მარიო ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშებს“.*

ამასობაში, „კორიერე დელო სპორტის“ ჟურნალისტს „მილანის“ ცოცხალი ლეგენდა **პაოლო მალდინი** გაესაუბრა და **მატია დე შილიოს** შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა... 20 წლის დე შილიო მიმდინარე სეზონში გამოჩნდა „როსონერის“ მთავარ გუნდში და უკვე იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ყურადღებაც კი მიიპყრო:

*„მატია დე შილიო ძალიან მომწონს, რადგან ის „მილანის“ სტილს იდეალურად ერგება. მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ უკვე მოასწრო თავის დამკვიდრება და დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ. ფიზიკურად მოსამატებელი აქვს, მაგრამ მის ასაკში არც მე მქონდა მუსკულატურა განვითარებული. თუ ასე გააგრძელებს, მისი სახით, „მილანს“ უდიდესი მცველი ეყოლება. მატიას მე მადარებენ? - ერთი რამით უდავოდ მჯობია, მას მარცხენა და მარჯვენა ფრთაზე თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში, რითიც მე ნამდვილად ვერ დავიკვეხნიდი“.*

რომა

# ოსვალდო ტრანსფერზე?

## ანდრეაცოლი კონტრაქტს ელის


პაბლო ოსვალდო

მას შემდეგ, რაც „რომას“ **აურელიო ანდრეაცოლი** ჩაუდგა სათავეში, დედაქალაქურმა გუნდმა ერთი მარცხი იწვნია და მიჯრით სამი შეხვედრა მოიგო, მათ შორის „იუვენტუსთან“. კლუბის მესვეურები დროებითი მწვრთნელის მუშაობით კმაყოფილნი არიან და დიდია შანსი, მასთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტიც გააფორმონ. თავად ანდრეაცოლის სწორედ ამის იმედი აქვს და არც მალავს:

*„მწვრთნელობისთვის მზად ვიყავი და ახალ საქმეს იოლად შევეგუე. „რომას“ დიდი პოტენციალი აქვს და ამაში დღითიდღე ვრწმუნდები. ნათლად ვხედავ, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს გუნდი და როგორ უნდა მივაღწიოთ დიდ წარმატებებს. დიდი სურვილი მაქვს, რომ კლუბთან კონტრაქტი გავახანგრძლივო და იმედია, ეს ასეც იქნება“.*

„რომას“ სპორტულმა დირექტორმა **ფრანკო ბალდინიმ** არ უარყო, რომ ანდრეაცოლისთან ხელშეკრულების გახანგრძლივების საკითხი დღის წესრიგში დგას. გამომდინარე აქედან, ბოლო დროს გავრცელებული სატრანსფერო ჭორების უკანაც სენიორ აურელიო მოიაზრება და იმასაც ამბობენ, რომ ანდრეაცოლი უკვე საზაფხულო კამპანიას გეგმავს. ყველაზე ხშირად **პაბლო ოსვალდოს** შესაძლო წასვლის შესახებ საუბრობენ, რომელიც ანდრეაცოლის თავიდანვე არ მოუვიდა თვალში. მწვრთნელმა 27 წლის ფორვარდი საჯაროდ გააკრიტიკა, როდესაც ამ უკანასკნელმა **ფრანჩესკო ტოტის** თერთმეტმეტრიანის დარტყმა არ დაანება. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, ოსვალდოს გადაბირება „ფიორენტინას', „იუვენტუსს“ და ინგლისური პრემიერლიგის გუნდებს სურთ და თავად პაბლოც არაა წინააღმდეგი კარიერა სხვაგან გააგრძელოს.

პაბლო ოსვალდოს მიმდინარე სეზონში 22 მატჩი აქვს ჩატარებული და 11 გოლი გატანილი. „გაძეტას“ მტკიცებით, მისი სატრანსფერო ღირებულება 15 მილიონი ევროა და რომაელები სწორედ ამ თანხად უპირებენ გასხვისებას.

„რომასთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი ცნობა გავრცელდა, რომლის მიხედვითაც **მარკინიოსს** მინიმუმ 10-დღიანი უქმობა მოუწევს. 18 წლის მცველი ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა, რის გამოც გასულ უქმეებზე არც უთამაშია. მარკინიოსი მეორე ფეხბურთელია, რომელიც „ჯალოროსის“ ბოლო დღეებში დააკლდა - როგორც გუშინდელ ნომერში გამცნეთ, ერთი თვე **მირალემ პიანიჩი** იუქმებს.

იუვენტუსი

# კვალიარელას იუვე არ ეთმობა


ფაბიო კვალიარელა

ბოლო პერიოდში, არაერთხელ გავრცელდა ცნობები **ფაბიო კვალიარელასთან** დაკავშირებით, რომელიც უკმაყოფილოა „იუვენტუსში“ მისი ამჟამინდელი ყოფით და წასვლაზე უჭირავს თვალი. საქმე იმაშია, რომ **ანტონიო კონტე** უფრო მეტად **სებასტიან ჯოვინკოს, მირკო ვუჩინიჩსა** და **ალესანდრო მატრის** ენდობა და მხოლოდ მათ შემდეგ მოდის კვალიარელა. მოკლედ, 30 წლის ფორვარდმა რამდენჯერმე საჯაროდ დაიწუწუნა და პრესაში უმალ გაჩნდა ინფორმაცია მისი ტრანსფერზე დაყენების შესახებ. ითქვა ისიც, რომ ფაბიოს გადაბირება „ინტერს“ სურს, რომელსაც თავდასხმაში აშკარად პრობლემები აქვს.

კვალიარელას მომავალი „იუვენტუსში“ მართლაც ბუნდოვანია, რადგან მომდევნო სეზონიდან „ვეკია სენიორას“ ღირსებას ესპანელი ფორვარდი **ფერნანდო ლორენტე** დაიცავს. მოკლედ, განცხადებები და გუნდში არსებული ვითარება ფაბიოს წასვლას მოასწავებს, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე - მოვუსმინოთ ფეხბურთელის პირად აგენტ **ბეპე ბოცოს**:

*„ფაბიოს მეტი სათამაშო დრო უნდა და ამის შესახებ ღიად განაცხადა, მაგრამ მას არ უთქვამს, რომ „იუვენტუსიდან“ აბარგების სურვილი აქვს. პირიქით, „ბიანკონერიში“ სურს თამაში და არსად წასვლას არ გეგმავს. მკაფიოდ მითხრა, რომ უნდა ისეთი დიდი გუნდის ნაწილი იყოს, როგორიც „იუვენტუსია“ და კარგად ესმის, რომ პერიოდულად თადარიგშიც მოუწევს ყოფნა. თუმცა, ვარჯიშებზე ყველაფერს აკეთებს, რომ მთავარი მწვრთნელის ნდობა მოიპოვოს“.*

ინტერი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ანტონიო კასანო „ტოტენჰემთან“ ითამაშებს

# კასანო ბრუნდება

## ანტონიო ტოტენჰემთან მატჩის განაცხადშია

პრაქტიკულად ყოველ დღე გვიწევს წერა **ანდრეა სტრამაჩონისა** და **ანტონიო კასანოს** კონფლიქტის შესახებ, რადგან ეს თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. იტალიურ პრესაში ისიც ითქვა, რომ მწვრთნელმა ფეხბურთელი მთავარი გუნდიდან მოკვეთა, თუმცა ასე მძიმედ არ ყოფილა საქმე... „ნერაძურის“ ოფიციალურ ვებგვერდზე, ევროპის ლიგაზე „ტოტენჰემთან“ გასამართი მატჩის განაცხადია გამოქვეყნებული, სადაც ანტონიოს სახელიც ფიგურირებს. მოკლედ, კასანო მხოლოდ ერთი მატჩით დასჯილა, რაც ალბათ „ინტერის“ გულშემატკივართათვის სასიამოვნო ამბავია. ამ თემაზე კომენტარი მილანური გრანდის ორმა ვეტერანმა გააკეთა და მოვუსმინოთ მათ...

**დეიან სტანკოვიჩი:** *„კონფლიქტები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია და ამაში გასაკვირი არაფერია. ადამიანები ვართ და შესაძლოა, რაღაც გაუგებრობაც მოგვივიდეს. კასანომ და სტრამაჩინიმ მართლაც იჩხუბეს, რაც არასასიამოვნო იყო, მაგრამ აქედანაც სარგებელი უნდა მივიღოთ. ამ ინციდენტმა თითქოს გამოგვაფხიზლა და მოტივაცია გაგვიათმაგა. „კატანიასთან“ მატჩის წინ, ყველას კარგად გვესმოდა, რომ მოგება აუცილებელი იყო. ჩვენ ვითამაშეთ კასანოსთვის და ვითამაშეთ სტრამაჩონისთვის, რადგან გამარჯვების შემდეგ, შერიგებისთვის იდეალური გარემო შეიქმნებოდა. დღეს, „ინტერი“ კიდევ უფრო ერთსულოვანია, ვიდრე ყბადაღებულ ინციდენტამდე“.*

**სებასტიან კამბიასო:** *„ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში უამრავი ასეთი ინციდენტი მახსენდება, რომელთა დიდი ნაწილი შიდა სამზარეულოს არ გაცდენია. საერთოდ, ჯობია ასეთი ამბები ჩვენშივე დარჩეს, მაგრამ სამწუხაროდ, კასანოსა და სტრამაჩონის კონფლიქტი მთელმა საფეხბურთო მსოფლიომ გაიგო. რეალურად, ეს იყო მცირე გაუგებრობა, რომელიც უკვე მოგვარდა. დღეს, „ინტერი“ ერთ მუშტად შეკრული გუნდია“.*

სამპდორია

# მწვანე შუქი გრანდებს

## იკარდიმ კონტრაქტი არ გაახანგრძლივა

20 წლის ტალანტ **მაურო იკარდის** „სამპდორიასთან“ 2014 წლის ზაფხულამდე აქვს ხელშეკრულება გაფორმებული, რომლის გახანგრძლივებასაც არ აპირებს. ამის შესახებ ფეხბურთელის პირადმა აგენტმა განაცხადა. ამ ცნობას უმალ გამოეხმაურა გენუური კლუბის სპორტული დირექტორი **კარლო ოსტი**, რომლის თქმითაც ახალგაზრდა ტალანტი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გაიყიდება. ეს სრულიად ლოგიკური ნაბიჯია, რადგან თუ ლიგურიელები მაუროს დროულად არ გაყიდიან, შემდეგ უკვე თავისუფალი აგენტის სტატუსით მოუწევთ მისი გაშვება. რაც უფრო მეტი დრო გავა, მით მეტ დათმობაზე მოუწევთ წასვლა „სამპას“ მესვეურებს და ამიტომ, ფეხბურთელის სარფიანად გასხვისებაზე აქედანვე ზრუნავენ. აი, რა განაცხადა ოსტიმ:

*„იკარდი ძალიან ჰგავს ლიონელ მესის, რომელიც ასევე როსარიოდანაა და ასევე, 19 წლის გაიცნო ევროპამ. ვფიქრობ, მაურო ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოთამაშეა მსოფლიო მასშტაბით და მისი გადაბირებაც ბევრს უნდა. სამწუხაროა, რომ არც თავად იკარდია წასვლის წინააღმდეგი და ამიტომ, მისი ტრანსფერზე დაყენება მოგვიწევს. მაუროს სატრანსფერო ფასი 15 მილიონი ევროა, მაგრამ თუ ასე გააგრძელა გოლების გატანა, ფასი მინიმუმ 20-ათასამდე აიწევს. რამდენიმე კლუბი უკვე იჩენს ინტერესს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს“.*

გვერდი მოამზადა **ლაშა წიკლაურმა**


მაურო იკარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი

# ზე რობერტო არ ბერდება

**IV ჯგუფი. IV ტური.**

**ემელეკი–დეპ. იკიკე 2:1**

**გოლები:** 1:0 მ. დე ხესუსი (57), 2:0 ვ. ანგულო (75), 2:1 ვილიალობოსი (78).

**გაძევება:** გრაბინსკი (65. დეპორტეს იკიკე).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| 2. პენიაროლი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 3. ემელეკი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-4 | 6 |
| 4. დეპ. იკიკე | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |

**V ჯგუფი. III ტური.**

**მილიონარიოსი–სან ხოსე 2:1**

**გოლები:** 1:0 პ. ფრანკო (17), 1:1 საუსედო (45), 2:1 რენტერია (81).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტიხუანა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. კორინთიანსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. მილიონარიოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. სან ხოსე | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

**VII ჯგუფი. III ტური.**

**ნიუელსი–უნივ. დე ჩილე 1:2**

**გოლები:** 0:1 მარინო (4), 0:2 არანგისი (17-პენ), 1:2 სკოკო (45).

**გაძევება:** ჰაინცე (71. ნიუელსი), ხ. როხასი (77. უნივ. დე ჩილე).

**ოლიმპია–დეპ. ლარა 2:2**

**გოლები:** 1:0 ბარეირო (22), 2:0 ბარეირო (48), 2:1 მ. ფერნანდესი (71), 2:2 ტორეალბა (86).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უნივ. დე ჩილე | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 2. ოლიმპია | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 3. დეპ. ლარა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 4. ნიუელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |

**VIII ჯგუფი. III ტური.**

**გრემიო–კარაკასი 4:1**

**გოლები:** 1:0 ბარკოსი (16), 2:0 ვერლეი (38), 3:0 ზე რობერტო (52), 3:1 სანჩესი (60), 4:1 ზე რობერტო (73).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრემიო | 3 | 2 | 0 | 1 | 8-3 | 6 |
| 2. ფლუმინენსე | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 3. კარაკასი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 4. უაჩიპატო | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |

**ბომბარდირები:** 3 – ბარეირო (ოლიმპია), ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე).

ლიბერტადორესის თასის მორიგი სათამაშო დღის ყველაზე საინტერესო მატჩი როსარიოში, **მარსელო ბიელსას** სახელობის სტადიონზე გაიმართა: „ნიუელს ოლდ ბოისი" ჩილეს ერთ-ერთ გრანდ „უნივერსიდად დე ჩილეს" მასპინძლობდა. შეხვედრა მასპინძლებისთვის კატასტროფულად დაიწყო: მე-17 წუთზე ანგარიში უკვე 0:2 იყო. ტაიმის ბოლო წუთზე, „ნიუელსის" საუკეთესო ბომბარდირმა **იგნასიო სკოკომ** სხვაობა შეამცირა და არგენტინელებს იმედი ჩაუსახა, თუმცა მეორე ტაიმში, **ხერარდო მარტინოს** შეგირდებმა გოლი ველარ გაიტანეს და მესამე ტურში მეორე მარცხი განიცადეს. ყველაფერთან ერთად, „ძველმა ბიჭებმა" **გაბრიელ ჰაინცეც** დაკარგეს, რომელმაც წითელი ბარათი მიიღო და „გრინგო" საკუთარ გუნდს მომდევნო ტურში ვერ დაეხმარება.

ამავე ჯგუფში, პარაგვაის „რეკორდმაისტერმა" „ოლიმპიამ" ვენესუელის „დეპორტივო ლარას" უმასპინძლა. „ოლიმპია" ფავორიტად ითვლებოდა და 48-ე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით იგებდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ქულით დაკმაყოფილდა. მეორე ტაიმში სტუმრებმა მცირე სასწაული მოახდინეს და ანგარიში გაათანაბრეს.

სამი ტურის შემდეგ, ჯგუფში ერთპიროვნულად „უნივერსიდად დე ჩილე" გალიდერდა, „ოლიმპია" და „დეპორტივო ლარა" მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ, „ნიუელს ოლდ ბოისი" კი 3 ქულით ბოლო ადგილზეა.

მე-8 ჯგუფს სათავეში „გრემიო" ჩაუდგა, რომელმაც „კარაკასი" გაანადგურა და 6 ქულა მოაგროვა. მასპინძელთა მხრიდან დუბლი უბერებელმა **ზე რობერტომ** შეასრულა, თითო გოლი კი **ერნან ბარკოსმა** და **ვერლეიმ** გაიტანეს.

მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო „მილიონარიოსმა" – კოლუმბიელებმა სახლში ბოლივიურ „სან ხოსეს" სძლიეს, თუმცა ძალიან კი გაუჭირდათ. გამარჯვების მომტანი გოლი 81-ე წუთზე **ვასონ რენტერიამ** გაიტანა და საკუთარ გუნდს პირველი ქულები დააგროვებინა. ამ გამარჯვების წყალობით, კოლუმბიის 14-გზის ჩემპიონმა ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა.

IV ჯგუფში „ემელეკმა" „დეპორტეს იკიკე" დაამარცხა და ლიდერების მსგავსად, 6 ქულა მოაგროვა. ეკვადორელები **მარლონ დე ხესუსის** და **ვინისიო ანგულოს** გოლებით მშვიდად იგებდნენ, თანაც „იკიკე" 65-ე წუთიდან მოყოლებული კაცნაკლული იყო, თუმცა ტურნირის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა **მანუელ ვილიალობოსმა** თავისი მორიგი გოლი გაიტანა და სიტუაცია დაძაბა. სტუმრებს ანგარიშის გასათანაბრებლად დრო არ ეყოთ და სახლში უქულოდ გაბრუნდნენ. ამ მარცხის შემდეგ, „დეპორტეს იკიკეს" ჯგუფიდან გასვლის შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლი გახდა.


37 წლის ზე რობერტომ დუბლი შეასრულა



კვირა ციფრებში



# გაუვალი დაცვა, პუპონე და გულგატეხილი გმირები

**დღეს ფრანჩესკო ტოტის მორიგ რეკორდზე, 15 წლის დებიუტანტზე, მიუნხენის „ბაიერნის" დაცვის სტაბილურობაზე და რაიან გიგზის და ლეო მესის მიღწევებზე ვისაუბრებთ...**

**1000** – ოფიციალური მატჩი. სამშაბათს, „რეალთან" შეხვედრაში, **რაიან გიგზმა** მორიგი რეკორდი დაამყარა. ვეტერანმა უელსელმა „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში 932 შეხვედრა გამართა, 64-ჯერ უელსის ნაკრების ფორმა მოირგო, ხოლო კიდევ ოთხი მატჩი დიდი ბრიტანეთის ნაკრებში ჩაატარა. გიგზს ხასიათი მისი გუნდის ნაგებამ გაუფუჭა, არადა, ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო: **სერხიო რამოსმა** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და „იუნაიტედი" დაწინაურდა. სხვათა შორის, რამოსის ეს ავტოგოლი, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში მე-6000 გოლი გამოდგა.

საბოლოოდ, **ნანის** გაძევების, **ლუკა მოდრიჩის** და **კრიშტიანო რონალდოს** გოლების გამო, „რეალმა" 2:1 მოიგო და გახდა პირველი გუნდი, ვინც ჩემპიონთა ლიგაში „ოლდ ტრაფორდზე" ორჯერ იმარჯვა.

**584** – წუთია „ბაიერნს" ბუნდესლიგის გასვლით შეხვედრებში გოლი არ გაუშვია, რაც გერმანიის ახალი რეკორდია. „ბაიერნმა" სტუმრად გოლი ბოლოს **მარკუს ფოილნერისგან**, 17 ნოემბერს გაუშვა და მას შემდეგ კარი მშრალად ზედიზედ 6 შეხვედრაში შეინახა. ფოილნერის გოლი საერთოდ ერთადერთია, რომელიც „რეკორდმაისტერმა" წელს სტუმრად ჩატარებულ მატჩებში საკუთარ კარში მიიღო. ბოლო ტურში, **იუპ ჰაინკესის** გუნდმა „ჰოფენჰაიმს", **მარიო გომესის** ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო. გომესმა კარიერაში 133-ე ბუნდესლიგური გოლი გაიტანა და ყველა დროს ბომბარდირთა სიაში **ჯოვანი ელბერს** წამოეწია.

**225** – გოლი სერია A-ში. **ფრანჩესკო ტოტი**, იტალიის ჩემპიონატის ყველა დროის ბომბარდირებში **გუნარ ნორდალს** წამოეწია და მასთან ერთად მეორე ადგილს იყოფს. „რომას" კაპიტანი, რომელსაც ამდენი გოლის გასატანად 525 მატჩის ჩატარება დასჭირდა, მხოლოდ **სილვიო პიოლას** ჩამორჩება, ვინც თავის დროზე 274 გოლი გაიტანა.

კვირას, „ჯენოას" წინააღმდეგ, ისტორიული გოლის გატანის გარდა, ტოტიმ ორი საგოლე პასიც გააკეთა და გუნდის გამარჯვებაში (3:1) უდიდესი წვლილი შეიტანა. დანარჩენი ორიდან ერთი გოლი **ლეანდრო რომანიოლიმ** გაიტანა, რომელიც 18 წლის ასაკში, ამ სეზონში „რომას" ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე გახდა. აღსანიშნავია, რომ სერია A-ში თავისი პირველი გოლი ფრანჩესკო ტოტიმ 1994 წლის 4 სექტემბერს გაიტანა, რომანიოლის დაბადებამდე 4 თვით და 8 დღით ადრე.

**18** – გოლი „ელ კლასიკოში", მადრიდის „რეალის" და „ბარსელონას" დაპირისპირებების რეკორდი გახლავთ, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში **ალფრედო დი სტეფანო** ფლობდა, ახლა კი მას **ლიონელ მესი** წამოეწია. 25 წლის არგენტინელმა, შაბათს გამართულ შეხვედრაში ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. „ბარსელონას" „რეალი" უკვე 5 მატჩია არ დაუმარცხებია - ასეთი ცუდი სერია კატალონიურ გუნდს ბოლოს 2006-2008 წლებში, გუნდში **პეპ გვარდიოლას** მოსვლამდე ჰქონდა.

მესიმ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" სეზონში 50-ე გოლი გაიტანა და გახდა პირველი ფეხბურთელი ესპანეთის ისტორიაში, რომელმაც 50 გოლი ზედიზედ სამ სეზონში გაიტანა. გარდა ამისა, არგენტინელმა გოლი პრიმერას ზედიზედ მე-16 შეხვედრაში გაიტანა, რაც ასევე რეკორდია.

**16** – არის სანთლების რაოდენობა, რომლებსაც **დანიელ დე სილვა** გუშინ, დაბადების დღის ტორტზე ჩააქრობდა. ხუთი დღით ადრე კი დანიელს ავსტრალიის ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა – „პერთ გლორის" ნახევარმცველი ცვლილებაზე გამოვიდა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში („სიდნეისთან", 2:1) მონაწილეობა მიიღო. საოცარია, მაგრამ დე სილვა A-ლიგის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი არ გახლავთ. რეკორდი **ტიბოი კამარას** ეკუთვნის, რომელმაც შარშან „ადელაიდას" რიგებში, პირველი შეხვედრა 15 წლის და 212 დღის ასაკში ჩაატარა.

ავსტრალიაში ერთი რეკორდი მაინც დამყარდა, უფრო სწორად გამეორდა. „ვესტერნ სიდნეი ოუნდერერსმა", რომელიც ჩემპიონატში მეორე ადგილზე იყო, ლიდერ „სენტრალ კოუსტს" 1:0 მოუგო და პირველ ადგილზე გადავიდა. „ვესტერნ სიდნეიმ" ზედიზედ მე-8 მატჩი მოიგო და „მელბურნ ვიქტორის" შედეგი გაიმეორა.

ზეიმის საბაბი „ვიქტორის" ფეხბურთელებსაც ჰქონდათ, კერძოდ **მარკ მილიგანმა**, ავსტრალიის უმაღლესი ლიგის ისტორიაში 2500-ე გოლი გაიტანა, მისმა გუნდმა კი „ნიუკასლს" 5:0 მოუგო.

საფრანგეთი. ლიგა 1. XXVII ტურის სტატისტიკური შეჯამება

# შეუჩერებელი სენტ ეტიენი

**„სენტ ეტიენმა" 2013 წელს უკვე 20 გოლი გაიტანა; „მონპელიემ" შინ მორიგი მატჩი მოიგო; ტურის გმირი კი კრიხოვიაკი გახდა, რომელმაც „რეიმსს" პსჟ დაამარცხებინა.**

**მთავარი:**

**20** - „ნიცას" განადგურების შემდეგ (4:1), „სენტ ეტიენს" 2013 წელს უკვე 20 გოლი აქვს გატანილი. „მწვანეებმა" 8 მატჩიდან 6 მოიგეს და 2 ფრედ დაასრულეს, რაც ბოლო 20 წელიწადში ამ გუნდისთვის წლის საუკეთესო დასაწყისია – 1993 წელს „სენტ ეტიენს", ზამთრის პაუზის შემდეგ, 10-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა. **კრისტოფ გალტიეს** გუნდმა 2013 წელს 5 გოლი გაუშვა, რაც პსჟ-სთან ერთად საუკეთესო შედეგია. გუნდის 20 გოლიდან, 13 ორი ფეხბურთელის ანგარიშზეა: **ბრანდაომ** თავი 6-ჯერ გამოიჩინა, **პიერ-ემეიკ ობამეიანმა** კი 7 გოლი გაიტანა.

**გუნდური მიღწევები:**

**12** - „მონპელიემ" „რენს" 2:0 მოუგო და გოლი ზედიზედ მეთორმეტე შეხვედრაში გაიტანა, რაც გუნდის ახალი რეკორდია. ასევე, **რენე ჟირარის** შეგირდებმა შინ ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვეს და ძველი მიღწევა გაიმეორეს.

**4** - „ლილმა" „ბორდოს" 2:1 მოუგო და ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, **რონი როდლენმა** ანგარიში გაათანაბრა და ლიგა 1-ში პირველი გოლი გაიტანა, გამარჯვების მომტანი გოლი კი **სალომონ კალუს** ანგარიშზეა. „ლილმა" ამ სეზონში პირველად მოიგო მატჩი, სადაც თავიდან მარცხდებოდა.

**6** - „რეიმსმა" სეზონში მე-6 გამარჯვება მოიპოვა. ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „პარი სენ ჟერმენი" დაამარცხა. მასპინძლებმა **სალვატორე სირიგუს** კარის მიმართულებით 16 დარტყმა განახორციელეს, რაც ამ სეზონში გუნდის საუკეთესო მაჩვენებელია.

**ინდივიდუალური მიღწევები:**

**7** – **სულეიმან კამარამ** „რენის" კარში ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა და საკუთარი გუნდის უპირატესობა გაამყარა (2:0). სენეგალელმა ფეხბურთელმა სეზონში მეშვიდე გოლი გაიტანა, აქედან ექვსი კამარამ საშინაო არენაზე შეაგდო.

**1** – „ნანსის" 19 წლის ფორვარდი **ფლორან ზიტი**, ლიგა 1-ში სულ მეორე შეხვედრას ატარებდა. ზიტი ძირითადში პირველად მოხვდა, კარში სულ ორჯერ დაარტყა, მაგრამ სადებიუტო გოლის გატანა მაინც მოახერხა. საბოლოოდ, „ნანსიმ" სტუმრად „სოშოს" 2:1 მოუგო და ლიგაში დარჩენის შანსი შეინარჩუნა.

2 – **გრჟეგორჟ კრიხოვიაკმა** სეზონში მეორე გოლი გაიტანა, „რეიმსს" „პარი სენ ჟერმენთან" მოაგებინა და ტურის გმირის სტატუსიც დაიმსახურა. პოლონელმა ფეხბურთელმა ყველაზე მეტი პასი (77) გააკეთა და ყველაზე მეტი ორთაბრძოლა მოიგო (22).

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# შენ ჩაქრი, ჩაქირ!

## კითხვას, იყო თუ არა გასაგდები ნანი, მოურინიომ ასპროცენტიანი პასუხი გასცა: ფეხბურთი ასეთია!



ჟოზეს ფერგის კარგად ესმის - მოურინიომ პრესკონფერენციაზე თქვა, სერ ალექსი ახლა თავს ისე გრძნობს, როგორც მე ვიყავი ორი წლის წინათ, როცა „ბარსელონასთან“ პეპე გამიძევესო

„უკეთესმა გუნდმა წააგო“, თქვა **ჟოზე მოურინიომ** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე. ჟოზემ კარგად იცის, რომ ყველამ იცის: უკეთესი გუნდი არის ის, რომელიც იმარჯვებს და მომდევნო ეტაპზე გადის. ასე რომ არ იყოს, როგორ უნდა გავარკვიოთ, რომელია უკეთესი გუნდი? ჟოზემაც იცის, რომ ეს ყველამ იცის და მაინც თქვა ის, რაც თქვა - მოურინიოს მხრიდან ეს განცხადება ნაწყენი **სერ ალექს ფერგიუსონის** მისამართით გაკეთებული მეგობრული ჟესტი იყო. ამ კატეგორიაში გადის ჟოზეს მეორე საქციელიც - მოურინიო საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე დაიძრა კატაკომბებისკენ და სასტვენის დროს უკვე თვალს ეფარებოდა. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ჟოზეს რალაცის შერცხვა - უბრალოდ, მოედანზე რომ დარჩენილიყო და შეგირდებთან ერთად ეზეიმა, ფერგის წინაშე არ იქნებოდა მართალი. ჟოზე და ფერგი ხომ მეგობრები არიან.

ფერგიუსონი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, **რიო ფერდინანდმა** საფინალო სასტვენის შემდეგ მსაჯ **ჩიუნეით ჩაქირს** ზედ ცხვირწინ დაუკრა ტაში - რამდენიმე მილიმეტრიც და თურქ არბიტრს ხელით შეეხებოდა... იოლი წარმოსადგენია, რას უსურვებენ „იუნაიტედის“ ფანები ჩაქირს, მაგრამ რაც არ უნდა ცივი გონებით განვსაჯოთ **ნანის** გაძევების მიზეზი, მაინც ერთ დასკვნამდე მივალთ: ჩაქირს შეეძლო, პორტუგალიელი არ გაეძევებინა და რომ გააძევა, ვერც ამის გამო გავკიცხავთ უკიდურესად. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ თურქი არბიტრი მომხდარს ზედმეტად პრაგმატულად და მკაცრად მიუდგა. მსაჯს ასეთ მატჩებში მეტი დაფიქრება და ჰუმანურობა მართებს, რადგან ასეთ გამარჯვებას გემოს ბოლომდე ვერც მოგებული გუნდი ჩაატანს, რისი დასტურიც მოურინიოს ის ორივე საქციელია, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მოკლედ, ჩიუნეითს ნანი არ უნდა გაეძევებინა...

**მანჩესტერ იუნაიტედი–რეალი 1:2**

**გოლები:** 1:0 სერხიო რამოსი (48-საკ. კარში), 1:1 მოდრიჩი (66), 1:2 კ. რონალდო (69)

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-3-2-1):** დე ხეა - რაფაელ და სილვა (87. ვალენსია), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - კერიკი, კლევერლი (73. რუნი), გიგზი - უელბეკი (81. იანგი), ნანი - ვან პერსი.

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - არბელოა (59. მოდრიჩი), ვარანი, სერხიო რამოსი, ფაბიო კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (45. კაკა), იოზილი (71. პეპე), კ. რონალდო - იგუაინი.

**გაფრთხილება:** ევრა, კერიკი - არბელოა, კაკა, პეპე

**გაძევება:** ნანი (56)

**მაყურებელი:** 74 959

### რეაქციები

**მაიკ ფილანი (მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი):** „ფერგის მსაჯზე ლაპარაკი არ უნდა და პრესკონფერენციაზე მე გამომიშვა. ყველანი ძალიან იმედგაცრუებულები ვართ. გასახდელში ჯოჯოხეთური განწყობაა - ყველა ერთმანეთს ეკითხება, რა მოხდა და რატომ მოხდა ის, რაც მოხდა. ჩვენ ანგარიში გავხსენით, თამაშს ვიგებდით და მეოთხედფინალში გავდიოდით. მერე კი მსაჯის გადაწყვეტილებამ მთელი თამაში რადიკალურად შეცვალა. ჩაქირის საქციელი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.“

**ჟოზე მოურინიო („რეალის“ მთავარი მწვრთნელი):** „ნანის გაძევების მიუხედავად, დღეს უკეთესმა გუნდმა წააგო. დიეგო ლოპესი შესანიშნავი იყო! ჩემმა გუნდმა არ ითამაშა კარგად და არც მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ მოვიგეთ - ფეხბურთი ასეთია. ნანის გაძევებაზე კომენტარის გაკეთება არ მინდა, რადგან არ ვარ დარწმუნებული, ვიცი თუ არა ზუსტად, იყო თუ არა გასაგდები. ვფიქრობ, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ახლა თავს ისე გრძნობს, როგორც მე ვიყავი ორი წლის წინათ, როცა „ბარსელონასთან“ პეპე გამიძევეს.“

**კრიშტიანო რონალდო (რეალი):** „ბედნიერი ვარ რომ მოვიგეთ და თან გული მტკივა იმის გამო, რომ „მანჩესტერი“ გავარდა. მართალია, ჩემი გოლი არ ვიზეიმე, მაგრამ გულში ძალიან მიხაროდა.“

**ჩაბი ალონსო (რეალი):** „რთული იყო იმის გადაწყვეტა, იმსახურებდა თუ არა ნანი გაძევებას. ფაქტი ისაა, რომ ამის შემდეგ ჩვენ ძალიან კარგად ავთამაშდით და გოლებიც გავიტანეთ.“

**დიეგო ლოპესი (რეალი):** „ეს იყო დაუვიწყარი საღამო გრანდიოზულ სტადიონზე და ურთულესი გამარჯვება, რომელიც დავიმსახურეთ. „რეალმა“ დაამტკიცა, რომ ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ფავორიტია.“

### შემადგენლობები

მოულოდნელზე მოულოდნელი იყო ის, რომ ფერგიუსონმა **უეინ რუნი** და **შინჯი კაგავა** (ამ უკანასკნელმა გასულ უქმეებზე პრემიერლიგაში ხომ ჰეტ-თრიკი შეასრულა) სათადარიგოთა სკამზე დატოვა. სამაგიეროდ, მოსალოდნელი იყო უბერებელი **რაიან გიგზის** ძირითად შემადგენლობაში გამოჩენა - უელსელმა კარიერის მე-1000 მატჩი ჩაატარა. გიგზი, როგორც ყოველთვის, მარცხენა ფლანგზე იდგა, მაგრამ ხშირად მადრიდელთა შეტევების ჩაშლით იყო დაკავებული. მარჯვენა ფრთიდან კი ნანი უტევდა. ტრავმირებული **ჯოუნსი** ნახევარდაცვის ცენტრში **კლევერლიმ** შეცვალა.



ჩიუნეით ჩაქირი მანჩესტერელთა გარემოცვაში



ნანის გაძევებით განწმატებული ფერგი

მოურინიოს საკადრო სიურპრიზები არ შემოუთავაზებია. როგორც მოსალოდნელი იყო, დაცვის ცენტრში, **სერხიო რამოსის** გვერდით ისევ ახალგაზრდა **ვარანი** ვიხილეთ და არა **პეპე**. ჟოზეს 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ტრადიციული შემტევი სამეული, **დი მარია, იოზილი** და **რონალდო** ვიხილეთ. „რეალის“ სასტარტო თერთმეტეული პირველი მატჩისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მოურინიომ ცენტრფორვარდად არა **ბენზემა**, არამედ **იგუაინი** გამოიყენა.

### გოლები

**0:1 რამოსი (48-საკუთარ კარში): ვან პერსის** დარტყმა დაიბლოკა, ვარანმა სიტუაცია ვერ განმუხტა, ნანის გასროლას უელბეკი უხეიროდ გამოეხმაურა, მაგრამ რამოსმა „მანკუნიანელობა ითავა“ და სამი მეტრიდან ბურთი საკუთარ კარში შეაგდო.

**1:1 მოდრიჩი (66):** ხორვატ ნახევარმცველს, რომელიც შეცვლაზე შევიდა, ძალიან ეფექტური გოლი გამოუვიდა: მოდრიჩმა 18 მეტრიდან დაარტყა და **დე ხეა** უშანსოდ დატოვა.

**1:2 კ. რონალდო (69): იოზილმა** ბრწყინვალე პასი მისცა **იგუაინს**, რომელმაც მეკარის საჯარომოში გამჭოლი პასით მოძებნა დროულად გახსნილი რონალდო, ამ უკანასკნელმა კი დე ხეას კარი ვარდნაში დალაშქრა.

**გმირი**

**დიეგო ლოპესი (რეალი)**

მოურინიოს აბსოლუტურად ვეთანხმებით: მატჩის გმირი უდავოდ მადრიდელთა მეკარე **დიეგო ლოპესია.** მართალია, პირველ ტაიმში რამდენჯერმე თავდაუჯერებლობა გამოამჟღავნა, მაგრამ მატჩის მიწურულს, როცა „იუნაიტედი“ უკანმოუხედავად უტევდა, რამდენჯერმე იხსნა „სამეფო გუნდის“ კარი.

**ანტიგმირი**

**ალვარო არბელოა (რეალი)**

თუკი პირველი მატჩის ანტიგმირად **რაფაელი** დავასახელეთ, ამჯერად ეს სტატუსი მადრიდელთა მარჯვენა მცველს, **ალვარო არბელოას** ეკუთვნის. ამ უკანასკნელს ძალიან უჭირდა უსწრაფეს ნანისთან ან უელბეკთან გამკლავება და ამასთან, შეტევაშიც ვერაფერი გააწყო. ტაქტიკურ მიზეზთან ერთად ამ ყველაფრის ბრალიცაა, ჟოზემ არბელოა თამაშიდან 58-ე წუთზე რომ მოხსნა.

### მსაჯი

ჩიუნეით ჩაქირზე შესავალში ბევრი ვისაუბრეთ, აქ კი მხოლოდ იმას დავძენთ, რომ თურქ არბიტრს ნანის გაძევებამდე პრობლემები არ შეჰქმნია. ეს იმის დამსახურებაცაა, რომ მანამდე თამაში კორექტული იყო. რომ არა ნანისთვის აფრიალებული წითელი ბარათი, რაც მომხდარის ზედმეტად მკაცრი შეფასება იყო, მატჩის შემდეგ ჩაქირზე ალბათ არავინ ილაპარაკებდა.

### მწვრთნელები

რამდენადაც გაოცებულები დავრჩით რუნისა და კაგავას სკამზე დასმით, იმდენად გაამართლა ნანისა და გიგზის ძირითადში გამწესებამ. ფერგიუსონს შეცვლებმა გაუმართლა იმ მხრივ, რომ იანგის, რუნის და ვალენსიას გამოჩენის შემდეგ „იუნაიტედი“ გაცილებით უკეთ ათამაშდა, თუმცა ეს სიტუაციის დამსახურებაცაა - მანკუნიანელებს უკან დასახევი გზა ხომ აღარ ჰქონდათ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნანის გაძევების შემდეგ ფერგიმ ცვლილებები დააგვიანა.

მოურინიოს გაცილებით ადრე, შესვენებაზე მოუხდა იძულებითი ცვლილების გაკეთება და ტრავმირებული დი მარიას ნაცვლად მოედანზე **კაკა** გამოიყვანა. ჟოზეს აქტივში უნდა ჩაეთვალოს არბელოას გაყვანა და ლუკა მოდრიჩის გამოყვანა, რადგან ანგარიში სწორედ ამ უკანასკნელმა გაათანაბრა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მოურინიომ „ოლდ ტრეფორდზე“ პირველად მოიგო.

### რაც თვალში მოგვხვდა

- ისევე, როგორც პირველ მატჩში, „რეალი“ „ოლდ ტრეფორდზეც“ ადრე აწუხებდა „მანჩესტერს“: საწყის წუთებში **ხედირა** და **ალონსო** ბურთის მოპოვებას უმეტესად მანკუნიანელთა ნახევარზე ცდილობდნენ. თუმცა მადრიდელთა საყრდენ ნახევარმცველებსა და მცველებს შორის ხშირად იქმნებოდა სიცარიელე, რაც უელბეკმა ბოლომდე კარგად ვერ გამოიყენა.

- ბურთის მოპოვების შემდეგ მანჩესტერელები ძალიან სწრაფად გადადიოდნენ შეტევაში, უელბეკი და ნანი ხშირად ცვლიდნენ ფლანგებს. „იუნაიტედის“ ფლანგის მცველები კი შეტევაში ვერ აქტიურობდნენ.

- მადრიდელები შეტევებს უმეტესად დი მარიასკენ და რონალდოსკენ გაკეთებული დიაგონალური პასებით იწყებდნენ, არგენტინელი და პორტუგალიელი კი უმეტესად მარცხენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც რაფაელი ისევ დიდ გასაჭირში იყო.

- „რეალი“ ზედმეტად ხშირად უტევდა მარცხენა ფლანგიდან და ამის გამო მადრიდელტა იერიშები იოლად პროგნოზირებადი იყო.

- ნანის გაძევების შემდეგ მანჩესტერელებმა მხოლოდ დაცვაზე დაიწყეს ზრუნვა, „რეალმა“ კი მეტოქე დაწნეხა და რიცხვობრივი უპირატესობის მოპოვების შემდეგ, თამაშის შესატრიალებლად ათი წუთი ეყო.

- რონალდოს, რომელიც „ოლდ ტრეფორდზე“ პირველად დაბრუნდა, ძალიან კარგად ნამდვილად არ უთამაშია. პორტუგალიელმა შორიდან ორჯერ სცადა გოლის გატანა, მაგრამ მიზანმა ორჯერვე უმტყუნა. 69-ე წუთზე გატანილი გოლის მომენტში კი დაამტკიცა, რომ ცენტრფორვარდის უტყუარი ალღოც აქვს.

### დასკვნა

„რეალმა“ მხოლოდ ნანის გაძევების შემდეგ შეუტია ხეირიანად, მანჩესტერმა კი მაშინ, როცა უკვე სხვა გზა აღარ ჰქონდა. ხშირად გვითქვამს, რომ ფერგიუსონი სიბერეში ზედმეტად ფრთხილი გახდა. სერ ალექსს ჩვენგან, რა თქმა უნდა, არაფერი ესწავლება, მაგრამ როცა ათკაციანი „იუნაიტედი“ მოურინიოს „რეალს“ ასე კარგად უტევს, ძალაუნებურად დაუკმაყოფილებლობის განცდა გეუფლება - ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ მანჩესტერელები ნანის გაძევებამდეც ცოტათი მეტად რისკიანები ყოფილიყვნენ?

**გოტფრიდ ლენცი**

ოთხშაბათის მატჩები

# იმედის 11 წუთი

## და განწირული შოტლანდიელები

**იუვენტუსი–სელტიკი 2:0 (3:0)**

**გოლები:** 1:0 მატრი (24), 2:0 კვალიარელა (65)

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბარძალი, მარონე, ბონუჩი – პოგბა, ვიდალი (66. ისლა), პირლო (68. ჯაკერინი), პელუსო (58. კ. ასამოა), პადოინი – მატრი, კვალიარელა

**სელტიკი (4-5-1):** ფორსტერი – მეტიუსი (52. ფორესტი), უილსონი, კაიალი, ისაგირე – ვანიამა (46. ემბროუზი), ლედლი, მალგრიუ, კომონსი (72. ლასადი), სამარასი - ჰუპერი

**გაფრთხილება:** პელუსო - ისაგირე

**კარში დარტყმა:** 8-12 (5-5) **კუთხური:** 1-3 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 14-14 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 39 011

**პსჟ–ვალენსია 1:1 (2:1)**

**გოლები:** 0:1 ჟონასი (55), 1:1 ლავეცი (66)

**პარი სენ-ჟერმენი (4-4-2):** სირიგუ – ჟალე (27. ვან დერ ვილი), სილვა, ალექსი, მაქსველი – მატუიდი, მოტა (58. გამეირო), პასტორე, შანტომი – ლავეცი, მოურა (83. სახო)

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბარაგანი, ვ. რუისი, მატიო, სისოკო – პარეხო, ალბელდა (46. ბანეგა) – ჟონასი (76. ვალდესი), ტ. კოსტა, ფეგული (63. პიატი) - სოლდადო

**გაფრთხილება:** ლავეცი - ალბელდა, ვ. რუისი, სოლდადო, პარეხო, ბანეგა

**კარში დარტყმა:** 4-7 (3-3) **კუთხური:** 4-13 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 11-18 **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 44 867

წუხელ ერთმანეთს ორი ისეთი წყვილი დაუპირისპირდა ერთმანეთს, სადაც ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ პირველივე თამაშებში იყო გადაწყვეტილი. შოტლანდიის ჩემპიონ “სელტიკს” მხოლოდ ოცნება შეეძლო მომდევნო ეტაპზე. რეალურად კი მაქსიმუმი რასაც შეიძლებოდა გასწვდენოდა, კარის გაჯახუნება იყო. “კელტებმა” თამაში ჭკვიანურად დაიწყეს და პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მათ შექმნეს. მე-20 წუთზე **ჯო ლედლიმ** 25 მეტრიდან სცადა ანგარიშის გახსნა. მასპინძლებს გაუმართლათ – ბურთმა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. ორიოდე წუთში **ნილ ლენონის** გუნდის დაცვა ჩავარდა. მეკარის მოგერიებულ ბურთს ცარიელ კარში მიუჩინა ადგილი **ალესანდრო მატრიმ.** ორი მატჩის ჯამში 4:0 უკვე დასასრულს ნიშნავდა. შოტლანდიელები ბოლომდე არ დანებებულან. ისინი შელახული პატივმოყვარეობის ალსადგენად იბრძოდნენ. **ანტონიო კონტეს** გუნდს კი კარგი ვარჯიში გამოუვიდა. პირველის მსგავსად “იუვემ” მეორე ნახევარშიც ერთხელ გაიბრწყინა და კიდევ გაიტანა. **ანდრეა პირლოს** გენიალური გადაცემის შემდეგ **არტურო ვიდალმა** **ფაბიო კვალიარელას** ცარიელ კარში გაატანინა.

პირველი მატჩების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის მონაწილე ესპანური გუნდები მძიმე დღეში ჩავარდნენ. “რეალმა” ეშაფოტს თავი დააღწია. „ვალენსიამ“ ეს ვერ მოახერხა. ჯერი ახლა “ბარსელონაზეა”. “ღამურებს” ევროთასებზე საფრანგეთის წარმომადგენლებთან აქამდე 19 თამაშში ერთადერთი წაგება ჰქონდათ. “მესტალიაზე” ისინი მეორედ დამარცხდნენ. „ლურჯ-წითლებს“ კი ისტორიაში 13-ჯერ ჰქონდათ პლეი ოფის დაპირისპირება გასვლაზე მოგებით დაწყებული და ყოველ ჯერზე ახერხებდნენ საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას. ასე მოხდა ამჯერადაც. „პარკ დე პრენსზე“ მეტოქეებმა დიდი ვერაფერი სანახაობა გვიჩვენეს. **ერნესტო ვალვერდეს** გუნდი ბურთს უკეთ აკონტროლებდა და უფრო ხშირად ახერხებდა თამაშის გამწვავებასაც. ესპანელებს **ჟონასის** გოლით თითქოს იმედიც მიეცათ, მაგრამ **კარლო ანჩელოტის** შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა გაუმართლა. **კევინ გამეირომ ესეკიელ ლავეცის** საგოლე გადაცემა ლანგრით მიართვა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ კი **კარლო ანჩელოტის** შეგირდებს მეტოქისთვის შანსი აღარ მიუციათ.



მატრიმ ანგარიში გახსნა

**ლევან ბიბილაშვილი**

# დორტმუნდი უკვე დიდი გუნდია!



## ლუჩესკუ ბორუსიას ფინალში გასვლას უსურვებს

**დორტმუნდის „ბორუსიამ“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში შეისვარნა - ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. „შახტარი“ უდავოდ კარგი გუნდია, რაც დონეცკელებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, მაგრამ „დორტმუნდი“ გაცილებით დიდი გუნდია და კონკრეტულად ამ, იურგენ კლოპის ფორმაციის „ბორუსიას“ კიდევ ბევრის გამწარება შეუძლია. დორტმუნდელებმა დონეცკელები მსუბუქი, სწრაფი, ტექნიკური, ხალასი და ძალისმიერი ფეხბურთის იდეალური ნაზავით გაანადგურეს.**

**დორტმუნდი–შახტარი 3:0**

**გოლები:** 1:0 ფელიპე სანტანა (31), 2:0 გიოტცე (37), 3:0 ბლაშჩიკოვსკი (59)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - გიუნდოგანი (82. ნ. შაჰინი), ს. ბენდერი (46. კელი) - ბლაშჩიკოვსკი (70. გროსკროიტცი), გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, რაკიცკი, კუჩერი, რაცი - ფერნანდინიო, ჰიუბშმანი - ალექს ტეიშეირა, მხითარიანი, ტაისონი (46. დუგლას კოშტა) - ლუის ადრიანო.

**გაფრთხილება:** კუჩერი

**მაყურებელი:** 65 413

### რეაქციები

**იურგენ კლოპი („დორტმუნდის“ მთავარი მწვრთნელი):** „ეს მართლაც არაჩვეულებრივი დღეა „დორტმუნდის“ ისტორიაში. არა მარტო იმიტომ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავედით, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ ამ ტურნირზე ბრწყინვალე ფეხბურთს ვთამაშობთ. თვითონაც არ მჯერა, რომ ბიჭებმა დღეს ასეთი სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშეს.“

**მირჩა ლუჩესკუ („შახტარის“ მთავარი მწვრთნელი):** „ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას ვუსურვებ, რადგან მართლა ძალიან მაგარი გუნდია.“

**გმირი**

**მარიო გიოტცე (დორტმუნდი)**

„ბორუსიას“ ათიანი ბევრს მოძრაობდა, მუდმივად ბურთს ითხოვდა და „დორტმუნდის“ თითქმის ყველა შეტევაში მიიღო მონაწილეობა. კუთხური, რომელსაც **ფელიპე სანტანას** გოლი მოჰყვა, სწორედ **გიოტცემ** მოიპოვა, მეორე გოლი კი თავად შეაგდო. საერთო ჯამში მარიომ შვიდ საგოლე მომენტში მიიღო მონაწილეობა, რაც საკმარისი არგუმენტია საიმისოდ, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ვასახელებთ.

**ანტიგმირი**

**ოლექსანდრ კუჩერი (შახტარი)**

**კუჩერი** აჭრილი იყო. უკვე მე-15 წუთზე გაფრთხილება მიიღო და მსაჯი **ჩიუნეით ჩაქირივით** მკაცრი რომ ყოფილიყო, 30-ე წუთზე წითელ ბარათსაც აუფრიალებდა. ამასთან, დონეცკელთა ცენტრალურმა მცველმა ორთაბრძოლების მხოლოდ 40 პროცენტი მოიგო და მეორე გოლის დროს პოზიციური შეცდომა დაუშვა.

### რაც თვალში მოგვხვდა

- „დორტმუნდმა“ თავიდანვე პრესინგს მიმართა, ინიციატივას დაეუფლა და შეუტია. განსაკუთრებით კარგად მარიო გიოტცე და **რობერტ ლევანდოვსკი** კომბინირებდნენ. დონეცკელებს მხოლოდ კონტრშეტევებზე ეძლეოდათ შანსი, მაგრამ გადაბმულად რამდენიმე პასის გაკეთებასაც კი ვერ ახერხებდნენ.

- შახტარის სუსტი წერტილი მარცხენა მცველი **რაცი** გახლდათ. შესაბამისად, „ბორუსია“ უმეტესად სწორედ მისი ფლანგიდან უტევდა.

- დორტმუნდელები მათთვის ჩვეულ სტილში, მოკლე და სწრაფი პასებით კომბინირებდნენ. გიოტცე და ლევანდოვსკი უკან დახევას და შავი სამუშაოს შესრულებასაც არ თაკილობდნენ.

- ბურთის მოპოვება ცენტრში, სწრაფი პასი გიოტცესკენ, რომელიც ლევანდოვსკის ეძებდა - ასე ვითარდებოდა „ბორუსიას“ შეტევების აბსოლუტური უმრავლესობა.

- მეორე ტაიმი „შახტარმა“ გაცილებით ვაჟკაცურად და აზრიანად დაიწყო. შეცვლაზე შესულმა **დუგლას კოშტამ** დონეცკელთა შეტევებს პენი შემატა, მაგრამ პიატოვის შეცდომამ „შახტარის“ უკანასკნელი იმედებიც დაასამარა.

**დასკვნა**

„დორტმუნდის“ გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია. **კლოპის** გუნდმა განსაკუთრებით კარგად პირველ ტაიმში ითამაშა. „ბორუსიას“ ეტყობა, რომ უკვე ჩამოყალიბებული, გამოცდილი და დიდი წარმატებებისთვის მომწიფებული კოლექტივია, რაც კლოპს და მის შეგირდებს მეოთხედფინალშიც წაადგებათ.

**გოტფრიდ ლენცი**



წერტილი იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ დასვა



## უცხოური ფეხბურთი

### სავარაუდო ტრანსფერი

# ნეიმარმა საბოლოოდ გადაწყვიტა ბარსელონა!



„სანტოსის“ 21 წლის ფორვარდ **ნეიმართან** დაახლოვებულმა პირმა ბრაზილიურ მედიას განუცხადა, რომ ფეხბურთელმა საბოლოოდ გააკეთა არჩევანი „ბარსელონას“ სასარგებლოდ.

მართალია, მისი გადაბირება ჯერაც ძლიერ სურთ „ბაიერნს“ და „მანჩესტერ სიტის“, მაგრამ ნეიმარს გული კატალონიაში მიუწევს. ინგლისელები ნეიმარს ზღაპრულ კონტრაქტს ჰპირდებიან, მაგრამ ფეხბურთელს, რომლის შემოსავალიც უკვე აჭარბებს 20 მილიონ ევროს წელიწადში (რეკლამები და ფეხბურთის თამაში), მხოლოდ ფინანსური კუთხით ველარ მოხიბლავ.

*„მანჩესტერ სიტი“ ძალიან დაინტერესებულია და მზად არის ნეიმარის სანაცვლოდ ფულით გამოტენილი თვითმფრინავი შესთავაზოს. მაგრამ ფული ნეიმარის გადაწყვეტილებების მამოძრავებელი ძალა კარგა ხანია, არ არის“,* განაცხადა ბრაზილიელი ვარსკვლავის მეგობარმა.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ „ბარსელონას“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ ნეიმარი „ბარსას“ სატრანსფერო სიაშია და ეს ინფორმაცია კატალონიური გრანდის ოფიციალურ საიტზეც დაიბეჭდა.

თავად ნეიმარმა კი განაცხადა, რომ შესაძლოა, „სანტოსიდან“ მუნდიალის დადგომამდეც წავიდეს, რასაც აქამდე კატეგორიულად გამორიცხავდა.

### ატლეტიკო

# სიმეონე 2017 წლამდე ატლეტიკოში დარჩა

მადრიდის „ატლეტიკომ“ ხელშეკრულება გაუგრძელა არგენტინელ მწვრთნელ **დიეგო სიმეონეს**, რომელსაც კონტრაქტი „როხიბლანკოსთან“ სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა.

ახალი ხელშეკრულება 4-წლიანია და 42 წლის სპეციალისტი მადრიდში 2016/17 წლების სეზონის ბოლომდე დაჰყოფს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან დიეგო სიმეონემ საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა „ატლეტიკოში“ გუნდმა ევროპალიგა მოიგო, ესპანეთის თასის ფინალშია, ლა ლიგაში კი მე-2 ადგილზეა, უსწრებს თანაქალაქელ „რეალს“.

დიეგო სიმეონემ შარშანდელი სეზონის შუაში შეცვალა **გრეგორიო მანსანო** (ახლა „მალიორკას“ მწვრთნელი). „ელ ჩოლო“ (ესპანურად წმინდანი) ბედნიერია „ატლეტიკოში“ მუშაობით.

### ბრაზილიის ნაკრები

# ნაკრებში კაკა გამოიძახეს, რონალდინიო არა

**ლუიზ ფელიპე სკოლარიმ** იტალიის და რუსეთის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩებისთვის ბრაზილიის ნაკრების 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ „რეალის“ ნახევამცველი **კაკა** ეროვნულ გუნდშია, ხოლო „ატლეტიკო მინეიროს“ ვეტერანი ფორვარდი **რონალდინიო** შემადგენლობაში ვერ მოხვდა.

**ბრაზილიის ნაკრები**

**მეკარეები:** ჟულიო სეზარი (ქპრ), დიეგო კავალიერი (ფლუმინენსე).

**მცველები:** დანიელ ალვეში (ბარსელონა), ტიაგო სილვა (პსჟ), დავიდ ლუისი (ჩელსი), დანტე (ბაიერნი), ფილიპე ლუიში (ატლეტიკო), მარსელო (რეალი), დედე (ვასკუ და გამა).

**ნახევარმცველები:** რამირესი, ოსკარი (ჩელსი), პაულინიო (კორინთიანსი), ერნანესი (ლაციო), კაკა (რეალი), ლუკას მოურა (პსჟ), დიეგო კოშტა (ატლეტიკო), ლუის გუსტავო (ბაიერნი), ჟანი (ფლუმინენსე), ფერნანდო (გრემიო).

**თავდამსხმელები:** ჰალკი (ზენიტი), ნეიმარი (სანტოსი), ფრედი (ფლუმინენსე).

21 მარტს ჟენევაში ბრაზილია იტალიას დაუპირისპირდება, 25 მარტს ლონდონში რუსეთს.

### ლეგენდა

# მარადონა საფრანგეთის ჩემპიონის მწვრთნელი ხდება

გარკვეული პაუზის შემდეგ, არგენტინული ფეხბურთის ლეგენდა **დიეგო არმანდო მარადონა** ისევ გამოჩნდა საფეხბურთო სამყაროში, ის ჯერ ნეაპოლში ჩავიდა, სადაც თქვა, რომ „ნაპოლის“ მწვრთნელობაზე უარს არ იტყოდა, შემდეგ მადრიდში კლასიკოს დაესწრო. ამის შემდეგ „მარკასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ უარს „ბარსელონას“ მწვრთნელობაზე არ იტყოდა.

საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ არგენტინელმა თავი შესაძლოა, საფრანგეთის ჩემპიონის თავკაცად ამოყოს. ყოველ შემთხვევაში, მისი აგენტი აცხადებს, რომ 75%-ია იმის შანსი, რომ დიეგომ „მონპელიე“ ჩაიბაროს.

დიეგოს წარმომადგენლებმა, **იუსეფ ჰაიჯუბმა** განაცხადა, რომ მარადონამ შეიძლება ზაფხულში „მონპელიე“ ჩაიბაროს. გუნდის მწვრთნელი **რენე ჟირარი**, სეზონის ბოლოს მიდის „მონპელიედან“. *„ახლა ამის შანსი 75%-ია. თავად მარადონას სურს „მონპელიეში“ წასვლა. არა მგონია, რაიმე პრობლემა შეგხვდეს მომავალში. ამ ხელშეკრულებასთან ერთად დაიდება სასპონსორო ხელშეკრულება და დამტკიცდება ბიუჯეტი. დიეგო მებრძოლია და მას კიდევ სურს სამწვრთნელო ასპარეზზე წარმატების მიღწევა“.*

### ჰოლანდიის ნაკრები

# ვან გაალმა ფეიენოორდის ვუნდერკინდები აიყვანა

ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა **ლუის ვან გაალმა** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებისთვის 26-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

22 მარტს ჰოლანდიის ნაკრები „ამსტერდამ არენაზე“ ესტონეთის ნაკრებს უმასპინძლებს, 4 დღის შემდეგ კი რუმინეთის ნაკრებს დაუხვდება.

ვან გაალმა ნაკრებში პირველად გამოიძახა „ფეიენოორდის“ ვუნდერკინდები, **ჟან-პოლ ბოიოტიუსი** (18 წლის) და **ტონი დე ტრინიდად ვიენა** (18) მიიწვია (ფოტოზე).

ასევე პირველად არის ეროვნულ გუნდში მიწვეული „უტრეხტის“ მცველი **მაიკ ვან დერ ჰოორნი** (20 წლის).

ამასთან, ვან გაალმა ტაქტიკა იცვალა და რამდენიმე ვეტერანიც დააბრუნა ნაკრებში: **ვესლი სნეიდერი, მაარტენ სტეკელენბურგი** და **რაფაელ ვან დერ ვაარტი**.

ვან გაალმა გუნდში არ მიიწვია **ჯერმაინ ლენსი**, რადგან პსვ-ს ფეხბურთელმა „ფეიენოორდთან“ მატჩის შემდეგ იჩხუბა.

**ჰოლანდიის ნაკრები**

**მეკარეები:** კენეტ ვერმეერი (აიაქსი), მიხელ ვორმი (სუონსი), მაარტენ სტეკელენბურგი (რომა).

**მცველები:** დელეი ბლინდი (აიაქსი), მაიკ ვან დერ ჰოორნი (უტრეხტი), დარილ იანმაატი (ფეიენოორდი), ჯეტრო ვილემსი (პსვ), იორის მატეისენი (ფეიენოორდი), რიკარდო ვან რეინი (აიაქსი), სტეფან დე ვრეი (ფეიენოორდი).

**ნახევარმცველები:** ხორდი კლასი (ფეიენოორდი), ვესლი სნეიდერი (გალათასარაი), ჯონათან დე გუზმანი (სუონსი), ადამ მაჰერი (აზ), კევინ სტროოტმანი (პსვ), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), სიმ დე იონგი (აიაქსი), ტონი ვიენა (ფეიენოორდი).

**თავდამსხმელები:** ჟან?ოლ ბოიოტიუსი (ფეიენოორდი), კლაას?ან ჰუნტელაარი (შალკე), დირკ კუიტი (ფენერბაჰჩე), ოლა ჯონი (ბენფიკა), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), ბად დოსტი (ვოლფსბურგი), არიენ რობენი (ბაიერნი), რუბენ შაკენი (ფეიენოორდი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ევროპალიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები

| 7 მარტი | | | |
|---|---|---|---|
| ანჟი (რუს)-ნიუკასლი (ინგ) | 21:00 | ბაზელი (შვე)-ზენიტი (რუ) | 00:05 |
| პლზენი (ჩეხ)-ფენერბაჰჩე (თურ) | 22:00 | ბენფიკა (პორ)-ბორდო (საფ) | 00:05 |
| სტიაუა (რუმ)-ჩელსი (ინგ) | 22:00 | ლევანტე (ესპ)-რუბინი (რუს) | 00:05 |
| შტუტგარტი (გერ)-ლაციო (იტა) | 22:00 | ტოტენჰემი (ინგ)-ინტერი (იტა) | 00:05 |

## ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ძიუდო. ინტერვიუ ირაკლი უზნაძესთან

# შავდათუაშვილს სპარინგები სჭირდება

## ევროპული ტურნირების შეფასება

**ძიუდოისტთა ნაკრები დაბრუნდა ევროპიდან, სადაც ზედიზედ ორ ტურნირში იასპარეზა - დიუსელდორფში „დიდ პრიზზე“ და ვარშავაში „ევროპის ღია თასზე“. საბედნიეროდ, ორივეგან წარმატებით გამოვიდნენ, თუმცა უფრო მეტად შედეგიანი გერმანული შეჯიბრება აღმოჩნდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ იქ ძირითადი შემადგენლობა გამოსცადა, პოლონეთში კი უმეტესად სათადარიგოები წაიყვანა. მთლიანობაში, ნაკრების თითქმის ყველა კანდიდატს მისცა შანსი და სამწვრთნელო შტაბმა გუნდის საერთო სურათიც იხილა.**



ირაკლი უზნაძე

წარმატება წარმატებად, მაგრამ საინტერესოა, რამდენად დააკმაყოფილა თავად უზნაძე ამ შეჯიბრებაზე ნანახმა. მით უფრო, გერმანიაშიც და გაცილებით მეტად - ვარშავაში ნაკლოვანებებიც ბლომად გამოჩნდა. ამ ტურნირებზე ოლიმპიურ ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილის** (66) დაბრუნებაც შედგა ოპერაციით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ და მასზე მწვრთნელის აზრიც გვაინტერესებდა, თუმცა ნაკლებ ინტერესს არც სხვა ნიჭიერი ახალგაზრდები იწვევდნენ. თან ევროპის ჩემპიონატიც კარს მოგვადგა და მზადების მიმდინარეობაც საინტერესოა... ერთი სიტყვით, წარმატების მიუხედავად, უზნაძესთან კითხვები ბლომად დაგვიგროვდა. მით უფრო, წლეულს შემოღებული ახალი წესის მიხედვით, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ერთი ქვეყნიდან მონაწილეთა რაოდენობა შეიზღუდა - შარშან თუ 14 სპორტსმენის მონაწილეობა იყო ნებადართული, ამჯერად მხოლოდ 9-ს თუ წაიყვან. ესეც ახალი თავსატეხია მწვრთნელებისთვის.

**- რამდენად გაგიმართლათ მოლოდინი ამ ორმა ტურნირმა, სადაც ნაკრების თითქმის ყველა კანდიდატი გამოსცადეთ?**

- დიუსელდორფში თვალსაჩინოდ ჩანდა, რომ ნაკრები საკმაოდ მაღალ დონეზეა მომზადებული. გუნდიც შეკრული იყო, ერთი მიზნისკენ მიმართული - ბიჭები გრძნობდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ ჭიდაობდნენ და მათ უკან იდგა ქვეყანა, ფედერაცია. მათ გაითავისეს, რომ მოგება-წაგება მარტო სპორტსმენის საქმე აღარაა და მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ყველა შეჯიბრებას.

სასიხარულოა, რომ გერმანიაში სწორედ იმ წონებში გავიმარჯვეთ, რომლებიც უძლიერესები იყვნენ მთელ ტურნირზე - 81-სა და 90-ში. ჭრიკიშვილმაც, წიკლაურმაც და ლიპარტელიანმაც ძლიერად იჭიდავეს, ასევე - გოგოჭურმაც და ოქრუაშვილმაც, თუმცა ამას ფინალში ცოტა დაღლა დაეტყო და ის შეცდომაც ამან გამოიწვია. გოგოჭურს სამსუნშიც გამოვცდით და თუ იქაც წარმატებით გამოვა, შეიძლება, საევროპო ნაკრებშიც დაიმკვიდროს ადგილი. პაპინაშვილიც სტაბილურ სპორტსმენად ჩამოყალიბდა, მაგრამ მონღოლ განბატთან ცოტა უჭირს სტილიდან გამომდინარე - ის ახლოდან ეჭიდავება, რაც ამისთვის არასასურველია. 66-ში ქარდავამაც და შავდათუაშვილმაც ნორმალურად იასპარეზეს. ლაშაზე სულაც ვფიქრობდით, რომ მხოლოდ ორი წრე ეჭიდავა, მაგრამ თვითონ ითხოვა, კარგად ვგრძნობ თავს და გავაგრძელებ ტურნირსო. იაპონელ ებინუმასთანაც ცუდად არ უასპარეზია, მაგრამ ცოტა რეაქცია აკლდა - ამდენი ხნის გაცდენის შემდეგ ოდნავ მოდუნებულია, შედარებით სისწრაფეც აკლია და ოდნავ გახსნაც სჭირდება. მთლიანობაში ცუდად არ გამოსულა, ამ ეტაპზე ამდენსაც არ ველოდით. მოულოდნელი იყო შუკვანის მარცხი, რაც ზედმეტმა თავდაჯერებამ გამოიწვია.

პოლონეთში უფრო მეტს ვგეგმავდი, რადგან ეს არ იყო დიუსელდორფის დონის შეჯიბრება და მედლისთვის მაინც უნდა ებრძოლათ, ისე ნაადრევად არ უნდა გამოვარდნილიყვნენ. მხოლოდ ქარდავას მარცხს თუ გაამართლებს ტრავმა, რომელიც შეჯიბრებისას მიიღო. ახალგაზრდები - ლაშა ტაველური და ბექა ღვინიაშვილი გერმანიაში შეკრებაზე უფრო თავისუფლად გამოიყურებოდნენ, ვიდრე - პოლონეთში. ვერ გეტყვით, ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ თუ რა მოხდა. 100 კილოგრამშიც მეტს ველოდი როგორც ლორიაშვილის, ისე - ჟორჟოლიანისგან, თუმცა მას ახალი განახლებული აქვს ვარჯიში და მოლოდინის შესაბამისად იჭიდავა. აპირებს, მომავალში მთელი სერიოზულობით ივარჯიშოს. სამსუნშიც გამოვცდით „დიდ პრიზზე“ და ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

**- შავდათუაშვილი მომავალში ჩვეულებრივი გრაფიკით გააგრძელებს მზადებას, თუ დამატებითი ვარჯიშებიც დასჭირდება?**

- არა, დამატებითი არაფერი უნდა, ჩვეულებრივად გააგრძელებს ვარჯიშს, მაგრამ სჭირდება მეტი სპარინგ-პარტნიორები, მეტი ორთაბრძოლები, რასაც საქართველოსა და გერმანიაში გასავლელ შეკრებებზე შეივსებს. სხვა მხრივ მისი რეაბილიტაცია გეგმაზომიერად მიდის. კიდევ ვიმეორებ - ამ ეტაპზე მისგან ამდენსაც არ ველოდი.

**- ახალგაზრდებიდან ბექა ღვინიაშვილზეც მინდა გკითხოთ - თქვენი აზრით, რატომ დარჩა უმედლოდ და სამომავლოდ რას გეგმავთ მასთან დაკავშირებით?**

- ის ძალიან პერსპექტიული და ქართულ ძიუდოში მართლაც ნათელი წერტილია, მაგრამ, ეტყობა, ჯერ ადრეა უფროსთა ნაკრებში გამოსვლა, მისი კარიერა ეტაპობრივად უნდა განვითარდეს. ვფიქრობთ, რომ მისთვის ძირითადი სადღეისოდ ახალგაზრდული ნაკრები უნდა იყოს. თან წონაც ახლახან შეიცვალა, რასაც წესების ცვლილებაც დაერთო და გადართვა უწევს. საჩქარო არაფერია და ჯობია, ეტაპები თანდათან გაიაროს.

**- ლიდერთა წარმატებები კარგია, მაგრამ პოლონეთში გამოჩნდა, რამდენად ჩამორჩებიან მათ სათადარიგოები, რამხელა პრობლემებია რეზერვის აღზრდის თვალსაზრისით... რით უნდა დაუახლოვდეს თაობების მომზადება ერთმანეთს და და საერთოდ - რაში ხედავთ ნაკრების რეზერვს?**

- მხოლოდ შრომაში და მეტ ვარჯიშში, სხვა გამოსავალი არაა. საბედნიეროდ, განწყობა ბიჭებში კარგია და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ვარჯიშსაც, შეჯიბრებასაც. ცხადია, სათადარიგოებთან მეტია სამუშაო, რადგან მათ სატურნირო გამოცდილებაც აკლიათ. იმედია, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ეს ხარვეზიც შეივსება.

მთლიანობაში, ახალ წესებს კარგად ავუღეთ ალღო - მეშინოდა, რომ უფრო გაუჭირდებოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. თუმცა უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ ჩავლებებზე. დღევანდელი ჭიდაობით კონტრილეთები შეიზღუდა. ამიტომ ვინც პირველ ჩავლებას აილებს, ინიციატივაც მის ხელშია.

**- სამაგიეროდ, ასეთი წესების გამო ილეთებმა მოიკლო...**

- ფეხში შესვლების აკრძალვით ილეთებმა მართლაც მოიკლო, თუმცა, სამაგიეროდ, გაიზარდა წელსზემოთა ფანდების რაოდენობა. ალბათ, ამის დამსახურებაა, რომ ძიუდოს სანახაობა არ დაუკარგავს და უინტერესო არ გამხდარა...

**- ევროპაზე წასაყვანი შემადგენლობაც უკვე გამოიკვეთებოდა...**

- 80 %-ით მართლაც გარკვეულია, მაგრამ ჯერ ადრეა მათი დასახელება. ერთს კი ვიტყვი, რომ ევროპის პირველობაზე ყველა წონაში გვეყოლება მონაწილე, ოღონდ რომლებში დავამატებთ კიდევ თითო მონაწილეს, ეს სამსუნში გამოსვლის შემდეგ გადაწყდება.

**- ევროპის პირველობისთვის მზადების რა ეტაპებს გაივლით?**

- დღეს ბაკურიანში მივდივართ შეკრებაზე, საიდანაც 23-ში დავბრუნდებით. ბიჭები რამდენიმე დღე დაისვენებენ და მერე გერმანიაში წავალთ ერთობლივ შეკრებაზე - ესაა საერთაშორისო ფედერაციის მიერ მოწყობილი 9-დღიანი საწვრთნელი კემპი, სადაც სპარინგებიც გვექნება, თუმცა მანამდე სამსუნის „დიდი პრიზია“. იქ ნაჭიდავები გუნდის ნახევარი წავა გერმანიაში, დასკვნით შეკრებას კი საქართველოში გავივლით.

**- სამსუნში რა შემადგენლობით იასპარეზებთ, უკვე გარკვეულია?**

- ბოლომდე - არა. ბაკურიანში გადავხედავთ გუნდს და გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მივიღებთ. ზოგიერთ წონაში, მაგალითად - 100-ში ჯერ არაფერია გარკვეული, ზოგან კი მეორე ნომერია გამოსავლენი.

**ირაკლი თავაძე**

სპორტი ყველასათვის

# რესოციალიზაცია სპორტის გამოყენებით

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი მიმდინარე წელს „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ახორციელებს ქვეპროგრამას „არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანი და ახალგაზრდა (26 წლამდე) მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობას სპორტის აქტიური გამოყენებით, არაფორმალური განათლების და პროფესიული (სახელობო) სწავლების უზრუნველყოფით. პროექტის ფარგლებში მსჯავრდებულთა დაწესებულებებში მოეწყობა სპორტული ტურნირები სპორტის სახეობებში, როგორიცაა: ფეხბურთი, ქუჩის კალათბურთი, ფრენბურთი, მკლავჭიდი.**

ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მსჯავრდებულებთან ვიზიტი შედგა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი სოზარ სუბარი და პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლები ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიას ეწვივნენ.

არასრულწოვნებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსგან საჩუქრად გადაეცათ სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი, სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორები), სპორტული ფეხსაცმელი, კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები, კრივის ტყავის ორი ტომარა და სავარჯიშო ტყავის ხელთათმანები, მაისურები სამინისტროს ლოგოთი და სლოგანით, ასევე, მათი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით ფსიქოლოგების მიერ წინასწარ შერჩეული წიგნები.

პროექტის ფარგლებში განახლდა არსებული ბიბლიოთეკა, ასევე გაიხსნა მსჯავრდებულთათვის სახელობო (პროფესიული) სწავლება, სადაც არასრულწლოვნები ხეზე კვეთას, ესკიზირებას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ხელნაკეთი ნივთებისა და აქსესუარების დამზადებას შეისწავლიან.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა კინოლექტორიუმი და ჩატარდება



6 მარტს, ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის თემატურად შერჩეული კინოჩვენებები. შეხვედრა მუსიკალური ჯგუფი „ფრანი“-ს კონცერტით დასრულდა.

**სამინისტროს პრესსამსახური**

ჭადრაკი



ბელა ხოტენაშვილი

# მშვიდობიანი დღე

ასტანაში მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მე-4 ტური სხვა დღეებთან შედარებით მშვიდობიანი გამოდგა. ხუთიდან ოთხი მატჩი ფრედ დამთავრდა. უკრაინა - თურქეთის პაექრობაში სელენ სოპს ინა იანოვსკა-გაპონენკოსთან მოსაგები პოზიცია ლოგიკურ დასასრულამდე რომ მიეყვანა, ის შეხვედრაც ზავით დასრულდებოდა.

სხვისი არ ვიცი და მე კი ძალიან დამწყდა გული, ჩვენმა ქალთა ნაკრებმა სათადარიგოებით დაკომპლექტებულ ინდოელთა გუნდს რომ ვერ მოუგო. შეგახსენებთ, რომ აზიელთა შემადგენლობაში არ თამაშობს მსოფლიოს რეიტინგში მე-3 ადგილზე მყოფი ჰამფი კონერუ, რომელიც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია, პირველი ოცეულის მოთამაშე ჰარიკა დრონავალი და, ასევე, მაღალი რეიტინგის მქონე ტანია საჩდევი. ინდოელთა ამჟამინდელ ნაკრებში საუკეთესოა ეიშა კარავადე (2387), რომელიც რეიტინგში 71-ეა, **ნანა ძაგნიძე** კი მსოფლიო ასეულში მეექვსეა და ინდოელს 167 პუნქტით უსწრებს. ოსტატობაში ამგვარი სხვაობა იმის იმედს გვიტოვებდა, რომ ქართველი დიდოსტატი იოლად მოუგებდა მეტოქეს. მოხდა კი პირიქით - თეთრებით მოთამაშე კარავადემ ჩვენებურს 35-ე სვლაზე საათი გააჩერებინა. ამ მარცხის მიუხედავად, მაინც იყო მატჩის მოგების შანსი, რადგან **ბელა ხოტენაშვილმა** (2499) 36-ე სვლაზე რუთ რადმინი (2316) დაამარცხა და წონასწორობა აღადგინა. **ლელა ჯავახიშვილმა** (2464) შავებით ვერაფერი მოუხერხა მერი გომესს (2387) და 74-ე სვლაზე დაუზავდა. აი, **ნინო ხურციძეს** (2437) კი აუცილებლად უნდა მოეგო სვამინათან სოუმიასთვის (2283). 37-ე სვლაზე მეტოქემ ისეთი უხეში შეცდომა დაუშვა, რომ ხურციძე ვალდებული იყო, მეტოქე ორ სვლაში დაეშამათებინა, მაგრამ ნინომ უმარტივეს პოზიციაში ვერ დაინახა ელემენტარული სვლა (ლh3). ამის შემდეგაც ჰქონდა ჩვენებურს პარტიის მოგების რეალური შანსი, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ სოუმიას პარტიის გადარჩენის შესაძლებლობა მისცა და ორთაბრძოლაც ყაიმით დასრულდა.

დანარჩენი შეხვედრები: **აშშ - საფრანგეთი 2:2** (ანა ზატონსკიხი - სოფი მილე 0,5:0,5, ნინო მაისურაძე - ირინა კრუში 0:1, თათევ აბრაჰამიანი - ანდა შაფრანსკა 0,5:0,5, სილვია კოლასი - საბინა ფოიშორი 1:0), **რუსეთი - ჩინეთი 2:2** (ვალენტინა გუნინა - ცზიუ ვენძიუნი 1:0, ჰუან ძიანი - ალექსანდრა კოსტენიუკი 0:1, ნატალია პოგონინა - თან ჟონი 0:1, გუო ძი - ალისა გალიამოვა 1:0). **უკრაინა - თურქეთი 2,5:1,5** (ანა უშენინა - ბეთულ ილდიზი 1:0, კუბრა ოზთურქი - მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ნატალია ჟუკოვა - კარდელენ კემხანი 0,5:0,5, სელენ სოპი - ინა იანოვსკა-გაპონენკო 0,5:0,5), **რუმინეთი - ყაზახეთი 2:2** (ადელა კრისტინა ფოიშორი - გულისკან ნახბაიევა 0:1, გულმირა დაულეტოვა - ირინა ბულმაგა 0:1, ელენა კოსმა - დინარა სადუაკასოვა 0,5:0,5, ჟუნსაია აბდუმალიკი - კარმენ ვოიცუიაგოძინსკი 0,5:0,5).

ოთხი ტურის შემდეგ: რუსეთი (12,5), ჩინეთი (12), უკრაინა (10) - 7-7, საქართველო (9,5) - 5, ინდოეთი (7,5), აშშ (7) - 4-4, რუმინეთი (6,5) - 3, ყაზახეთი (6,5) - 2, საფრანგეთი (4,5) - 1, თურქეთი (4) - 0 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: საქართველო - აშშ, ყაზახეთი - ინდოეთი, თურქეთი - რუმინეთი, ჩინეთი - უკრაინა, საფრანგეთი - რუსეთი.

**ვაჟა დანელია**

ხსოვნა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურძგლას მოსაგონარი

ერთი წელიწადია, რაც გამოგვაკლდა უღალატო მეგობარი, გულისხმიერი კოლეგა, საუკეთესო მეოჯახე, მორაგბეთა თაობების გამზრდელი და ბორჯღალოსანთა სასახელო ტრადიციის ფუძემდებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ მოდებაძე (1947-2012), ხოლო ჩვენთვის - უბრალოდ „ბურძგლა.“

კაცი გამრჯე, მოუსვენარი, უსახსრობისა და უგუნურების არდამრიდე; მარად ახლის მაძიებელი, მეოცნებე და სხვათა ამყოლიებელი; რაგბით მოარსებე და მასზევე გადაგებული; გრანდების თამაშთა დაუღალავად მსწავლელი, შენიშნულის შინ მნერგავი და შეგირდთა გაწაფვის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული.

გურამმა მშობლიურ „ლოკომოტივს“ მოთამაშედ ბარემ ათი წელიწადი (1969-77) შეალია, მერე კი მწვრთნელობას შეუდგა სტუდენტურ გუნდებში.

ბურძგლამ გამოზარდა უნივერსიტეტი (1978-82), შექმნა სამხატვრო აკადემია (1982-86), დააოსტატა ჯარში გაწვეული ჭაბუკები (1988-89), დიდ რაგბს აზიარა ახალბედა რუსთავი (1992-93), გუმარის მეშვეობით სპორტში დააბრუნა დაკარგული თაობა (1994-98), რაგბი აალორძინა მეზობელ აზერბაიჯანში (2004-07) და შინაც ახალ განხრას ჩაუყარა საფუძველი - შექმნა ალალად სამოყვარულო კლუბი, დევები (2008-12).

და მაინც, გურამ მოდებაძის ხსენებაზე ყველას - მორაგბესა თუ სპორტის რიგით გულშემატკივარს, პირველ ყოვლისა, რუსეთის ორგზის (1996, 1998) საარაკოდ ძლევა აგონდება. სწორედ ბურძგლაა მესვეური იმ ტრადიციისა, რომელსაც აქამდე აგრძელებენ სამი მსოფლიო თასის მონაწილე, ერთა თასის 5-ჯერ ამღები და სლავთა 15-გზის მძლეველი ბორჯღალოსნები.

ალარა გვყავს გურამი, მაგრამ მისი ნალვაწი ცოცხლობს ქართული რაგბის სადიდებლად და გასაძლიერებლად.

რაგბის თემის სახელით
გურამის თაობისვე მორაგბეები

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

# წყვილებში მოიგო, ერთეულებში...

მოსკოვის 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირზე მე-2 ადგილის დაკავების შემდეგ **სოფიო შაფათავა** ანტალიის ქალთა შეჯიბრებაში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ჩაება, სადაც მე-3 ნომრად იყო განთესილი. ქართველმა ჩოგბურთელმა სტარტზევე სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია ვივიენ იუჰაჟოვას (სლოვაკეთი) და სამ სეტში დამარცხდა: 0:6, 6:4, 1:6. სამაგიეროდ, შაფათავამ წყვილებში იყოჩაღა - უკრაინელ ალიონა ფომინასთან (ისინი მეორე ნომრად არიან განთესილი) ერთად პატრისია ლანგრანჯანისა (რუმნეთი) და გაბრიელა პორუბინის (მოლდოვა) დუეტს სძლია - 6:3, 6:4. სოფიოს მეორე წრეში რევანშის შანსი მიეცა - იქ აგნეს ვიკტას (უნგრეთი) და ვივიენ იუჰაჟოვას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

# ჩემპიონობა უდანაკარგოდ

შვიდი შესაძლებლიდან შვიდი ქულა - ასეთი მაჩვენებლით დაასრულა 10-წლიან მოჭადრაკეთა თბილისის პირველობა ევროპის პრიზიორმა და კონტინენტის თასის მფლობელმა **ნიკოლოზ კაჭარავამ.** აბსოლუტური მაჩვენებლით იგი სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა, არადა, შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებისთვის 46 ბიჭი იბრძოდა (სულ ორ ასაკში 100-ზე მეტი მონაწილე იყო). ქულით ნაკლები მოაგროვა **შოთა ხოდაშნელმა,** რომელსაც ვერცხლის მედალი ერგო. 5,5-5,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები **თორნიკე ნასარიძემ** და **გიორგი წოწორიამ** გაინაწილეს. ამ ასაკის გოგონებში 6 ქულით პირველი ადგილი **ეკატერინე ფიფიამ** დაიკავა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ **სალომე ურთქმელიძე** და **სალომე ბეიტრიშვილი.** მათ, შესაბამისად, ვერცხლი და ბრინჯაო ხვდათ.

14-წლიან გოგონებში ერთბაშად სამმა მონაწილემ მოაგროვა 6-6 ქულა. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მარიამ ჯავახიშვილი, 2. დალი ნანეიშვილი, 3. სალომე ხუცურაული. ბიჭებშიც მსგავსი მდგომარეობა იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საბა ამირიძემ, კოკა ბუკიამ და ლუკა ობოლაძემ, შესაბამისად, 5.5-5.5 ქულით გაიყვეს პირველი-მესამე ადგილები.

**ვაჟა დანელია**

ფარიკაობა

# დღეს გუნდურშიც უნდა გაჭრას ხმალმა

უნგრეთის დედაქალაქში დასასრულს მიუახლოვდა კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი. როგორც გაუწყეთ, ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა მოხმალავე **სანდრო ბაზაძემ,** რომელმაც ახალგაზრდებში ყველა მეტოქე დაამარცხა და ქართული ფარიკაობის ისტორიაში პირველად ევროპის ოქროს მედალი მოიპოვა.

თანაგუნდელს სათანადოდ ვერ აუბეს მხარი კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა **მიხეილ მარდალეიშვილმა** და **საბა სულამანიძემ,** თუმცა ჯგუფურ ტურნირში ურიგოდ არ უასპარეზიათ. სულამანიძემ, რომელიც ორი წლით უფროსებს ეპაექრებოდა, ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია - იან ფუჩიკს (ჩეხეთი, 5:1), კონსტანტინ ვორონოვს (უკრაინა, 5:4. არადა, ამ უკანასკნელმა მერე პლეი ოფში იყოჩაღა და მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო სანდრო ბაზაძესთან), რუვენ რედვანზს (გერმანია, 5:3) და ვლადიმირ კერნიხინს (სერბეთი, 5:1), ორი შეხვედრა კი წააგო - კრისტიან ბიტუკასთან (რუმინეთი, 4:5) და ალექსანდრ ტრუშაკოვთან (რუსეთი, 0:5). პლეი ოფში პირველივე შეხვედრა მაქსიმილიან ქინდლერთან (გერმანია) დათმო - 10:15 და 23-ე ადგილს დასჯერდა. ერთი საფეხურით მაღალი ადგილი დაიკავა მიხეილ მარდალეიშვილმა, რომელმაც ქვეჯგუფში, ასევე, ოთხ მეტოქეს დააყრევინა ფარხმალი: დანიელ როდს (პორტუგალია, 5:0), მაქსიმილიან ქინდლერს (გერმანია, 5:2), დიეგო დე ლა ფუენტეს (ესპანეთი, 5:4) და ნიკოლაი ზაპოროჟენკოს (მოლდოვა, 5:3), ხოლო ფრანჩესკო დარმიენტოსთან (იტალია, 4:5) და ენვერ ილდირიმთან (თურქეთი, 3:5) დამარცხდა. პლეი ოფის პირველ წრეში რუვენ რედვანზის (გერმანია, 12:15) ვერ გასცდა.

გუშინ ბუდაპეშტიდან შეგვეხმიანა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო არბიტრი **დავით სახვაძე,** რომელიც ევროპის პირველობაზე მსაჯად არის მიწვეული.

- გახარებული ვართ სანდრო ბაზაძის ჩემპიონობით, - გვითხრა მან. - შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. ველოდით მისგან საპრიზო ადგილს. სხვებმაც გაიზიარეს ჩვენი წარმატება. ერთ-ერთმა პირველმა სახელოვანმა უნგრელმა მოფარიკავემ, წინა თაობის ქართველ მუშკეტერთა მეგობარმა ენო კამუტიმ მოგვილოცა გამარჯვება. ტურნირზე არც მარდალეიშვილსა და სულამანიძეს უასპარეზიათ ურიგოდ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მოხმალავენი შვიდ მარტს გუნდურ შეჯიბრებაშიც იყოჩაღებენ. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში 11 ნაკრები ჩაებმება. პირველ წრეში თავისუფალი ვართ, მეორეში იტალიელებს დავუპირისპირდებით. ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩვენები ბუდაპეშტში დარჩებიან და 9-10 მარტს მოხმალავეთა გრან პრიში მოსინჯავენ ძალებს.

**ვაჟა დანელია**



## კალათბურთი

**ევროთასი. 1/4 ფინალი**

# -11

## მთავარი ბრძოლა კიევშია

გუშინ გაიმართა ევროთასის მეოთხედფინალური ეტაპის პირველი მატჩები. ჩვენთვის საინტერესო შეხვედრა რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გაიმართა - „სპარტაკმა" კიევის „ბუდიველნიკს" უმასპინძლა.

მატჩი თავიდან ბოლომდე ერთი სცენარით წარიმართა, პეტერბურგელებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, თუმცა **გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელები დიდი სხვაობით დაწინაურების უფლებას არ აძლევდნენ. ყველაზე დიდი სხვაობა ბოლო წამებზე დაფიქსირდა - „სპარტაკი" საფინალო სირენამდე წამით ადრე 83:70 დაწინაურდა. ამის შემდეგ უკრაინელთა ლატვიელმა დამრიგებელმა **აინარს ბაგაცკისმა** ნუთშესვენება აიღო და მომგებიანი კომბინაცია დაგეგმა: ცინცაძემ ბურთი ფარქვეშ აუგდო **ლეო ლაიონსს**, რომელმაც წამიერად კალათში მოათავსა და „ბუდიველნიკმა" 72:83 დათმო.

-11 დაუძლეველი სხვაობა არ არის. ასე რომ, ერთი კვირის შემდეგ, 13 მარტს კიევში საინტერესო ორთაბრძოლას უნდა ველოდეთ.

პეტერბურგში საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო, 21 წუთი ითამაშა და მეტოქის კალათს მხოლოდ ორჯერ შეუტია (ორივე ააცილა). საბოლოოდ მან 4 პასი და 2 მოხსნა მოაგროვა. „ბუდიველნიკის" ბომბარდირი ამერიკელი ლეო ლაიონსი გახდა, რომლის ანგარიშზე 21 ქულაა.

„სპარტაკში" კი ქართველი ქომაგისთვის ნაცნობი **ზეკ რაითი** გამოირჩა. ეს კალათბურთელი ბოსნიის ნაკრებთან ერთად სექტემბერში თბილისს სტუმრობდა, გუშინ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა მაღალი კლასი: მასპინძელთაგან ყველაზე მეტი, 18 ქულა და 7 პასი ჩაიწერა.



გიორგი ცინცაძე

**ინტერვიუ ირჟი ველშთან**

EXCLUSIVE



თორნიკე შენგელია (N20) და ირჟი ველში (N5) „შარლერუას" მაისურით

# ჩეხეთის მთავარი მიზანი საქართველოს დამარცხებაა

## შენგელიას ჩემს NBA-ურ გამოცდილებას ვუზიარებდი

საქართველოს ნაკრები 2013 წლის ევრობასკეტზე 8 სექტემბერს ჩეხეთის ნაკრებთან ითამაშებს. ეს იქნება გუნდის ბოლოსწინა შეხვედრა ჯგუფურ ეტაპზე და დიდია ალბათობა, ჩეხეთთან პაექრობის შედეგმა ჯგუფიდან გასვლა-არგასვლის საკითხი გადაწყვიტოს.

ვერ ვიტყვით, რომ 8 სექტემბრის მეტოქე ევრობასკეტის ფავორიტთა კატეგორიიდანაა, მაგრამ საინტერესო შემადგენლობა ჰყავს და იოლად დასაძლევი ნამდვილად არ იქნება. ჩეხებს ასაკოვანი და ახალგაზრდა კალათბურთელების კარგი ნაზავი ჰყავთ და არც NBA-ს გამოცდილებაა მათთვის უცხო. მაგალითად 23 წლის ფორვარდი იან ვესელი „ვაშინგტონ უიზარდსის" ღირსებას იცავს, ხოლო გამთამაშებელი ირჟი ველში ოთხი წლის განმავლობაში NBA-ის ხუთ კლუბში ცდიდა ძალებს: „გოლდენ სტეიტში" (2002-03), „დალასში" (2003), „ბოსტონში" (2003-05), „კლივლენდში" (2005) და „მილუოკიში" (2005-06).

> ირჟი ველში: საქართველო, პოლონეთი და ჩეხეთი თანაბარი დონის გუნდებია

ირჟი ამჟამად 33 წლისაა და ევრობასკეტზე სათამაშოდაც ემზადება. მრავალფეროვანი კარიერის განმავლობაში მისი გზა არაერთ ქართველ კალათბურთელთან გადაიკვეთა. მაგალითად, 2000-2002 წლებში სლოვენიის „ოლიმპიაში" ირჯებოდა, სადაც ვლადიმერ ბოისას პარტნიორი იყო. 2011-12 წლების სეზონში ირჟი ახალგაზრდა ქართველი თორნიკე შენგელიას გვერდით ევროლიგაზე ბელგიურ „შარლერუაში" თამაშობდა.

ასე რომ, ჩვენი ნაკრების მეტოქეებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რესპონდენტი სწორედ ირჟი ველშია, რომელთან ექსკლუზიურ ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ.

პირველი კითხვა ევროპის ჩემპიონატზე ჩეხეთისა და საქართველოს ნაკრების შანსებს ეხებოდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ჯგუფში კიდევ ოთხი გუნდია - პოლონეთი, სლოვენია, ხორვატია და ესპანეთი. მომდევნო ეტაპზე ექვსიდან სამი ნაკრები გადის.

- ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდი ძლიერ ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად ევრობასკეტის ფავორიტები, ესპანეთი, სლოვენია და ხორვატია ითამაშებენ... დანარჩენებისთვის მომდევნო ეტაპზე გასვლა მეტად რთული იქნება. ვიცით, რომ ჩეხეთის ნაკრები თუნდაც ჯგუფში ფავორიტთა შორის არ მოიაზრება და მისი მომდევნო ეტაპზე გასვლა სიურპრიზი იქნება, თუმცა ჩვენსას ვეცდებით.

**- საქართველოს ნაკრებთან მომავალ შეხვედრაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ჩეხეთის ნაკრების მთავარი მიზანი სწორედ საქართველოსა და პოლონეთთან თამაშების მოგება იქნება, რადგან ეს სამი გუნდი თანაბარი დონისაა. თუ ამ ორი ნაკრების გარდა ერთ-ერთ ფავორიტთან სენსაციასაც მოვახდენთ, მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი გაგვიჩნდება. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება უშუალოდ ევრობასკეტისთვის ამა თუ იმ გუნდის მომზადებაზე და მის შემადგენლობაზე.

**- სლოვენიაში ყოფილ თანაგუნდელ თორნიკე შენგელიას შეხვდებით...**

- დიდებული დრო იყო, როცა თოკოსთან ერთად ბელგიის „შარლერუაში" ვთამაშობდი. გუნდიც ძლიერი გვყავდა, არაერთი კარგი შეხვედრა ჩავატარეთ. მოედნის მიღმა შენგელიას ძალიან დავუახლოვდი, კარგ მეგობრებად ვიქეცით. ძალიან გამეხარდა, როცა თოკომ NBA-ის გუნდ „ბრუკლინ ნეთსთან" გააფორმა კონტრაქტი. მასთან NBA-ს შესახებ ბევრი მილაპარაკია, ჩემს ამერიკულ გამოცდილებას ვუზიარებდი და რჩევებს ვაძლევდი.

**- შენგელიას NBA-ურ შანსებზე რას იტყვით?**

- იგი ჭკვიანი, სხარტი, ძალიან ნიჭიერი კალათბურთელია და მჯერა, რომ ნათელი მომავალი აქვს.

> შენგელიას „შარლერუაში" ძალიან დავუახლოვდი, კარგ მეგობრებად ვიქეცით. გამეხარდა, როცა თოკომ „ბრუკლინთან „ გააფორმა კონტრაქტი.

**- ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში თორნიკე შენგელიას გარდა კიდევ არაერთ ქართველ მოთამაშეს შეხვედრიხართ. რომელი გახსენდებათ ყველაზე მეტად?**

- 12 წლის წინათ სლოვენიის „ოლიმპიაში" ვთამაშობდი. მაშინ ლიუბლიანური გუნდის ღირსებას ვლადიმერ ბოისა იცავდა. ძლიერი კალათბურთელი და კარგი პიროვნებაა. ერთად დროის დიდ ნაწილს ვატარებდით, საქართველოს შესახებ არაერთი ამბავი მოუყოლია. ასე რომ, თქვენი ქვეყნის შესახებ ბევრი რამ ვიცი.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

**საქართველო. U 18**

# მაიზერი, როგორც მაუზერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევაზაშვილის 91 გასროლა

6 მარტს ჭაბუკთა ჩემპიონატში „მაქაბიმ" „თელავს" უმასპინძლა და ხუთი ქულის სხვაობით დაამარცხა. 27 ქულითა და 11 მოხსნით თბილისელთა რიგებში **მაიზერ რევაზაშვილი** გამოირჩა, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა: „მართვე 3-თან" შეხვედრაში არც მეტი, არც ნაკლები, 91 ქულა მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ ამასწინათ 16-წლამდელთა ჩემპიონატში აბსოლუტური რეკორდი „შსს აკადემიას" ფორვარდმა **ვილი ისიანმა** დაამყარა - 127 ქულა ერთ მატჩში. 20-წლამდელებში საუკეთესო მაჩვენებელი **გიორგი შერმადინს** ეკუთვნის, რომელმაც 2007 წელს 89 ქულას მოუყარა თავი. რაც შეეხება სუპერლიგას, იქ 75-ქულიანი რეკორდის ავტორი თსუ-ელი **გიორგი მარკოიშვილია.**

**მართვე 3–მაქაბი 38:127**

**16:25, 11:34, 8:30, 3:38**

**მართვე 3:** ყორყოლიანი, ხუჭუა (5ქ), ციცაგი, ჯვარშეიშვილი (4ქ), დგვარელი, ფეიქრიშვილი, გიორგაძე (21ქ), სოზაშვილი, გოგოსაშვილი (4ქ), გურგენიძე (2ქ), კორძაძე (2ქ).

**მაქაბი:** საური (5ქ, 9პ), მჭედლიშვილი, გუნია, ხოსიტაშვილი (17ქ, 24მ, 5ჩ), რევაზაშვილი (91ქ, 28მ), ბლუასვილი, ფოჩხუა (10ქ), მამაგულიშვილი (2ქ), ფხალაძე (2ქ, 10მ).

**რუსთავი–დინამო 84:61**

**21:14, 25:18, 22:9, 16:20**

**რუსთავი:** დვალი (18ქ, 10პ), ჭულუხაძე, ქიტოშვილი (9ქ, 7მ), გოცაძე (2ქ), ლომიძე (2ქ), რეხვიაშვილი (5ქ), ლორთქიფანიძე (16ქ), ხატიაშვილი (11ქ), წურწუმია, ნარჩომაშვილი (7ქ), ურიდია (9ქ, 16მ), ლვედაშვილი (5ქ).

**დინამო:** ამირხანაშვილი (3ქ), ლილუაშვილი (25ქ), ანთაძე (8ქ), ამონაშვილი (11ქ, 13მ), ვაჭარაძე, თვალაბეიშვილი (4ქ), მაღლაფერიძე (4ქ), მაჭარაძე (2ქ), სანიკიძე (2ქ), ხონელიძე (2ქ), ბრეგვაძე, ჭანტურია.

**რუსთავი 2–ქუთაისი 63:76**

**19:20, 9:27, 20:13, 15:16**

**რუსთავი 2:** ბაქრაძე, მეტრეველი (8ქ), ლვალაძე (2ქ), ჩიჩუა (7ქ, 7პ), წიქარიშვილი (8ქ), ტაბალუა (6ქ), გიგაური (4ქ), გოგობერიშვილი (15ქ), კორინთელი, ბარამიძე (11ქ, 25მ), ალავერდაშვილი (2ქ).

**ქუთაისი:** გამრეკლიძე (28ქ, 22მ), მაცაბერიძე (19ქ, 9მ), ჩორგოლაშვილი (4ქ), ლანჩავა (2ქ), ქარციძე (13ქ, 10მ), იაშვილი (2ქ), ჯიშკარიანი (2ქ), ბირკაია (6ქ), გუბაევი, ჭოლაძე.

**მაქაბი–თელავი 67:62**

**22:18, 16:13, 11:14, 18:17**

**მაქაბი:** ხოსიტაშვილი (17ქ, 9მ), რევაზაშვილი (27ქ, 11მ), ფოჩხუა (6ქ, 18მ), მამაგულიშვილი (6ქ), დოლიძე (4ქ), ფხალაძე (7ქ, 7პ).

**თელავი:** ქორიძე (1ქ), ელყანიშვილი (6ქ, 12მ), ხაჩიძე (9ქ, 21მ, 6ჩ), ბარდანაშვილი (3ქ), სეთური (3ქ), ყვარელაშვილი (26ქ, 8მ, 5ჩ), ლომიაშვილი (14ქ, 8მ, 6პ).



მაიზერ რევაზაშვილი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 16 | 16 | 0 | 1370/1012 | 32 |
| 2. შსს აკადემია | 16 | 14 | 2 | 1476/1001 | 30 |
| 3. ჰიუნდაი | 16 | 12 | 4 | 1317/1011 | 28 |
| 4. აკადემია | 16 | 12 | 4 | 1251/851 | 28 |
| 5. დინამო | 16 | 12 | 4 | 1168/966 | 28 |
| 6. ნაკრები 97 | 16 | 11 | 5 | 1269/970 | 27 |
| 7. ქუთაისი | 16 | 11 | 5 | 1275/1068 | 27 |
| 8. რუსთავი 2 | 16 | 10 | 6 | 1193/1021 | 26 |
| 9. მარნეული | 16 | 9 | 7 | 1149/1058 | 25 |
| 10. მართვე 2 | 16 | 8 | 8 | 1093/1089 | 24 |
| 11. აკადემია 2 | 16 | 8 | 8 | 1054/897 | 24 |
| 12. ნიკე | 16 | 6 | 10 | 1072/1263 | 22 |
| 13. თელავი | 17 | 5 | 12 | 1016/1025 | 22 |
| 14. მაქაბი | 17 | 4 | 13 | 1115/1228 | 21 |
| 15. ჰიუნდაი 2 | 16 | 4 | 12 | 984/1221 | 20 |
| 16. მართვე | 16 | 2 | 14 | 885/1281 | 18 |
| 17. სამედიცინო | 16 | 1 | 15 | 863/1304 | 17 |
| 18. მართვე 3 | 16 | 0 | 16 | 498/1782 | 16 |

ერთა თასი

# გმადლობ, აბუ!

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩში შაბათს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, რომლის სატურნირო მდგომარეობაც უკიდურესად კრიტიკულია და, სავარაუდოდ, „ბორჯღალოსნების“ წინააღმდეგ მაქსიმალური შემართებით იბრძოლებენ.**


ლაშა ხმალაძე

ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა სამატჩოდ მზადება „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ორშაბათიდან დაიწყო. გუშინ კი, ტრადიციულად ღია ვარჯიში გამართა. **მილტონ ჰეიგმა** ამჯერად ნაკრებში 27 მორაგბეს უხმო. იმ 26 მოთამაშეს, რომლებიც რუსეთთან მატჩისთვის ემზადებოდა, მეორეხაზელი **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) დაემატა.

ვარჯიშში მონაწილეობა 26-მა მორაგბემ მიიღო. შუამარბმა **თედო ზიბზიბაძემ** (პერიგო) სოჭში რუსებთან ბრძოლისას საზარდული დაიზიანა, გასულ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩიც გამოტოვა და, ადვილი შესაძლებელია, მან ესპანელებთანაც ვერ ითამაშოს. ზიბზიბაძე ცალკე, ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და იმედია, გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

მხარი აწუხებს შერკინების კვაჭს **შალვა მამუკაშვილს** (არმია), თუმცა სერიოზული არაფერია და სრული დატვირთვით ივარჯიშა. ნაკრების თავკაცმა ტელეკომპანიების ოპერატორებს სთხოვა ვარჯიშის მსვლელობა არ გადაეღოთ, რადგან, როგორც ჩანს, მეტოქეს გარკვეულ სიურპრიზებს უმზადებს.

თუმცა, საქართველოს რაგბის კავშირი ერთ სიურპრიზს უკვე გვთავაზობს. ესპანეთთან მატჩში **ირაკლი აბუსერიძის** გაცილება მოეწყობა. ის ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. სოციალურ ქსელებში უკვე გამოჩნდა მოწოდება, რომლის მიხედვითაც ქომაგები დაელოდებიან თამაშის მეცხრე წუთს და ყველა ერთად ფეხზე წამოდგება, ტაშითა და შეძახილებით, „გმადლობთ აბუ“ ღვაწლმოსილ მორაგბეს პატივს მიაგებენ.

ვარჯიში ტრადიციული მოთელვით დაიწყო. მერე „ბორჯღალოსნებმა“ ღია თამაში დაცვასა და შეტევაში კომბინაციების დახვეწაზე დიდხანს ივარჯიშეს. თამაშის გაშლა, დროული გადაწყობა, იერიშის სწრაფი გაგრძელება და დაცვაში ზედმიწევნით ყურადღებით გარჯა. აი, ამის მიღწევას ცდილობდა ჩვენი გუნდი.

მილტონ ჰეიგი დამცველი და შემტევი გუნდის შემადგენლობებს ხშირად ცვლიდა, ამიტომ ესპანეთის ნაკრებთან ძირითადი შემადგენლობის ზუსტად გამოცნობა ძნელია. სავარაუდოდ კი, „ბორჯღალოსნები“ ამ შემადგენლობით დაიწყებენ თამაშს:

**15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.**

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ ესპანეთის ნაკრებთან თამაშის მნიშვნელობას. „ლომების“ სატურნირო მდგომარეობა რომ უკიდურესად მწვავეა, უკვე ვთქვით. ესპანელებმა სამი თამაშიდან ორი წააგეს და მხოლოდ ერთში მიაღწიეს ფრეს, შედეგად ახლა სამი ქულით ბოლო ადგილზე არიან და თბილისში მარცხი მათ ოცნებას, 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვონ, საბოლოოდ დაასამარებს.

ამიტომ, გასაკვირი არ იქნება, თუ ესპანეთის ნაკრები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაგვიმართავს. მათი ენაწყლიანი ახალზელანდიელი მწვრთნელი **ბრაის ბევინი** ერთ კვირაზე მეტია დადუმებულია და ესპანურ მედიას აღარ ეკონტაქტება. არადა, ერთა თასის გათამაშების დაწყების წინ ესპანეთის რაგბის ფედერაციამ და თავად ბევინმა შესანიშნავი PR კამპანია მოაწყვეს. ის კი არა და, რაგბის პოპულარიზაციის მიზნით, რუმინეთის ნაკრებს მადრიდის ნაცვლად ხიხონში ეთამაშნენ და ბოლო ტურში მეზობელ პორტუგალიას სანტიაგო დე კომპოსტელაში დაუხვდებიან.

ერთი სიტყვით, შაბათს უშელავათო ბრძოლა გველის. „ბორჯღალოსნებმა“, სასურველია, მეტოქეს პრემიალური ქულა აართვან, ანუ მინიმუმ ოთხი ლელო გაუტანონ, რათა ბოლო ტურში ბუქარესტში, რუმინეთის ნაკრებთან მატჩისთვის ამაღლებული განწყობით მოემზადონ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების დაპირისპირება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 15 საათზე დაიწყება.



ირაკლი აბუსერიძე 1977 წლის 25 ნოემბერს თბილისში დაიბადა. რაგბის თამაში სარაგბო კლუბ „ქორებში“ დაიწყო, თამაშობდა ასევე „არმიის სპორტულ კლუბში“, „ყოჩებში“ და „ლოკომოტივში“. კარიერის დიდი ნაწილი საფრანგეთში გაატარა, სადაც „ორიაკისა“ და „ორლეანის“ ღირსებას იცავდა. ამასთან ერთად, იყო „ოსერის“ მოთამაშე-მწვრთნელი.

„აბუ“ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2000 წლიდან თამაშობს, მოიხვეჭა ყველაზე მეტი 85 კეპი, გაიტანა შვიდი ლელო. იასპარეზა ერთა თასის 12 გათამაშებაში და ხუთჯერ ამ ტურნირის გამარჯვებული გახდა. მან მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში 2003, 2007 და 2011 წლებში ითამაშა. უმაღლეს დონეზე სულ 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ბოლო ორ გათამაშებაში კი გუნდის კაპიტანი იყო. სულ კი აბუსერიძე ნაკრებს 38-ჯერ წარუძღვა, რაც საქართველოში რეკორდული მაჩვენებელია.


გიორგი ბეგაძე


გიორგი ჩხაიძის შეტევა

## საქართველო

**პირველი ხაზი:** დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), ირაკლი ნატრიაშვილი (ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე)

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი)

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

**№15:** ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

## ესპანეთი

გაბრიელ ორტისი (ინდეპენდიენტე), სესარ სემპერე (ელ სალვადორი), პედრო მარტინი, გლენ ლუისი (ორივე-ვალიადოლიდი), ხოსე ბლანკო (ვიგო), ხუან ანაია (ატლეტიკო მადრიდი), მეთიუ კუკი (ლა ვილა), მატიას ტუდელა (ტატამი), პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), უნაი ლასა, ხუან მაგუნასელაია (ორივე-გერნიკა), ნიკოლას მარშალი, კორი სიმპსონი, ხუან ტუდელა (სამივე-ორდისია), ხუან გარსია (არასი), ლიონელ პარდო (ბეზიე), ხუან გოია (ბიარიცი), ჯო ჰატჩინსონი, ხაიმე ნავა (ბურგ ან ბრესი), ხესუს რეკუერდა (ლილი), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ტომ პარკერი (ვანი), დავით გურგენიძე (არმია).

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -13 | 5 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | -10 | 4 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 4 |
| 6. ესპანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | -14 | 3 |

### III ტური

**9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

**ბესიკ ჯანგაავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

ჩოგბურთი. ინდიან უელსი

# ამერიკაში დიდი ჩოგბურთი იწყება

გუშინ, კალიფორნიის ქალაქ ინდიან უელსში დაიწყო გაერთიანებული სუპერტურნირი, რომლის საერთო საპრიზო ფონდია 9.5 მილიონი დოლარი. სწორედ ინდიან უელსში იხსნება „მასტერსი 1000"-ის სერია მამაკაცებს შორის და Premier Mandatory-ის სერია ქალებში. ამ ტურნირს, ისევე როგორც მის შემდეგ გასამართ მაიამის ჩემპიონატს ორი კვირა უკავია ATP-სა და WTA-ის კალენდარში. აქ, „დიდი სლემის" ჩემპიონატების მსგავსად, ტიტულამდე შვიდი რაუნდია გასავლელი, თუმცა ინდიან უელსში და მაიამიში სატურნირო ბადეში მონაწილეთა რიცხვია 96 და არა 128, რადგან 32 განთესილი ბრძოლას მეორე წრიდან დაიწყებს.

პირველები ბრძოლაში ქალები ჩაებმებიან. Premier Mandatory-ის ხმამაღალი სტატუსი ნებიმიერ ტოპ-მოთამაშეს ავალდებულებს ამ ტურნირზე გამოსვლას, მაგრამ კალიფორნიაში არ დაირღვა მრავალწლიანი უსიამოვნო ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ინდიან უელსში ვერ ვხედავთ XXI საუკუნის ორი უძლიერეს ამერიკელ ჩოგბურთელს - **ვენუს** და **სერენა უილიამსს**. უმცროსმა სერენამ, რომელიც ამჟამად მსოფლიოს პირველი ჩოგანია, ინდიან უელსში ორჯერ გაიმარჯვა - 1999 და 2001 წლებში. 12 წლის წინ, მისმა მეორე ტრიუმფმა სერიოზული კონფლიქტი წარმოშვა, რომელიც დღემდე არ მოგვარებულა. მაშინ დებ უილიამსებს ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ უნდა ეთამაშათ, მაგრამ ვენუსმა ტრავმა მოიმიზეზა და კორტზე არ გავიდა. მეორე ნახევარფინალში **კიმ კლაისტერმა** და **მარტინა ჰინგისმა** დიდი ბრძოლა გამართეს. ფინალში სერენა უილიამსი დაღლილი ბელგიელის ფონზე მხნედ გამოიყურებოდა და გაიმარჯვა. თანამემამულის ტრიუმფის მიუხედავად, ამერიკელმა გულშემატკივრებმა ობსტრუქცია მოუწყვეს დებ უილიამსებსა და მათ მამას **რიჩარდს**, რადგან ამ სამეულის მოქმედება არასპორტულად მიიჩნიეს. საპასუხოდ, უილიამსების ოჯახი დღემდე ბოიკოტს უცხადებს ტურნირს, რეიტინგში ქულებისა და საპრიზო თანხების დაკარგვის მიუხედავად.

დები უილიამსებით არ ამოიწურება იმ ჩოგბურთელების სია, რომლებიც ინდიან უელსში არ ითამაშებენ. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო კალიფორნიაში არ ჩავიდნენ ჩინელი **ნა**



**ლი** (მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი), ესტონელი **კაია კანეპი** (34), გერმანელი **საბინ ლისიცკი** (36), კანადელი **ალექსანდრა ვოზნიაკი** (42), ქართველი **ანა ტატიშვილი** (54), ჩეხი **პეტრა ჩეტკოვსკა** (57). კვალიფიკაციის გავლის შემდეგ გამოიტანა განაცხადი ტურნირიდან იტალიელმა **კამილა ჯორჯიმ** (74) და მის ნაცვლად ძირითად ბადეში მოხვდა ე. წ. „ლაკი ლუზერი", შვეიცარიელი **სტეფანი ფოგელი**.

სერენა უილიამსის არყოფნაში, ტურნირზე პირველ ორ ნომრად არიან განთესილები ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** და რუსი **მარია შარაპოვა**. წილისყრამ ნაკლებად გაუმართლა რუს ჩოგბურთელს, რადგან სატურნირო ბადეში მის მხარეს მოხვდნენ ჩოგბურთელები, რომლებსაც კარგი ტემპი აქვთ აკრეფილი: ჩეხმა **პეტრა კვიტოვამ** (5) ცოტა ხნის წინ მოიგო დუბაის ტურნირი, იტალიელმა **სარა ერანიმ** (6) გასულ კვირას აკაპულკოში იმარჯვა, პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას** (3) კი წელს უკვე ორი ტიტული აქვს მოპოვებული - ოკლენდსა და სიდნეიში. ვიქტორია აზარენკას მხარეს ელიტის მოთამაშეები არიან - დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** (8), გერმანელი **ანჟელიკ კერბერი** (4) და ავსტრალიელი **სამანტა სტოსური** (7). მათ წელს ჯერ არც ერთი ტიტული არ აქვთ მოპოვებული, თუმცა მათ გამოცდილებასა და ოსტატობაში ეჭვი არავის ეპარება.

თამაშები რვა კორტზე გაიმართება, დილის სესიის დაწყების დროა 11 საათი (სხვაობა თბილისთან 12 საათია). ტურნირმა გუშინ აიღო სტარტი, მაგრამ ტელეტრანსლიაციები პარასკევიდან დაიწყება. მრავალრიცხოვანი საყვედურების მიუხედავად, ორგანიზატორები ტრადიციას არ ღალატობენ და პირველი წრის მატჩების ხილვა მხოლოდ სტადიონზეა შესაძლებელი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ინდიან უელსი. ქალების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| აზარენკა (ბლრ, 1) | აზარენკა (ბლრ, 1) | | | | |
| | | | | | |
| ფორეტცი (საფ) | | | | | |
| პანტუხოვა (სლოვაკ) | | | | | |
| სვიტოლინა (უკრ) | ფლიპკენსი (ბელ, 28) | | | | |
| ნიკულესკუ (რუმ) | | | | | |
| | | | | | |
| ფლიპკენსი (ბელ, 23) | | | | | |
| ჰსიე (ტაივ, 20) | ჰსიე (ტაივ, 20) | | | | |
| | | | | | |
| მატეკი (აშშ) | | | | | |
| ჰემპტონი (აშშ) | | | | | |
| უ. რადვანსკა (პოლ) | სტივენსი (აშშ, 15) | | | | |
| რუსი (პოლ) | | | | | |
| | | | | | |
| სტივენსი (აშშ, 15) | | | | | |
| პეტროვა (რუს, 10) | პეტროვა (რუს, 10) | | | | |
| | | | | | |
| მარტიჩი (ხორ) | | | | | |
| ფოგელი (შვეიც) | | | | | |
| რობსონი (ბრიტ) | გორგესი (გერ, 21) | | | | |
| არვიდსონი (შვედ) | | | | | |
| | | | | | |
| გორგესი (გერ, 21) | | | | | |
| ვესნინა (რუს, 29) | ვესნინა (რუს, 29) | | | | |
| | | | | | |
| დატე (იაპ) | | | | | |
| ვოსკობოევა (ყაზ) | | | | | |
| პუიგი (პ-რიკო) | ვოზნიაცკი (დან, 8) | | | | |
| კორნე (საფ) | | | | | |
| | | | | | |
| ვოზნიაცკი (დან, 8) | | | | | |
| კერბერი (გერ, 4) | კერბერი (გერ, 4) | | | | |
| | | | | | |
| ზეგუ (რუმ) | | | | | |
| უოტსონი (ბრიტ) | | | | | |
| ლუჩიჩი (ხორ) | ვიკმაიერი (ბელ, 30) | | | | |
| პარმენტიე (საფ) | | | | | |
| | | | | | |
| ვიკმაიერი (ბელ, 30) | | | | | |
| მაკაროვა (რუს, 17) | მაკაროვა (რუს, 17) | | | | |
| | | | | | |
| იოვანოვსკი (სერ) | | | | | |
| მუგურუსა (ესპ) | | | | | |
| რიბარიკოვა (სლოვაკ) | საფაროვა (ჩეხ, 16) | | | | |
| ოპრანდი (შვეიც) | | | | | |
| | | | | | |
| საფაროვა (ჩეხ, 16) | | | | | |
| ივანოვიჩი (სერ, 11) | ივანოვიჩი (სერ, 11) | | | | |
| | | | | | |
| ჰრადეცკა (ჩეხ) | | | | | |
| თაუნსენდი (აშშ) | | | | | |
| ბეკი (გერ) | ბარტელი (გერ 24) | | | | |
| ბერტენსი (ჰოლ) | | | | | |
| | | | | | |
| ბარტელი (გერ 24) | | | | | |
| პენგი (ჩინ, 32) | პენგი (ჩინ, 32) | | | | |
| | | | | | |
| დულგერუ (რუმ) | | | | | |
| ლარშერ ბრიტუ (პორ) | | | | | |
| კისი (აშშ) | სტოსური (ავსტრა, 7) | | | | |
| ოუდინი (აშშ) | | | | | |
| | | | | | |
| სტოსური (ავსტრა, 7) | | | | | |

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კვიტოვა (ჩეხ, 5) | კვიტოვა (ჩეხ, 5) |
| | | | | | |
| | | | | | მინელა (ლუქ) |
| | | | | | გოვორცოვა (ბლრ) |
| | | | | შვედოვა (ყაზ, 31) | მორიტა (იაპ) |
| | | | | | ცურენკო (უკრ) |
| | | | | | |
| | | | | | შვედოვა (ყაზ, 31) |
| | | | | ზაკოპალოვა (ჩეხ, 19) | ზაკოპალოვა (ჩეხ, 19) |
| | | | | | |
| | | | | | ერაკოვიჩი (ზელ) |
| | | | | | პეერი (ისრ) |
| | | | | ციბულკოვა (სლოვ, 12) | ჰალეპი (რუმ) |
| | | | | | დევისი (აშშ) |
| | | | | | |
| | | | | | ციბულკოვა (სლოვ, 12) |
| | | | | კირილენკო (რუს, 13) | კირილენკო (რუს, 13) |
| | | | | | |
| | | | | | პირონკოვა (ბულ) |
| | | | | | მაკჰეილი (აშშ) |
| | | | | პაჩეკი (ავსტრია, 23) | კრეიბასი (აშშ |
| | | | | | ბურდეტი (აშშ) |
| | | | | | |
| | | | | | პაჩეკი (ავსტრია, 23) |
| | | | | კირსტეა (რუმ, 27) | კირსტეა (რუმ, 27) |
| | | | | | |
| | | | | | მედინა გარიგესი (ესპ) |
| | | | | | დელაკუა (ავსტრა) |
| | | | | ა. რადვანსკა (პოლ, 3) | პუჩკოვა (რუს) |
| | | | | | სანჩესი (აშშ) |
| | | | | | |
| | | | | | ა. რადვანსკა (პოლ, 3) |
| | | | | ერანი (იტა, 6) | ერანი (იტა, 6) |
| | | | | | |
| | | | | | მინი (აშშ) |
| | | | | | დომინგეს ლინო (ესპ) |
| | | | | პავლიუჩენკოვა (რუს,26) | ბაბოში (უნგ) |
| | | | | | ლარსონი (შვედ) |
| | | | | | |
| | | | | | პავლიუჩენკოვა (რუს,26) |
| | | | | იანკოვიჩი (სერ, 18) | იანკოვიჩი (სერ, 18) |
| | | | | | |
| | | | | | კუზნეცოვა (რუს) |
| | | | | | ჰლავაჩკოვა (ჩეხ) |
| | | | | ბარტოლი (საფ, 9) | მლადენოვიჩი (საფ) |
| | | | | | სხეპერსი (ს. აფრ) |
| | | | | | |
| | | | | | ბარტოლი (საფ, 9) |
| | | | | ვინჩი (იტა, 14) | ვინჩი (იტა, 14) |
| | | | | | |
| | | | | | ჟენგი (ჩინ) |
| | | | | | პერვაკი (ყაზ) |
| | | | | ლეპჩენკო (აშშ, 22) | არუაბარენა (ესპ) |
| | | | | | კარატანჩევა (ყაზ) |
| | | | | | |
| | | | | | ლეპჩენკო (აშშ, 22) |
| | | | | სუარეს ნავარო (ესპ, 25) | სუარეს ნავარო (ესპ, 25) |
| | | | | | |
| | | | | | სოლერ ესპინოსა (ესპ) |
| | | | | | კინგი (აშშ) |
| | | | | შარაპოვა (რუს, 2) | პენეტა (იტა) |
| | | | | | სკიავონე (იტა) |
| | | | | | |
| | | | | | შარაპოვა (რუს, 2) |

### 1/16-ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

აზარენკა (ბლრ, 1)-ფლიპკენსი (ბელ, 28)
ჰსიე (ტაივ, 20)-სტივენსი (აშშ, 15)
პეტროვა (რუს, 10)-გორგესი (გერ, 21)
ვესნინა (რუს, 29)-ვოზნიაცკი (დან, 8)
კერბერი (გერ, 4)-ვიკმაიერი (ბელ, 30)
მაკაროვა (რუს, 127)-საფაროვა (ჩეხ, 16)
ივანოვიჩი (სერ, 11)-ბარტელი (გერ, 24)
პენგი (ჩინ, 32)-სტოსური (ავსტრა, 7)
კვიტოვა (ჩეხ, 5)-შვედოვა (ყაზ, 31)
ზაკოპალოვა (ჩეხ, 19)-ციბულკოვა (სლოვ, 12)
კირილენკო (რუს, 13)-პაჩეკი (ავსტრია, 23)
კირსტეა (რუმ, 27)-ა. რადვანსკა (პოლ, 3)
ერანი (იტა, 6)-პავლიუჩენკოვა (რუს, 26)
იანკოვიჩი (სერ, 18)-ბარტოლი (საფ, 9)
ვინჩი (იტა, 14)-ლეპჩენკო (აშშ, 22)
სუარეს ნავარო (ესპ, 25)-შარაპოვა (რუს, 2)

### ინდიან უელსის ტურნირის გამარჯვებულები

1989 - მანუელა მალეევა
1990, 1991 - მარტინა ნავრატილოვა
1992 - მონიკა სელეში
1993, 1995 - მერი-ჯო ფერნანდესი
1994, 1996 - შტეფი გრაფი
1997, 2000 - ლინდსი დევენპორტი
1998 - მარტინა ჰინგისი
1999, 2001 - სერენა უილიამსი
2002, 2007 - დანიელა ჰანტუხოვა
2003, 2005 - კიმ კლაისტერსი
2006 - მარია შარაპოვა
2008 - ანა ივანოვიჩი
2009 - ვერა ზვონარევა
2010 - ელენა იანკოვიჩი
2011 - კაროლინ ვოზნიაცკი
2012 - ვიქტორია აზარენკა

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსს ლიდერებთან უჭირს



"ბოსტონმა" კიდევ უფრო დააშორა "ფილადელფია" პლეი ოფს, რომელსაც საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის ისედაც მცირე შანსი ჰქონდა. მთელი მატჩის განმავლობაში "კელტები" კარგად აკონტროლებდნენ შეხვედრის მსვლელობას და დიდი ხანი ინარჩუნებდნენ 9-11-ქულიან უპირატესობას. მიმდინარე სეზონში "ფილადელფიამ" უკვე ორჯერ დაამარცხა "ბოსტონი", მაგრამ ახლა, **რივერსის** შეგირდებმა გუნდური და შინაარსიანი თამაშით შეძლეს რევანშის აღება. ალსანიშნავია, რომ **რაჟონ რონდოს** ტრავმის შემდეგ, "ბოსტონი" სწორედ ასეთ კალათბურთს ანიჭებს უპირატესობას და თავისი ძირითადი გამთამაშებლის გარეშე, 16 მატჩიდან 12 მოიგო.

"მწვანეების" ანგარიშზე 34 შედეგიანი გადაცემა და თამაშიდან ჩაგდებული 42 ბურთი იყო. **პირსის** მონდომებით (4-დან 4 სამქულიანი), სტუმრებმა 19 ცდიდან 11 შორეული ტყორცნა მოათავსეს კალათში, იმ დროს, როცა "სიქსერზის" ანალოგიური მაჩვენებელი იყო – 21-დან 5. გარდა ამისა, "ბოსტონმა" მოიგო ფარქვეშ ბრძოლა (49-45), რაც ძალიან იშვიათად ხდება.

■ ■ ■

"ოკლაჰომამ" "ლეიკერსის" წინაალმდეგ თითქმის იდეალური თამაში ჩაატარა. შეცდომების მხრივ - "თანდერს" მხოლოდ ორი დაკარგვა ჰქონდა. ამით გუნდმა გაიმეორა "მილუოკისა" (2006) და "კლივლენდის" (2009) რეკორდი, როცა მათ ასევე ორი შეცდომა დაუშვეს. მიუხედავად შეცდომებში ასეთი განსხვავებისა, "ლეიკერსი" მთელი მატჩი დაძაბულობაში ამყოფებდა მასპინძლებს, რომლებიც, "ბოსტონის" მსგავსად, თითქმის მთელი შეხვედრა 10-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდნენ.

მაგრამ მეოთხე მეოთხედში სხვაობა 5 ქულამდე დავიდა. თუმცა **იბაკას** სამქულიანმა და **რასელ უესტბრუკის** ბრწყინვალე თამაშმა (ბოლო 28 წლის განმავლობაში ის გახდა მეორე გამთამაშებელი, რომელმაც ერთი შეცდომის ფონზე 37 ქულა, 10 მოხსნა და 5 პასი დააგროვა) გამარჯვებულის საკითხი მოხსნა დღის წესრიგიდან. ამასთან, მატჩის დიდი ნაწილი იდაყვის ტრავმით თამაშობდა **კობი ბრაიანტი**, რომელმაც დაზიანება პირველ მეოთხედში მიიღო. მან **ნეშის** გარდა, პარტნიორებისგან დახმარება ვერ მიიღო. **ჰოვარდი** მხოლოდ მოხსნების აღებით იყო დაკავებული, შეტევაში კი თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო, თან ექვსი პერსონალურის მიღება მოსწრო.

კალიფორნიელებმა მთლიანად ჩააგდეს სამწამიანიდან შეტევა (22-52) და მხოლოდ 11 შედეგიანი გადაცემა შეასრულეს. ასეთი თამაშით შეუძლებელია ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის დამარცხება. სხვათა შორის, "ლეიკერსმა" ამ სეზონში 13-დან 12 მატჩი წააგო დასავლეთის იმ გუნდებთან, რომლებიც ცხრილში მის ზემოთ იმყოფებიან.

■ ■ ■

"დენვერმა" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად, "ნაგეტსს" ვერ გაუძლო "საკრამენტომ", რომელმაც ბოლო დროს, ღირსეული თამაშის ჩვენება დაიწყო. "მეფეები" ამ მატჩშიც ეწინააღმდეგებოდნენ მეტოქეს, მაგრამ მესამე მეოთხედში "ნაგეტსის" ზეწოლას ვერ გაუძლეს, ბოლო მეოთხედში კი დაწევის შანსი აღარ ჰქონიათ. კვლავ გამოავლინა სნაიპერის თვისებები **მარკუს ტორნტონმა**, მაგრამ მას კარგად უპასუხეს **ტაი ლოუსონმა** და **დანილო გალინარიმ**, რომლებმაც ერთად 12-დან 7 სამქულიანი ჩააგდეს. ტრადიციულად, **ჯორჯ კარლის** გუნდმა მეტოქეს სწრაფი გარღვევებით და სამწამიანში ბრძოლით აჯობა. "დენვერი" აშკარად ფორმაში შევიდა, თანაც საუკეთესო კონდიციებშია არა ერთი ან ორი მოთამაშე, არამედ ხუთი კაცი, გარდა ამისა, სათადარიგოთა სკამიდან სარგებლობა პრაქტიკულად ყველა მატჩში ჩანს.

**ფილადელფია–ბოსტონი 101:109**

23:26, 23:27, 28:26, 27:30

ფ: ტ. იანგი (19+10 მოხსნა), ჰოლიდეი (18+5 მოხსნა+10 პასი+4 ჩაჭრა), ტერნერი (18+9 მოხსნა+7 პასი), ჰოიესი (14+6 მოხსნა), რაიტი (10+7 მოხსნა), აივი (10+3 ჩაჭრა), მოლტრი (10).

ბ: ბრედლი (22+7 მოხსნა+5 პასი), პირსი (18+11 მოხსნა+7 პასი), გარნეტი (18+6 მოხსნა), გრინი (16+5 პასი), ჯორ. კროუფორდი (12).

**ოკლაჰომა–ლეიკერსი 122:105**

37:28, 34:27, 26:34, 25:16

ო: უესტბრუკი (37+10 მოხსნა+5 პასი), დურანტი (26+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება), იბაკა (13+6 მოხსნა), მარტინი (11+5 პასი), ფიშერი (10), ჯექსონი (10).

ლ: ბრაიანტი (30), ნეში (20), კლარკი (13+11 მოხსნა), ჰოვარდი (6+16 მოხსნა).

**საკრამენტო–დენვერი 113:120**

22:24, 28:26, 29:36, 34:34

ს: ტორნტონი (32), ტომასი (23+8 პასი), ტომპსონი (18+6 მოხსნა), სალმონსი (11), კაზინსი (8+13 მოხსნა+5 დაფარება).

დ: ლოუსონი (24+7 პასი), გალინარი (23), ფარიდი (19+12 მოხსნა), მილერი (16+7 პასი), კუფოსი (15+8 მოხსნა).

● ფორმულა 1

# მგლოვიარე მალდონადო

გუშინ, ვენესუელაში გამოცხადდა ქვეყნის პრეზიდენტის **უგო ჩავესის** სიკვდილის შესახებ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მხარს უჭერდა „უილიამსის" პილოტის **პასტორ მალდონადოს** კარიერას. პრეზიდენტმა შარშან პირადად მიულოცა პასტორს გამარჯვება ბარსელონაში.



პასტორ მალდონადო

ჩავესის ავადმყოფობის პერიოდში უამრავი ჭორი ვრცელდებოდა იმის თაობაზე, რა ელოდება მრბოლელის კარიერას იმ შემთხვევაში, თუ ვენესუელაში მთავრობა შეიცვლება. არაოფიციალური ინფორმაციით, სანავთობო კომპანია PDVSA-მ, რომელიც აფინანსებს მალდონადოს გამოსვლას „უილიამსში", სეზონის ბოლომდე გადაიხადა კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა, მაგრამ თუ ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობას სხვა პრიორიტეტები ექნება, პასტორს სერიოზული სირთულეები შეექმნება.

*„ვივატ, ჩავეს! - დაწერა მალდონადომ თავის „ტვიტერზე" პრეზიდენტის სიკვდილის გამოცხადების შემდეგ. - ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ყველა ვენესუელელთან ერთად".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი–ტამპა ბეი 2:5**

0:1, 0:2, 2:2

**გოლები:** 0:1 ტომპსონი-4 (კონაჩერი-12, პალატი-2), 0:2 სან ლუი-6 (კილორნი-4, ლეკავალიე-13), 0:3 კილორნი-4 (სან ლუი-24, ლეკავალიე-14), 0:4 ტომპსონი-5 (კონაჩერი-13, სალო-8), 1:4 ენრიკე-6 (რ. კარტერი-7), 2:4 ელიაში-6 (ზეიჯაკი-3, კოვალჩუკი-12), 2:5 კრომბინი-1 (ჰოლი-4, ტომპსონი-3).

**აილენდერსი–მონრეალი 6:3**

0:1, 3:1, 3:1

**გოლები:** 0:1 პლეკანეცი-10 (გალჩენიუკი-10, რაიდერი-10), 1:1 მოულსონი-11 (შტრაიტი-9, ნილსენი-9), 2:1 მ. მარტინი-2 (ბოიესი-12, ტავარესი-13), 3:1 გრაბნერი-9 (ჰიკი-1, კ. მაკდონალდი-4), 3:2 სუბანი-5 (მარკოვი-9, რაიდერი-11), 3:3 ბ. ჯონტა-7 (სუბანი-8, რაიდერი-12), 4:3 მარტინეკი-1 (ოკსოპო-7, ჰიკი-2), 5:3 ტავარესი-14 (ბოიესი-13), 6:3 კ. მაკდონალდი-4 (მ. მარტინი-1, ჩიზიკასი-6).

**ვაშინგტონი–ბოსტონი 4:3 (ო)**

0:3, 2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მარჩანდი-12, 0:2 ხარა-4 (კრეიჩი-11, ლუჩიჩი-8), 0:3 ჰემილტონი-3 (ჰორტონი-5, კრეიჩი-12), 1:3 რიბეირო-8 (ოვეჩკინი-9, ოლექსი-1), 2:3 კონდრატეკი-1 (ფერი5, ბექსტრიომი-15), 3:3 ვოლსკი-3 (ფერი-6, ბექსტრიომი-16), 4:3 ფერი-5 (ბექსტრიომი-17, კონდრატეკი-6).

**კაროლინა–ბაფალო 4:3**

1:0, 1:0, 2:3

**გოლები:** 1:0 ტლუსტი-11 (ე. სტაალი-14, სიომინი-16), 2:0 კორვო-3 (სანგინეტი-2, ი. იოკინენი-4), 2:1 ჰოჯსონი-9 (ვანეკი-16, პომინვილი-9), 3:1 ი. იოკინენი-5 (ე. სტაალი-15, სიომინი-17), 3:2 ბრენანი-1 (პომინვილი-10, ენისი-10), 4:2 სიომინი-6 (ე. სტაალი-16, გლისონი-4), 4:3 ჰოჯსონი-10.

**კოლამბუსი–ედმონტონი 4:3 (ბ)**

2:2, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პეტრი-3 (ბელანჟე-3, რ. ჯონსი-1), 1:1 მაკენზი-3 (ბოლი-3, ერიქსონი-4), 2:1 პროსპალი-9 (რ. იოჰანსონი-3, ლეტესტუ-8), 2:2 რაიან უიტნი-2 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-7, ტ. ჰოლი-15), 2:3 პააიარვი-4 (სემ განიე-14, ებერლე-11), 3:3 ჯ. ჯონსონი-2 (ბრასარი-8, პროსპალი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ანისიმოვი (კოლამბუსი), ლეტესტუ (კოლამბუსი).

**ფლორიდა–ვინიპეგი 4:1**

1:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კოპეცკი-9 (გოკი-6, ფლიშმანი-11), 1:1 უელვუდი-1 (ლედი-9, ჰეინსი-8), 2:1 მატიასი-5 (რობაკი-1, ფლიშმანი-12), 3:1 იუბერდო-11, 4:1 სანტორელი-1 (ბ. კემპბელი-10, გუდბრასონი-4).

**ლოს ანჯელესი–სტ ლუისი 6:4**

1:2, 1:2, 4:0

**გოლები:** 0:1 პიეტრანჯელო-4 (კ. სტიუარტი-8), 1:1 მუზინი-3 (დაუტი-9, ჯასტინ უილიამსი-8), 1:2 საბოტკა-3 (ჯეკმანი-3, დ'აგოსტინი-1), 1:3 პერონი-8 (პიეტრანჯელო-10, ჯეკმანი-4), 1:4 კ. სტიუარტი-8 (პერონი-8, ბერგლუნდი-3), 2:4 ვოინოვი-4 (კოპიტარი-13, ჯასტინ უილიამსი-9), 3:4 მ. რიჩარდსი-6 (პენერი-5), 4:4 მუზინი-4 (დაუტი-10, ტ. ლუისი-4), 5:4 ჯ. კარტერი-15 (მუზინი-3, მ. რიჩარდსი-10), 6:4 კოპიტარი-7 (ჯასტინ უილიამსი-10, დ. ბრაუნი-5).

**ჩიკაგო–მინესოტა 5:3**

4:1, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 სეტოგუჩი-5 (კულენი-10, ცუკერი-1), 1:1 საადი-4 (ტეივზი-10, ჰიალმარსონი-4), 2:1 ბიკელი-4 (სტალბერგი-6, შოუ-4), 3:1 ბიკელი-5 (საადი-3, კრუგერი-5), 4:1 მარიან ჰოსა-10 (საადი-4, ტეივზი-11), 4:2 რ. სუტერი-1 (ჰიტლი-5, მ. კოივუ-14), 4:3 ბროძიაკი-3 (ტ. მიტჩელი-2, რუპი-2), 5:3 პ. კეინი-12 (შარპი-13, ბოლანდი-3).

**ვანკუვერი–სან ხოსე 2:3 (ბ)**

0:1, 2:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 გომესი-1 (ვლასიჩი-4, ბ. სტიუარტი-4), 0:2 ბარიში-1 (ბ. სტიუარტი-5), 1:2 ჰ. სედინი-4 (დ. სედინი-14, ბაროუზი-9), 2:2 ჰანსენი-6 (რეიმონდი-6, ჰაამჰუისი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰიგინსი (ვანკუვერი), კუტური (სან ხოსე), პაველსკი (სან ხოსე).

**დეტროიტი–კოლორადო 2:1**

0:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ფრანცენი-4 (ბრუნერი-7), 2:0 კრონვალი-3 (ჯ. ერიქსონი-8, დაციუკი-15), 2:1 პ. შჩასტნი-6 (პარენტო-10, ჰანვიკი-3).

**რეინჯერსი–ფილადელფია 4:2**

2:2, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კელეჰანი-6 (სტეპანი-7, გაბორიკი-8), 1:1 სიმონდსი-10 (კ. ჟირუ-16, ვორაჩეკი-17), 1:2 ვორაჩეკი-10 (სიმონდსი-9, ტიმონენი-12), 2:2 კელეჰანი-7 (მაკდონაჰი-6), 3:2 ნეში-6 (ჟირარდი-8), 4:2 ნეში-7 (სტეპანი-8, კელეჰანი-3).

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აალსტი-ანდერლეხტი | 1:0 |
| მიოლდე-ბატე | 1:0 |
| გეფლე-სირიუსი | 1:2 |
| ბ1908-ჰვიდოვრე | 2:3 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ნოტსი-ლეიტონი | 1:1 |
| **II ლიგა** | |
| როვერსი-ექსეტერი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2:1 |
| უოკინგი-მენსფილდი | 1:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ჩეზენა-ასკოლი | 1:2 |
| მოდენა-ბრეშა | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ჰანზა-ბურგჰაუზენი | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰანოვერი II-ჰამბურგი II | 4:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| რატენოვი-მოისელვიცი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფორტუნა II-ბოხუმი II | 2:0 |
| ზიგენი-კიოლნი II | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| კაიზერი II-მანჰაიმი | 1:0 |
| ბაიერნი (ა)-ვორმატია | 2:1 |
| ულმი-ჰომბურგი | 2:0 |
| ტრირი-ფრაიბურგი II | 1:1 |
| **შოტლანდია** | |
| დანდი-სტ. მირენი | 2:1 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ოდენსე | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| იუვიასკიულა-ინტერი | 3:0 |
| მიუპა-ჰონკა | 4:1 |
| მარიეჰამნი-ჰიკ | 0:4 |
| კუოპიო-იაკო | 4:0 |
| როვანიემი-ვაასა | 1:2 |
| **ავსტრია** | |
| პელეტსი-ზალცბურგი | 1:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ლევადია-პაოკ | 0:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| ანორთოსისი-ომონია | 0:2 |
| აპოლონი-აიია | 1:1 |
| ენოსისი-აეკ | 1:1 |
| **სერბეთი** | |
| ბორჩა-პარტიზანი | 0:4 |
| **სლოვენიის თასი** | |
| მარიბორი-ოლიმპია | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| დიორი-ეგერი | 3:3 |
| ლომბარ პაპა-ფერენცვარ. | 3:1 დ.დ. 4:2 |
| ჰონვედი-პეჩი | 3:3 |
| დებრეცენი-ვიდეოტონი | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ალბა-ეფესი | 86:91 |
| ბამბერგი-ცსკა | 58:78 |
| **ევროპის თასი** | |
| სპარტაკი-ბუდიველნიკი | 83:72 |
| ბუდუჩნოსტი-ლოკომოტივი | 54:72 |
| ვალენსია-უნიქსი | 80:70 |
| **ჰოკეი** | |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 3:2 |
| ვოლერენგა-სტიორნენი | 5:1 |
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი | 1:2 (ო) |
| სპარტა-სტორჰამარი | 3:6 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ბისტრიცა | 1:2 |
| კოშიცე-პოპრადი | 2:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ბაბოში-ლარსონი | 7:6, 2:6, 0:6 |
| ჰალეპი-დევისი | 6:2, 6:0 |
| ჟენგი-პერვაკი | 1:6, 2:6 |
| სოლერ ესპინოსა-კინგი | 6:7, 6:2, 6:1 |

● TV პროგრამა

**7 მარტი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. უიგანი-ლივერპული.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. დორტმუნდი-შახტარი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი.
**18:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**19:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. X ტურის მიმოხილვა.
**20:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. სტიაუა-ჩელსი (LIVE).
**00:05** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ტოტენჰემი-ინტერი (LIVE).
**02:05** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ბენფიკა-ბორდო.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ლინენსე-პონტე პრეტა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ბოსტონი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-რასინგი.
**19:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. მუნდიალი-1982. ფინალი.
**20:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. დეტროიტ პისტონსი 2003-04 წლები. II ნაწილი.
**21:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ანჟი-ნიუკასლი (LIVE).
**23:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. X ტური. ოლიმპიაკოსი-ბარსელონა (LIVE).
**01:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ჩიკაგო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
**15:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-ბრუკლინი.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. შტუტგარტი-ლაციო (LIVE).
**00:05** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ბენფიკა-ბორდო (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 5 | (მოღრუბლულობა) |
| ქუთაისი | -3 | 5 | (მოღრუბლულობა) |
| ბათუმი | 2 | 15 | (მოღრუბლულობა) |
| ფოთი | 1 | 14 | (მოღრუბლულობა) |
| ზუგდიდი | -3 | 11 | (მოღრუბლულობა) |
| გორი | -7 | 4 | (მოღრუბლულობა) |
| თელავი | -2 | 4 | (წვიმა) |
| სიღნაღი | -3 | 4 | (წვიმა) |
| გუდაური | -20 | -7 | (მოღრუბლულობა) |
| ბაკურიანი | -17 | -4 | (მოღრუბლულობა) |
| ბორჯომი | -10 | 3 | (მოღრუბლულობა) |
| მესტია | -17 | -5 | (მოღრუბლულობა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1597 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6579 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5008 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4142 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


ჯოკო და ბრიუს უილისი

# ნოლემ ბრიუსი გაიცნო

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მოყვა იმის შესახებ, რომ ლოს ანჯელესში გაიცნო ამერიკელი მსახიობი **ბრიუს უილისი.**

*„შეხედეთ, ვის შევხვდი გუშინ საღამოს! შესანიშნავი ადამიანი და მსახიობი“,* - დაწერა თავის „ტვიტერზე“ სერბმა ჩოგბურთელმა.


როჯერი კოსტიუმში

# როჯერის ახალი ჰობი

31 წლის შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფერერერმა** თავისი ერთ-ერთი ჰობის შესახებ ილაპარაკა.

*„ძალიან ბევრ ფულს ვხარჯავ ტანსაცმელზე - ამას, როგორც ინვესტიციას, ისე ვუყურებ. არ მინდა, რომ მუდმივად მიღებდნენ ფოტოებს ერთი და იმავე ტანსაცმელში. სხვადასხვა სამოსს ვიყენებ. ძირითადად, შოპინგით ჩემი მეუღლეა დაკავებული - საოცარია, როგორ ახერხებს ისეთი ტანსაცმლის არჩევას, რომელიც იდეალურად მერგება.*

*ბოლო დროს, კოსტიუმებიდან უპირატესობას ვანიჭებ* Prada-*ს,* Dolce & Gabbana-*სა და* Louis Vuitton-*ს: თუმცა, თავის დროზე, ბევრი სხვა მარკა ვცადე. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ტანსაცმელში კომფორტულად უნდა იგრძნო თავი. თავდაპირველად, კოსტიუმში თავს უხერხულად ვგრძნობდი, მაგრამ დღეს ეს პრობლემა არ არის. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ძალიან გავიზარდე. ახლა მე ვატარებ კოსტიუმს და არა - ის მე“,* - ამბობს მსოფლიოს მეორე ჩოგანი.

# სერენა და ვიკა იმღერებენ

WTA-ის რეიტინგის მეორე ნომერი, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** აცხადებს, რომ ამერიკელ **სერენა უილიამსთან** ერთად აპირებს ჩაწეროს **რიანას** სიმღერის - Stay-ის კარაოკე-ვერსია.

*„ჩვენ ვამზადებთ მუსიკალურ გამოსვლას. ასეთი რამ ქალთა ჩოგბურთში არ მომხდარა. ახლა ამ სიმღერის პიანინოზე დაკვრას ვსწავლობ, სერენა კი იმღერებს“,* - ამბობს CNN.com-თან ინტერვიუში ბელარუსი ჩოგბურთელი.

კალათბურთი. შაკილ ო'ნილის ინტერვიუ

# ჩემი და კობის წყვილი საუკეთესო იყო

**რომელ სატელევიზიო პროგრამაშიც არ უნდა გამოჩნდეს შაკილ ო'ნილი, ის ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცევა, თან არ აქვს მნიშვნელობა, რა დონის ვარსკვლავი უდგას გვერდით. მალე, ამერიკის ერთ-ერთ საკაბელო არხზე გაჩნდება ახალი გასართობი პროგრამა, რომლის მთავარი მოქმედი პირი იქნება მხიარული შაკი...**

**- შაკ, გაგვიმხილეთ შთაბეჭდილებები ვარსკვლავური უქმეების შესახებ?**

- მივიღე ძალიან დიდი სიამოვნება იმ მხიარულებისგან, რომელიც იქ სუფევდა. საითკენაც არ გაიხედავდი, ყველგან სუპერვარსკვლავს ხედავდი, ყოველდღე იმართებოდა მუსიკალური კონცერტები – მსგავსი ატრიბუტები ყოველთვის თან ახლავს კალათბურთის ამ ზეიმს. ჰიუსტონამდე მისვლა რთული არ ყოფილა, რადგან იქვე ვცხოვრობ. ვცდილობ, ასეთ დღეებში მთელი ოჯახი შევკრიბო, ამიტომაც ნაადრევად ვზრუნავ ავიაბილეთებზე და სასტუმრო ნომრების დაჯავშნაზე.

**- ამჯერად, ხარჯი დიდი არ გექნებოდათ?**

- რა თქმა უნდა. ნათესავებისა და მეგობრების დიდი ნაწილი სახლში მივიღე, დანარჩენები იქვე, სასტუმროში ცხოვრობდნენ. ბოლო ორი წელია ვცდილობ, მეტი დრო გავატარო ბავშვებთან და ამ უქმეებმა ერთად ყოფნის საშუალება მოგვცა. მახსოვს, როგორ წაგვიყვანა მამამ პირველად "ყველა ვარსკვლავის მატჩზე", სადაც ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯულიუს ირვინგმა. ჩემს შვილებს ჯეიმსის, ბრაიანტისა და უეიდის თამაშის ყურება მოსწონთ, ამიტომაც მათ მივანიჭე ეს სიამოვნება.

**- მოქმედი მოთამაშეებიდან ვინ არის თქვენი ფავორიტი?**

- პირველ რიგში, ლებრონი მახსენდება. დღეს ის დაუჯერებელ თამაშს გვიჩვენებს. აკეთებს იმას, რაც ერთეულებს შეუძლიათ. ვფიქრობ, წელს ის მეოთხედ გახდება სეზონის MVP.

**- ხომ არ ნერვიულობთ იმის გამო, რომ თქვენს შვილებს ლებრონის გამოსვლა უფრო მოსწონთ, ვიდრე მამის თამაში?**

- არანაირი პრობლემა. მამაჩემი რაიონის საუკეთესო კალათბურთელი იყო, მაგრამ ეს ხელს არ მიშლიდა ირვინგის სიყვარულში.

**- "ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" ხშირი ურთიერთობა გქონდათ ბრაიანტთან. თუ საიდუმლო არ არის, რაზე ლაპარაკობდით?**

- არაფერი სერიოზული, უბრალოდ ვიცინოდით. გეტყვით, რომ ბევრს მცდარი წარმოდგენა აქვს ჩვენს ურთიერთობაზე. ჰგონიათ, რომ ვერ ვიტანთ ერთმანეთს, რადგან ვერ აცნობიერებენ – კალათბურთი ბიზნესია. თქვენ ან კონცენტრირებული ხართ პარტნიორებთან ურთიერთობაზე ან დასახული ამოცანების გადაწყვეტაზე. მე მეორეს სასარგებლოდ გავაკეთე არჩევანი. ბუნებრივია, თითოეული მათგანი თავის თავში გუნდის ლიდერს ხედავდა და დრო და დრო, საკამათო სიტუაციები წარმოიშვებოდა, მაგრამ არანაირ მტრობაზე ლაპარაკი არ ყოფილა. იყო ასევე გაუგებრობები მოედანზე, მაგრამ თუ სალად შეაფასებთ სიტუაციას, დაინახავთ, რომ ჩვენ ვიყავით ყველაზე ძლიერი წყვილი ლიგის ისტორიაში.

**- სერიოზული განცხადებაა...**

- არგუმენტები გჭირდებათ? ჩვენ მოვიგეთ ოთხიდან სამი ფინალური სერია – მარტო ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. და ჩემთვის სულერთია ის, რომ ჩვენ შორის შუღლის დათესვას აპირებენ. კარიერაში რაიმეს შეცვლის საშუალება რომ მქონოდა, არაფერს შევცვლიდი. პრესას დრამა სჭირდება, ის ზეწოლას ახდენს მოთამაშეებზე. ამ ისტორიის დიდი ნაწილი ჟურნალისტებმა მოიგონეს, რომლებსაც მობეზრდათ "ლეიკერსის" დომინირება. დროა, მათ რაიმე ახალი მოიფიქრონ.

**- სხვა თემაზე გადავიდეთ. მოგვიყევით შოუზე თქვენი მონაწილეობით, რომელიც სულ მალე დაიწყება.**

- ორ მეგობართან ერთად მონაწილეობას მივიღებ სასაცილო კლიპებში, რომელსაც ინტერნეტით გაუშვებენ. გასაგებია, რომ ასეთი შოუები მრავლადაა, მაგრამ შევეცდებით, ჩვენ განსაკუთრებულები ვიყოთ. კადრში დამეხმარება ორი კომიკოსი: გოდფრი და გერი ოუენი. მიმაჩნია, რომ სიცილი მოდუნების საუკეთესო საშუალებაა, ამიტომაც გადავწყვიტეთ კომედიური შოუს შექმნა, რომელიც



საუკეთესო უნდა გახდეს გასართობ პროგრამებს შორის.

**- სხვათა შორის, ზოგიერთ კომიკოსს დაეხმარეთ კარიერის მოწყობაში...**

- მე გავხადე კევინ ჰარტი სახელგანთქმული. ვერ ვიტყვი, რომ ეს მთლიანად ჩემი დამსახურებაა, მაგრამ კარგი ტრამპლინი შევქმენით მისი კარიერისთვის, განვითარება მივეცით მის ნიჭს. ახალი შოუ მოწოდებულია, მსგავსი შესაძლებლობები შეუქმნას სხვა კომიკოსებს. ჩვენ ვგეგმავთ ტურს 25 ქალაქში და დარწმუნებული ვარ, რომ ახლა, კომედიის მომავალი ვარსკვლავი სახლშია და თავის შანსს ელოდება.

**- ტელემაყურებლებს ძალიან უყვარხართ. კამერის წინ მათთან ურთიერთობის რა სტილი გაქვთ არჩეული?**

- როცა საქმე ანალიტიკამდე მიდის, თქვენ ან ლაპარაკობთ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ან სტატისტიკური მონაცემებით ხართ აღჭურვილი. მე ვლაპარაკობ გამოცდილებიდან გამომდინარე და მაყურებელს ეს მოსწონს. "NBA-ის შიგნით" – ნომერ პირველია მსგავს პროგრამებში. ვცდილობთ არა მხოლოდ მივიტანოთ ხალხამდე საინტერესო ფაქტები, არამედ გავაცინოთ ისინი. ჩვენი მაყურებელი ჭკვიანია, მას არ სჭირდება ბევრი სისულელის მოსმენა იმ ადამიანებისგან, რომლებსაც წესიერად არ უთამაშიათ NBA-ში. მაგალითად, ასეთია ჯალენ როუზი (ყოფილი მოთამაშე, ამჟამად ESPN-ზე მუშაობს).

**- მკაცრი ნათქვამია...**

- მართლა ასე ვფიქრობ. შეგიძლიათ სიტყვასიტყვით დაწეროთ.

**- მოდით, ნეიტრალურ თემაზე გადავიდეთ. 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენი სახელობის პირველი სპორტული ფეხსაცმელი გამოუშვით. მაშინ დროს გაუსწარით და უდიდესი პოპულარობა მოიპოვეთ. ახლა, ისევ ბრუნდებით მაღაზიების ვიტრინებში. რამ გამოიწვია ეს?**

- პოპულარული ხაზის განახლება – ჭკვიანური გადაწყვეტილებაა. ამჟამად, მსხვილ ქალაქებში ბევრი მაღაზიაა, რომელიც ძალიან დიდ ფასს ადებს სპორტულ ფეხსაცმელს. ერთხელ, ბავშვებმა ასეთ მაღაზიაში წამიყვანეს. იცით, რა ღირდა იქ ერთი წყვილი ფეხსაცმელი? 1500 დოლარი! დღეს, სპორტული ფეხსაცმლის წარმოებისთვის გამოიყენება ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები. მარკეტინგული განყოფილება ბევრს მუშაობს ახალი მოდელის პოპულარიზაციაზე და ამისთვის ცნობილი სპორტსმენების სახელებს იყენებს.

**- თუ ეს სპორტული ფეხსაცმელი გარეგნულად კარგი იქნება – ის დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევს მყიდველებში.**

- ასე იქნება. და თუ წინასწარ გამოვაცხადებთ, რომ გამოშვებულია, მაგალითად, 80 ათასი წყვილი, მაღაზიებში პირველ დღეებში ნამდვილი საგიჟეთი იქნება. ამიტომაც, როცა ახალ მოდელზე მუშაობა შემომთავაზეს, გადავწყვიტე, რომ ეს კარგი იდეა იყო. სხვათა შორის, ჩემმა ბავშვებმა მომაწოდეს ამ იდეის რეალიზაცია. მათი მეგობრები მზად არიან ზედმეტი ორასი დოლარი გადაიხადონ იმისთვის, რომ პირველებმა მიიღონ ეს ფეხსაცმელი.

**- რა გრძნობაა 20 წლით უკან დაბრუნება?**

- უცნაური ემოციები მაქვს. მადლობას ვუხდი კომპანიებს წარმოდგენილი შესაძლებლობისთვის. დიზაინერებთან მუშაობისას ვცდილობდი, ფეხსაცმელებისთვის ფუტურისტული სახე მიმეცა. თავიდან ხელმძღვანელებს არ უნდოდათ მისი გამოშვება. დაახლოებით ასე ფიქრობდნენ: "ჩვენ არაფრით დიდებით არ გავყიდით ამ საშინელებას". დიდი დრო დაიხარჯა კამათში და მათ დასარწმუნებლად, რომ ლურჯი ფერი კარგია. და მე მართალი აღმოვჩნდი.

**- საბოლოოდ, ზუსტად ის გამოვიდა, რაც გინდოდათ?**

- დიახ. მაშინვე ვთქვი: "უნდა მოვიშოროთ ძველი იდეები და შევქმნათ რაიმე ახალი". ხანდახან ქუჩაში ვსეირნობ და ყურადღებას იქცევს ის, თუ რა ცუდი გემოვნების ფეხსაცმელებით დადიან ადამიანები. მინდა შევქმნა დასამახსოვრებელი მოდელები, რათა ხალხმა მათ თვალი არ მოაცილონ მაშინაც, თუ მისი ყიდვა არ სურთ.

**- 1993 წელს, თქვენი ფეხსაცმელების რეკლამაში რამდენიმე ლეგენდა იღებდა მონაწილეობას, ისეთები, როგორებიც არიან ქარიმ აბდულ-ჯაბარი და ბილ რასელი. როგორ მოახერხეთ მათი დაყოლიება?**

- მახსოვს, კოლეჯში მარკეტინგის მენეჯერმა მითხრა: *"დიდი ბიჭები არასოდეს იქნებიან კომერციულად მომგებიანები"*. მე უნდა მომენახა ხერხი იმის გასამტკიცებლად, რომ ის ცდებოდა. გადავწყვიტე, რომ წარსულის ლეგენდებთან ერთად შევძლებთ ბევრი მყიდველის მოზიდვას. თავიდან ხელმძღვანელობა წინააღმდეგი იყო. მაგრამ ისინი დავარწმუნე ასეთი რეკლამის აუცილებლობაში და ვფიქრობ, რისკმა გაამართლა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608